სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 26 აპრილი 2000 №77 (1099) | ფასი 50 თეთრი

კოგა ინასარიძე

ერევნიდან

სომხეთი პურმარილით დაგვხვდნენ

გათეთრდება სომხური ფეხბურთის ისტორიის შავი ფურცელი?

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

სომხეთი — საქართველო

26 აპრილი. 20 საათი. ერევანი. რაზდანი

ექვსნახევარსაათიანი მგზავრობის შემდეგ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასა და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიასთან ერთად ერევნის სასტუმრო „ანის“ ხუთი საათისთვის მოადგნენ. თბილისიდან ჩამოსულთ სასტუმროს ფოიეში ღამით ჩამოფრენილი მიხეილ ყაველაშვილი შეეგება, თანაგუნდელები მოიკითხა, შემდეგ ყველა დაგვიანებით, სასადილოდ გაეშურა.

ეროვნულმა გუნდმა „რაზდანზე“ ექვს საათზე დაგეგმილი ვარჯიშიც გვიან დაიწყო. ტრიბუნებზე ჩვენებურთა სანახავად შეკრებილთაც კარგა ხანს იცადეს — რვა იწყებოდა, ნაკრების ავტობუსი სტადიონს რომ მოადგა. ერთი ათი წუთიც ავტოგრაფების ჩამორიგებამ წაიღო და ვარჯიშიც დაიწყო. კუნთების გახურებაც არ დამთავრებინათ უფროსებს, „რაზდანზე“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც რომ მოვიდა. ქართველებმა მინდორი გაიყვეს. იქით ახალგაზრდებმა დაიწყეს, აქეთ ეროვნულმა გააგრძელა. მწვრთნელებს ფეხბურთელები დიდად არც დაუტვირთავთ: რევაზ ძოძუაშვილმა მცველები — სილაგაძე, ხიზანიშვილი, ნემსაძე, რეხვიაშვილი, ჩიხრაძე, თოდუა, დიდავა და მიქაძე ცალკე გაიხმო, ურთიერთდაზღვევაზე ავარჯიშა, ყიფიანმა კი დანარჩენებს მეკარეები, გრიშიკაშვილი, გვარამაძე და ჭურაძე „დაბომბინა“. დღეს გვეყოფა, დანარჩენი ხვალ, თამაშისას ვაჩვენოთ აქაურებსო, თქვა ძოძუაშვილმა და ბიჭები ავტობუსისკენ გაისტუმრა, თავად კი ყიფიანთან ერთად ცოტა ხნით შეყოვნდა — „რაზდანის“ დირექტორის ოთახში მათ სომეხი და რუსი ჟურნალისტები ელოდნენ. პრეს-კონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა, ყიფიანმა, ექვსაათიანმა მგზავრობამ ფეხბურთელები ძლიერ დაღალა და ავტობუსში დიდხანს ნუ ვალოდინებთო...

— ერევანში ჩამოუსვლელი ქართველი ლეგიონერების კლუბებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და რამდენიმე მათგანის გამოძახებისგან თავის შეკავება რომ გვთხოვეს, უარი აღარ ვუთხარით. „ფრაიბურგსა“ და „დერბის“ უძლიერესთა ლიგებიდან გავარდნა ემუქრებათ.

— ისეთ მინდორზე თამაშს, როგორიც „რაზდანზეა“, ქართველი ფეხბურთელები მიჩვეულნი არიან, მე და დათოს კი გაგვიკვირდა, ეტყობა, სტადიონის თანამშრომლები გაზონს კარგად არ უვლიან, ჩვენი ეროვნული სტადიონის მინდორიც თითქმის ასეთ დღეშია.

— რატი ალექსიძე 21 წლის კი არის, მაგრამ მასზე, გამოუცდელიო, არ ითქმის. სადღეისოდ როგორ ფორმაშია, ამას თქვენც და ჩვენც ხვალ ვნახავთ, ისე კი, „ჩელსიში“ გადასვლის შემდეგ ფიზიკურად მოღონიერებულია.

ეს რევაზ ძოძუაშვილის სიტყვებია, კარგ ხასიათზე რომ იყო და სადღეისო თამაშზე მეტად აქაურმა ჟურნალისტებმა წარსულზე რომ ალაპარაკეს.

— ერევანში თამაში გაცილებით მძიმეა, ვიდრე, ვთქვათ, რუმინეთში და იტალიაში. მახსოვს, თბილისის „დინამოს“ სტუმრობისას ერევანში რა ხდებოდა. დარწმუნებულნი ვართ, სომეხი გულშემატკივრების თვალწინ თავს არც ხვალ შევირცხვენთ. საქართველოს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია და მათ უდიდესი ფსიქოლოგიური გამოცდა ელით. სომხებს, ვიცი, კარგი გუნდი ჰყავთ.

— მე სომეხ ჟურნალისტებთან ერთი თხოვნა მაქვს. დაწერეთ, თქვენს მთავრობას სთხოვეთ, რომ ამ ჩინებულ სტადიონს მიხედონ და უპატრონონ, მთლად ნუ წაახდენენ.

არც დავით ყიფიანს ულაპარაკია ბევრი. მანაც თავისი ფეხბურთელობის დროება და „რაზდანზე“ გატანილი გოლები გაიხსენა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონ „არარატზეც“ თქვა და ძოძუაშვილთან ერთად ავტობუსს მიაშურა.

გუშინ ერევანში: ზურაბ იონანიძე, გიორგი დემეტრაძე და სოსო გრიშიკაშვილი „რაზდანზე“ ვარჯიშისას

სომხეთის ნაკრების პრეს-ატაშე სურენ ბაღდასარიანი და საქართველოს ნაკრების მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი პრესკონფერენციისას

საქართველოს ნაკრები ერევანში ზუსტად იმ შემადგენლობითაა, გუშინდელ „სარბიელში“ რომ გამცნეთ, ვარჯიშისას კარგად ჩანდა, კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძეა ჩინებულ ფორმაში, ეს აქაურმა ჟურნალისტებმაც აღნიშნეს. თვალშისაცემია მისი წონაც, ლობანოვსკის ხელში ბევრი დაუკლია.

ჩვენ კი, სარბიელელები, შემთხვევით სწორედ იმ სასტუმროში დავბინავდით, სადაც სომხეთის ორივე გუნდი მეოთხე დღეა ცხოვრობს, თანაც, ბედი არ გინდა, სომეხ ფეხბურთელებთან კედელი გვყოფს, მათი მწვრთნელი ვარუჟან სუკიასიანიც ჩვენს სართულზე ცხოვრობს და დერეფანში ერთმანეთს რომ შევეფეთეთ, სადღეისო მატჩზე ეს გვითხრა:

— თბილისში წაგებული 0:7 სომხური ფეხბურთის ისტორიის შავი ფურცელია. მაშინ სირცხვილნაჭამი დავრჩით და ახლა ვეცდებით საქართველოს ნაკრებისთვის სამაგიეროს გადახდას. არ ვამბობ, რომ შვიდბურთიანი სხვაობით მოგიგებთ, მაგრამ ღირსეული რევანშის იმედი კი მაქვს, თანაც მეტოქე ხომ უძლიერესი შემადგენლობით ვერ ითამაშებს.

სუკიასიანისვე თქმით, ერევანში არ ჩამოსულან სანტკ პეტერბურგის „ზენიტის“ მეკარე რომან ბერეზოვსკი, რომელიც საფრანგეთშია და „სენტ ეტიენთან“ აპირებს კონტრაქტის გაფორმებას, და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი ალბერტ სარქისიანი, ის ტრავმირებული ყოფილა.

სომხებმა სტადიონზე გუშინ ორჯერ ივარჯიშეს — დილით და შუადღით.

აქაური ჟურნალისტები ამბობენ, რომ „რაზდანზე“, სადაც რამდენიმე სექტორის ხის სკამები აყრილია, ქართველებთან თამაშს 40 ათასამდე მაყურებელი დაესწრება. ბილეთები დოლარნახევრიდან ორ დოლარამდე ღირს.

მატჩს ბელარუსი გენადი იაკუბოვსკი განსჯის.

ახალგაზრდები კი დღესვე არტაშატში, ერევნიდან საათის სავალზე, პირველ საათზე ითამაშებენ. მურთაზ ხურცილავას გამოძახებულთაგან ოთარ ხიზანიშვილი აკლია, რომელიც რატომღაც ერევანში არ ჩამოსულა, ყოველ შემთხვევაში, 11 საათისთვის. ტრავმის გამო კი ქუთაისში დარჩა გიორგი იმედაძე. სამაგიეროდ, ერევანშია ახალგაზრდების მთავარი დამრტყმელი ძალა — ლაშა ჯაკობია, მას მტკივანი ფეხი საბოლოოდ მოუშუშებია.

და ერთიც. სადახლოს საბაჟოზე ჩვენებურებს, კონკრეტულად კი მწვრთნელებსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასა და გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ეროვნულ სამოსში გამოწყობილი სომეხი გოგონები რატომღაც სლავური პურ-მარილით გამასპინძლებიან და საღამოთი ეს ცერემონიალი რამდენიმე აქაურმა არხმა აჩვენა — ნახეთ, ქართველებს როგორ დავხვდითო. კარგია, საქართველოს ნაკრებს ჯერ კიდევ ასე რომ აფასებენ...

სავარაუდო შემადგენლობანი

სომხეთი: აბრამიანი, ოვსეპიანი, რომიკ ხაჩატრიანი, ვარდანიანი, ერვანდ სუკიასიანი, ვოსკანიანი, ა. პეტროსიანი, პეტროსიანცი, შახგელდიანი, ა. არამიანი, დოხოიანი

საქართველო: გრიშიკაშვილი, ლ. მიქაძე, ხიზანიშვილი, სილაგაძე, თოდუა, მენთეშაშვილი, სიჭინავა, ნემსაძე, ალექსიძე, ყაველაშვილი, დემეტრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
8 ტური

პასუხგაუცემელი კითხვა: ტორპედო თუ დინამო?

„ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ 1:1. დინამოელი გიორგი ნემსაძის რეიდი ვიტელმა გიორგი ჭანკოტაძემლა (№21) შეაჩერა

გიორგი ჯიბლაძის ფოტო

მოიგეს, ესე იგი, თამაში შესძლებიათ — ეს სიტყვები „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ მატჩის შემდეგ მასპინძელთა კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ვახტანგ ხაინდრავას წამოსცდა. ფოთელები სიხარულს ვერ მალავდნენ, ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი, „კოლხეთმა“ ჩემპიონობის მაძიებლები წააქცია და ევროსარბიელზე მოხვედრის შანსიც გაუჩნდა.

ქუთაისელთა და ბათუმელთა ერთიმეორის მიყოლებით ძლევა სახუმარო საქმე სულაც არ გახლავთ, მაგრამ იმის დამტკიცება, რომ ფეხბურთის თამაში ნამდვილად შეუძლიათ, კოლხებს სამ დღეში „დინამოსთან“ მოუწევთ.

რადგანაც შაბათამდე კიდევ დროა და მომავალ მეტოქეებსაც გვარიანი საფიქრალი დაჰგროვებიათ, ისევ ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის პირველ ტურს დავუბრუნდეთ.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე მოველოდი „ტორპედოს“ წაფორხილებას. ჰო, ჯერჯერობით წაფორხილებას, მაგრამ ზოგიერთები ამას წაქცევას ეძახიან. დავით ყიფიანის გუნდმა საჩემპიონო იღბალი სასწორზე შეაგდო. ახლა ძნელი სათქმელია, რომელი გადასწონის — „ტორპედო“ თუ „დინამო“.

პირადად მე დანამდვილებით ვერ ვიტყვი„ მაგრამ ბოლო ტურებში ტორპედოელთა აშკარა რეგრესს გუნდში არსებულ უთანხმოებას აბრალებენ.

არც ის ვიცი, რატომ (ალბათ დავით ყიფიანს საამისო მიზეზებიც გააჩნია) შემოსწყრა მწვრთნელი თურმანიძესა და გოგიაშვილს, მაგრამ უთურმანიძესა ოდ დაცვა არეულია, ხოლო გოგიაშვილის გარეშე ნახევარდაცვა უმაქნისი. ამას დავუმატოთ სამგაფრთხილებიანი ჯანაშიას ფოთში არყოფნა და წაგების მიზეზებიც ნათელი გახდება.

აშკარად არაა ფორმაში კახა კვეტენაძე (ახლა კი არა, კაი ხანია უკვე), ამიტომაც იყენენ უმოქმედოდ წინ მეგრელაძე და იონანიძე.

ზემოთ ნათქვამი სულაც არ აკნინებს კოლხთა თავგამოდებას. ტყებუჩავას გუნდი სწორედ ახლა განიცდის აღმავლობას და სულაც არ გამიკვირდება, სხვებიც რომ გაამწაროს.

სტუმართა ლიბერო ხვადაგიანი კი ორჯერ საგოლედ შეცდა. მართალია, ერთი შეცდომა თავადვე გამოასწორა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მეკარე ზოიძეც მასპინძელთა ყველა შეტევას ვერ გადაეფარა და ასე შეუმჩნევლად წამოეპარა „ტორპედოს“ „დინამო“.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას“ ჯერ თავისთვის, მერე „ტორპედოსთვის“ ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეეძლო, მაგრამ ბოლო ათ წუთში მეტად მოულოდნელი და არასასურველი გოლი („ტორპედოსთვის“ და თავისთვის) გაუშვა და „დინამოც“ გადარჩა.

„ვიტ ჯორჯია“ ის გუნდია, რომელიც გოლს ძნელად უშვებს და ასევე ძნელადვე გააქვს. ვეტერინარებმა მოწინააღმდეგეს პირველებმა თუ გაუტანეს, მერე თამაშს არ წააგებენ. ეს ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა.

მასპინძლებს ნახევარდაცვის ბურჯი გიორგი ყიფიანი და ფორვარდი ლევან მელქაძე აკლდათ, სტუმრებს მეგოლე წიტაიშვილი. კოტრიკაძემ დანაკლისის კომპენსირება ნაწილობრივ კოტორაშვილითა და დისკვალიფიკაციამოხდილი ქორიძით შეძლო, ხოლო კორღალიძეს წიტაიშვილი ვერავინ შეუცვალა.

„დინამო“ ნაადრევი გოლის გატანას ესწრაფვოდა. ეს რომ მოეხერხებინა, დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, მცხეთიდან სამ ქულასაც გამოიყოლებდა, მაგრამ საწყისი 15 წუთი გაძლეს ვეტერინარებმა და მერე სტუმრებს საგოლე მომენტი არც ჰქონიათ.

რა იქნებოდა, მეოთხმოცე წუთზე დათუაძეს ფეხი არ გამოეყო? რა და, „დინამოს“ ნაცვლად „ტორპედოს“ „ვიტ ჯორჯია“ მიეპარებოდა და ჩემპიონატიც მეტ ინტრიგას შეიძენდა.

არადა, ჩემპიონებს ჯერაც ძალუძთ საქართველოში რა გინდა რა მეტოქის ძლევა, თუმც „ვიტ ჯორჯიაც“ ძალიან კერკეტი კაკალი გამოდგა.

ვეტერინარებს გამოცდილების გარდა კიდევ რაღაც აკლიათ და დარწმუნებული ვარ, ეს სხვებზე უკეთ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს მოეხსენება.

დღეისთვის „ვიტ ჯორჯია“ შეიძლება ბევრით იყოს უკმაყოფილო, მაგრამ ჯერჯერობით ბედს ვერ დაემდურება. ღმერთი ხედავს ვიტელთა მონდომებას და სწყალობს კიდეც ისევე როგორც „ტორპედოს“ და „დინამოს“, თუმც მოვა დრო, როცა მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დარჩებიან.

სამტრედიაში „იბერიამ“ ჩვეულად არ იბრძოლა, მინდორზეც მოვალეობის მოხდის მიზნით გაეიდა და ეს საკმარისიც აღმოჩნდა „ბათუმისთვის“.

იმ მატჩმა ბევრს ეჭვი გაუჩინა (საერთოდ, საეჭვო სხვაც მრავალია ჩემპიონატში), სამტრედიელებმა თამაში ხომ არ მისცესო ბათუმელებს, მაგრამ მასპინძელი ქომაგებისა და ჟურნალისტების გარდა იმ ეჭვს არავინ გამოჰკიდებია. გულშემატკივრებს და ჩვენც მოგვბეზრდა უმიზნო დევნა და „ბათუმი“ ახლა მესამე საფეხურზეა.

კარნევალის უპირველესი საფიქრალი კი ქუთაისში თამაშია. თუ იქ „ბათუმმა“ ივარგა... მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

გორის „დილას“ ოდესღაც ხომ უნდა მოეგო და ეს „სიონთან“ საშინაო მატჩში მოახერხა. აშკარად აჯობეს მასპინძლებმა სტუმრებს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლნისელებს მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ.

თამაში ისეთი იყო, სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთთან სადაო არაფერი ჰქონდათ. „დილაც“ და „სიონიც“ ჩემპიონატში გასართობადღა მონაწილეობენ და არხეინად არიან.

იმედია, გორელები იმ ერთადერთი გამარჯვებით არ დაკმაყოფილდებიან და აქტივში ერთიორს კიდევ ჩაწერენ.

„ბ“ ზონაში ერთი რამ იყო საკითხავი, როგორ დამთავრდებოდა „სამგურალი“ — თსუ. თუ სტუდენტები იმარჯვებდნენ, მერე წყალტუბოელებს ვერაფერი იხსნიდა, მაგრამ მოიგეს და ჯგუფში ადგილის შენარჩუნების იმედი გაიორკეცეს.

არადა, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, ბოლოსკენაც გაიტანეს გოლი, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა. ამას გარდა სტუდენტები კიდევ ერთ მომენტს ედავებოდნენ იმავე თანამსაჯს, მაგრამ მიქელაძემ ერთხელ ნათქვამი აღარ გადათქვა, ხოლო მთავარმა ორდინიძემ ასისტენტს დაუჯერა.

გადაკვეთა თუ არა ბურთმა პირითი ხაზი, ანაც იდგა თუ არა თსუელი წუწუნავა თამაშგარეში, ძნელი სათქმელია. ალბათ, იარსებებს მატჩის ვიდეოფირი და მტყუან-მართალიც მისი ნახვის შემდეგ გაირჩევა.

სენაკში „ხობის“ სტუმარმა „ლოკომოტივმა“ დაივიწყა მასპინძლის რიდი და პატივისცემა. გოლები წვიმად დაატყდა ხობელთა კარს და საქმე იქამდე მივიდა, სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი ქომაგი რკინიგზელებს ანამუსებდა, კარგით, გეყოფათ, მეტს ნუ გაუტანთ ამ საცოდავებსო.

ეტყობა, წინა ტურში „გორდასთან“ დამარცხებულ „ლოკომოტივს“ აღშფოთებულმა ხელმძღვანელებმა ისეთი ცეცხლი შეუნთეს, რომ „ხობის“ გადასაბუგად საჭიროზე მეტი გამოდგა.

„ხობი“ კი „ბ“ ზონაში ყველასთვის მეწველ ძროხად იქცა. ადრე ბრძოლისუნარიანობით მაინც გამოირჩეოდა, ახლა...

„გორდამ“ საბოლოოდ იმსხვერპლა ჯონი ჯანელიძეც და „არსენალიც“. მომავალში არმიელთა ადგილსამყოფელი დაბალ ლიგაში იქნება საძიებელი. უპატრონო გუნდის გადარჩენის თეორიული შანსიც არ არსებობს და ამბობენ, ჯანელიძეც წავიდაო.

რუსთაველებმა კი მორიგი სამი ქულა მიითვალეს და დარჩენილი თამაშების განრიგს თუ გადავხედავთ, ჯგუფში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ.

აწყვეტილი „მერანი“ ვერც „თბილისმა“ შეაჩერა. ავჭალელებს, რომელთაც ახალმა მეპატრონემ სულზე მიუსწრო, ამიერიდან სანერვიულო აღარაფერი დარჩენიათ. ისინი მომავალ გათამაშებაზე გაცილებით მეტს ფიქრობენ. წლეულს ყველაფერი რიგზეა და იმიტომ.

„თბილისს“ თუ ეშველება რამე? ვეჭვობ, მუმლაძის ბიჭებმა რაიმე იღონონ. ამ გუნდის მომავალი თითქმის გარკვეულია. ახლა გავარდებიან, მერე, რა თქმა უნდა, ფეხბურთელები სხვა გუნდებს მიაშურებენ და „თბილისიც“, ალბათ, არსებობას შეწყვეტს.

არადა, დასანანია, ჩემპიონატის დასაწყისში „თბილისი“ უფრო ახალგაზრდული, უფრო მობილური და საინტერესოდ მოთამაშე გუნდი იყო.

ჩემპიონატში ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გართულდა და ჩაიხლართა. მთავარი კითხვა — „ტორპედო“ თუ „დინამო“ ისევ პასუხგაუცემელია.

სხვა მხრივ ტურს არა უშავდა. მასპინძლებმა ხუთი მოიგეს, ორჯერ სტუმრებმა ივარგეს, ხოლო ფრე ერთი, კინკილაღა გაგორდა. სულ 26 გოლი გავიდა, რაც ურიგო შედეგად არ ჩაითვლება.

„ხობი“ თითქმის გავარდნილია, „არსენალი“ უმწვრთნელოდ და ალბათ უფეხბურთელებოდაც დარჩა. პატრონი ისედაც არ ჰყავდათ და მათი ამბავიც თითქმის გადაწყვეტილია, ვეჭვობ „თბილისს“ რამემ ან ვინმემ უშველოს. დარჩა ერთი „სამგურალი“. ოოო, ესენი იბრძოლებენ და მერწმუნეთ, ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ყველაფერს იღონებენ. მომდევნო ტური აღდგომის წინადღეს ჩატარდება. ჰოდა, აღდგომა და ხვალეო... იქნებ 29-ში გაირკვეს გასარკვევი.

მამუკა კვანტალიანი

„მერანი“ — „თბილისი“ 4:0. მერანელმა სოსო დევიძემ (შუაში) ისე ითამაშა, რომ ტურის სიმბოლურ ნაყრებშიც მოხვდა

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

გომბარდირები

19 - იონანიძე	*ტორპედო*
14 - ვ. კილასონია	*გორდა*
12 - აუვეთია	*დინამო*
ალექსიძე	*დინამო*
11 - გ. ქორიძე	*ვიტ ჯორჯია*
10 - მეგრელაძე	*ტორპედო*
9 - ქებაძე	*ლოკომოტივი*
ხორგუაშვილი	*დილა*
8 - დ. ჯანაშია	*ტორპედო*
წიტაიშვილი	*დინამო*
რუსია	*ლოკომოტივი*

საქართველოს ჩემპიონატი — მეორე ეტაპი

8 ტური

„ა“ ზონის სტატისტიკა

ტური	8
მატჩი	32
გოლი	76
გოლი საშუალოდ მატჩში	2,37
მასპინძელთა მოგება	18 (56%)
ფრეები	8 (25%)
სტუმართა მოგება	6 (19%)
საერთო დასწრება	94 000
საშუალო დასწრება მატჩზე	2 937
საუკეთესო დასწრება ტურზე	IV,V: 15 000
მწირი დასწრება ტურზე	II: 100

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	53	13,25
სტუმარი	71	17,75
სულ	124	31,00
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	14	3,50
სტუმარი	12	3,00
სულ	26	6,50
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	26	6,50
სტუმარი	16	4,00
სულ	42	10,50
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	18	4,50
სტუმარი	15	3,75
სულ	33	8,25
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	11	2,75
სტუმარი	15	3,75
სულ	26	6,50

სემ - *საშუალოდ ერთ მატჩში*

დავჯარიმდა		სემ
მასპინძელი	43	10,75
სტუმარი	56	14,00
სულ	99	24,75
კუთხური		**სემ**
მასპინძელი	16	4,00
სტუმარი	20	5,00
სულ	36	9,00
კარისკენ დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	21	5,25
სტუმარი	22	5,50
სულ	43	10,75
კარში დარტყმა		**სემ**
მასპინძელი	36	9,00
სტუმარი	25	6,25
სულ	61	15,25
თამაშგარე		**სემ**
მასპინძელი	20	5,00
სტუმარი	18	4,50
სულ	38	9,50

სემ - *საშუალოდ ერთ მატჩში*

„ბ“ ზონის სტატისტიკა

ტური	8
მატჩი	32
გოლი	74
გოლი საშუალოდ მატჩში	2,31
მასპინძელთა მოგება	19 (59%)
ფრეები	4 (12,5%)
სტუმართა მოგება	9 (28,5%)
საერთო დასწრება	21 500
საშუალო დასწრება მატჩზე	672
საუკეთესო დასწრება ტურზე	III,VII: 2 000
მწირი დასწრება ტურზე	I,VII: 100

ვიტ ჯორჯია 1:1 დინამო

17	დავჯარიმდა	17
1	კუთხური	4
6	კარისკენ დარტყმა	6
3	კარში დარტყმა	5
3	თამაშგარე	1

კოლხეთი 2:1 ტორპედო

17	დავჯარიმდა	24
1	კუთხური	3
5	კარისკენ დარტყმა	2
6	კარში დარტყმა	2
0	თამაშგარე	4

იბერია 0:2 ბათუმი

7	დავჯარიმდა	11
3	კუთხური	2
4	კარისკენ დარტყმა	5
1	კარში დარტყმა	7
3	თამაშგარე	4

დილა 1:0 სიონი

12	დავჯარიმდა	19
9	კუთხური	3
11	კარისკენ დარტყმა	3
8	კარში დარტყმა	1
5	თამაშგარე	6

სამგურალი 3:1 თსუ

6	დავჯარიმდა	17
0	კუთხური	2
4	კარისკენ დარტყმა	4
10	კარში დარტყმა	4
2	თამაშგარე	4

მერანი 4:0 თბილისი

13	დავჯარიმდა	12
5	კუთხური	4
4	კარისკენ დარტყმა	4
10	კარში დარტყმა	4
7	თამაშგარე	3

გორდა 3:0 არსენალი

11	დავჯარიმდა	15
7	კუთხური	6
9	კარისკენ დარტყმა	5
11	კარში დარტყმა	3
10	თამაშგარე	6

ხობი 0:7 ლოკომოტივი

13	დავჯარიმდა	12
4	კუთხური	8
4	კარისკენ დარტყმა	9
5	კარში დარტყმა	14
1	თამაშგარე	5

სიგნალური ნაკრები

- ალბერტ საყვარელიძე — *დილა*
- რევაზ კვირნაძე — *სამგურალი*
- ბიორგი ანჩაბაძე — *დინამო*
- ვარლამ კილასონია — *გორდა*
- ივანე ჯუღელი — *ლოკომოტივი*
- ელდარ გვასალია — *კოლხეთი*
- სოსო დევიძე — *მერანი*
- ბიორგი ძანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
- ჯონი შალამბერიძე — *კოლხეთი*
- ედიკ საჯაია — *ვიტ ჯორჯია*
- სერგო ძურაძე — *ვიტ ჯორჯია*

გუნდი: კოლხეთი

მწვრთნელი: გია ტყებუჩავა *კოლხეთი*

«ა» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	8	4	2	2	19:9	10	32	4	3	1	0	12:2	10	10	4	1	1	2	7:7	0	4
2 დინამო	8	3	5	0	9:1	8	31	4	2	2	0	5:0	5	8	4	1	3	0	4:1	3	6
3 ბათუმი	8	5	1	2	14:3	11	29	4	3	0	1	11:2	9	9	4	2	1	1	3:1	2	7
4 ვიტ ჯორჯია	8	4	4	0	7:3	4	28	5	2	3	0	5:3	2	9	3	2	1	0	2:0	2	7
5 კოლხეთი	8	3	2	3	7:7	0	24	4	3	1	0	6:2	4	10	4	0	1	3	1:5	-4	1
6 სიონი	8	2	1	5	9:15	-6	18	4	2	1	1	9:7	2	7	4	0	0	4	0:8	-8	0
7 იბერია	8	2	1	5	5:19	-14	16	4	2	0	2	3:4	-1	6	4	0	1	3	2:15	-13	1
8 დილა	8	1	0	7	6:19	-13	13	3	1	0	2	1:4	-3	3	5	0	0	5	5:15	-10	0

«ბ» ზონა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
9 მერანი	8	6	2	0	10:1	9	28	4	3	1	0	6:0	4	10	4	3	1	0	4:1	3	10
10 ლოკომოტივი	8	5	2	1	14:2	12	26	4	2	2	0	5:1	4	8	4	3	0	1	9:1	8	9
11 გორდა	8	5	1	2	12:3	9	24	4	4	0	0	8:0	8	12	4	1	1	2	4:3	1	4
12 თსუ	8	5	0	3	11:7	4	23	4	3	0	1	4:1	3	9	4	2	0	2	7:6	1	6
13 სამგურალი	8	3	2	3	8:6	2	17	4	3	0	1	7:3	4	9	4	0	2	2	1:3	-2	2
14 არსენალი	8	2	0	6	7:16	-9	11	4	2	0	2	6:9	-3	6	4	0	0	4	1:7	-6	0
15 თბილისი	8	1	1	6	5:14	-9	11	4	1	1	2	3:2	1	4	4	0	0	4	2:12	-10	0
16 ხობი	8	1	0	7	7:25	-18	8	4	1	0	3	5:14	-9	3	4	0	0	4	2:11	-9	0

«ა» ზონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთა
22 აპრილი
16 საათი
არმაზი
3 000 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 1:1 დინამო

1:0 ქორიძე (29), 1:1 დათუაძე (80)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (კობიაშვილი 25), დ. დოლიძე, კოტრაშვილი (დიღმელაშვილი 65), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ზ. გვაზავა 73)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; მორჩილაძე, რ. გოცირიძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (ანჩაბაძე 46), მინაშვილი, სიჭინავა (ზირაქიშვილი 58), არველაძე (დათუაძე 35), გ. შენგელია, გუჩუა
სათადარიგონი: ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, შელია, შაშიაშვილი
გაფრთხილება: დათუაძე (88)
მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ყველა თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ფოთი
22 აპრილი
16 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 500)

კოლხეთი 2:1 ტორპედო

1:0 ხვადაგიანი (28 ს.კ.), 2:0 გვასალია (78), 2:1 ხვადაგიანი (82)
კოლხეთი: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე (ახალკაცი 88), კიკლიაშვილი, ხუჭუა (გ. ჩიტაია 76), ე. გვასალია, მ. ქობულაძე, შალამბერიძე
სათადარიგონი: მ. გვასალია; შავგულიძე, ქუნთელია, კედელაშვილი, ღაღანიძე
ტორპედო: ზოიძე, შეყრილაძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე (გოგიაშვილი 79), ახვლედიანი (მ. ბობოხიძე 65), კ. კვეტენაძე, ასათიანი (მედოევი 55), ჩხეტიანი, მეგრელაძე, იონანიძე
სათადარიგონი: ჭანტურია; თავბერიძე, თურმანიძე, ამისულაშვილი
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

სამტრედია
22 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

იბერია 0:2 ბათუმი

0:1 სიდამონიძე (12), 0:2 ხომერიკი (54)
იბერია: ა. ჩომახიძე, ფვანია, ხურციძე (ნ. გიორგაძე 65), გეგეშიძე, მიქელთაძე (დ. ნოზაძე 58), კ. ჯანაშია, მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე (ხმალაძე 44), ზ. მეტრეველი, მუმლაძე, ივეჩიანი
სათადარიგონი: ვარდანიძე; გედენიძე, ბიწაძე, ბანძელაძე
ბათუმი: ჩლაიძე, სიხარულიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, თ. ქაცარავა, ღლონტი (ი. მახარაძე 56), ტულუში (თარგამაძე 46), თედორაძე, მაჭუტაძე (ხომერიკი 46), ა. მუჯირი, აფხაზავა
სათადარიგონი: ტოგონიძე; შ. ხუჯაძე, კობიძე, ჩიჩუა
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

გორი
22 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
600 (ტევადობა 8 230)

დილა 1:0 სიონი

1:0 სულთანიშვილი (78)
დილა: სოღოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ებანოიძე 74), ციცქიშვილი (კარელიძე 87), საყვარელიძე (ოლგესაშვილი 82), ფეზუაშვილი, სულთანიშვილი
სათადარიგონი: მდივანი; არუთინიანი, ელყანიშვილი, კოჭლაშვილი
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, მ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, ისიანი (თ. სამხარაძე 81), ნ. მინდიაშვილი, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, სვანიძე (დ. ჯაფარიძე 84)
სათადარიგონი: ვოლკოვი; ფ. არჩვაძე, ელბაქიძე
გაფრთხილება: ლომიძე (40)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

«ბ» ზონა

წყალტუბო
22 აპრილი
16 საათი
26 მაისი
400 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 3:1 თსუ

0:1 ერაძე (16), 1:1 დარსაძე (18), 2:1 სუხიაშვილი (56), 3:1 კვერნაძე (63)
სამგურალი: სტურუა, ვოსკანოვი, ჩხაბერიძე, ფრანგიშვილი, გ. ჯანელიძე (ქელიძე 46), გიორგობიანი, ბერაძე, სუხიაშვილი, გ. ძაგნიძე (ხუნდაძე 30), დარსაძე, კვერნაძე (ქუთათელაძე 77).
სათადარიგონი: ბოდოკია; ნებიერიძე, ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე
თსუ: მერლანი, ბარქაია (თ. ბოკერია 65), ინწკირველი (ლობჟანიძე 65), ებრალიძე, ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი, ერაძე, დ. არჩვაძე (ქადაგიძე 70)
სათადარიგონი: გუგუნავა; ფარქოსაძე
გაფრთხილება: ინწკირველი (55)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ს ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

თბილისი
22 აპრილი
16 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

მერანი 4:0 თბილისი

1:0 კაკაბაძე (6), 2:0 დავითაშვილი (22), 3:0, 4:0 დვივიძე (35, 71)
მერანი: ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დვივიძე, ილურიძე, დავითაშვილი (ჯიშკარიანი 66), ხორხელი (ივანიშვილი 46), კაკაბაძე (კობესაშვილი 57), ჭინჭარაული, გუჯაბიძე, კარიაული, როსტიაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ლ. თოლორდავა, ამბიძე
თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე (ყუფარაძე 50), ზვ. ლაბაძე, დ. ტყებუჩავა (თ. მაისურაძე 46), ბარნოვი, ჩივაძე (ჯოხრეიძე 46), ი. შენგელია, ლოლაძე, გადელია
სათადარიგონი: მამალაძე; ძაგნიძე, კანდელაკი
გაძევება: ილურიძე (40)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე; თ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

რუსთავი
22 აპრილი
16 საათი
ფოლადი
800 (ტევადობა 10 700)

გორდა 3:0 არსენალი

1:0, 2:0, 3:0 ვ. კილასონია (38, 44, 86)
გორდა: ბედიაშვილი, ბერიძე (სილაგაძე 50), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მიშველიძე, გ. კილასონია, ბაჩილავა (ა. ბუკია 78), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (ჯიტეიშვილი 82)
სათადარიგონი: გონგაძე; მჭედლიძე, პატარიძე, მ. სახვაძე
არსენალი: [illegible]ტაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე (ჩალაძე 76), ხმალაძე (გ. ტულუში 57), წივწივაძე, ქოიავა (წონკოლაური 78)
სათადარიგო: დ. ქაცარავა
გაფრთხილება: ხარებავა (39), გ. კილასონია (84)
მსაჯები: ი. კახიანი; ო. ხეცაძე, კ. თბილელი (ყველა თბილისი); გ. ასკაროლი (ქარელი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

სენაკი
22 აპრილი
16 საათი
ეარისი
500 (ტევადობა 3 000)

ხობი 0:7 ლოკომოტივი

0:1 ჯუღელი (5), 0:2 რუსია (7), 0:3 ხუროძე (11), 0:4 ხიზანიშვილი (44), 0:5 ჯუღელი (73), 0:6 აბრამიძე (87), 0:7 კვარაცხელია (88)
ხობი: ნიქაბერიძე (რ. თოლორდავა 12), ჯამბურია, ოდიშარია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა (მ. ტყებუჩავა 30), გ. გიორგაძე, ვ. ჩიტაია, ბულუხია, ვართაგავა, ზაზა აიანადი (დ. ჩიტაია 46)
სათადარიგონი: ჯიქია, აბაკელია, ლ. ბუკია
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, ხიზანიშვილი (კაციაშვილი 46), გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჯუღელი, ხუროძე (გ. ჩხაიძე 46), რუსია (ჭიჭვეიშვილი 46)
სათადარიგონი: ლომაია; დ. გოდერძიშვილი, გილაური, ონიანი
გაფრთხილება: ზურაბ აიანადი (23)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), გ. მარღიშვილი (ქარელი); გ. კიკალიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ვის დაემუქრონ ფეხბურთელები?

უფულო არსენალს მწვრთნელიც განუდგა

თბილისის „არსენალს“ თითქოს ხელმოკლეობა და უპატრონობა არ აკლდა, ახლახან უმწვრთნელოდაც დარჩა. ჯონი ჯანელიძე გუნდიდან წავიდა. მიზეზი სწორედ უფულობაა.

შაბათს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში, „არსენალი“ რუსთავში „გორდას“ მთავარი მწვრთნელის გარეშე ეწვია. იმ შეხვედრაში გუნდის გაძღოლა ავლაბრელთა ტექნიკურმა დირექტორმა თემურ ცერცვაძემ ითავა. მას მწვრთნელობის შეთავსება კიდევ ექვსჯერ (სწორედ ამდენი ტურია მეთერთმეტე ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენილი) მოუწევს, რადგან ჯანელიძეს „არსენალში“ მუშაობაზე საბოლოოდ უთქვამს უარი. მისი ვითომ არმიულ (მხოლოდ სახელიღა აქვს არმიული) კლუბში ყოფნა სამი თვით შემოიფარგლა, შეგახსენებთ, ჯანელიძე გუნდს იანვრის მიწურულს ჩაუდგა სათავეში. მწვრთნელი მაშინ „არსენალში“ მარტო არ მისულა, თანაშემწედ ახლო წარსულში ცნობილი მსაჯი მალხაზ კობიაშვილი მიიყვანა. „ისნის“ ბინადართა რჩენა კერძო ბიზნესმენმა მერაბ შუკაკიძემ აიღო თავის თავზე, თუმცა, როგორც აღმოჩნდა მცირე ხნით. გუნდში მხოლოდ ერთი თვის ხელფასი დარიგებულა, მერე კი ფეხბურთელებს, ისევე, როგორც ადრე, დაპირებებით კვებავდნენ. ბოლოს კლუბის ყოფილი პრეზიდენტის ჯონი ფირცხალაიშვილისა არ იყოს, შუკაკიძეც სადღაც გაუჩინარდა. ჯანელიძემ ცოტა ხანს იცადა, მერე კი თავადაც გაცლა არჩია. მასთან ერთად გუნდი კობიაშვილმაც დატოვა, ფეხბურთელები კი ცერცვაძის ამარა დარჩნენ.

უმწვრთნელოდ მყოფი ავლაბრელები ვარჯიშს განაგრძობენ. მათ ტექნიკური დირექტორი ხელმძღვანელობს, ცერცვაძე თამაშებზეც უთავკაცებს გუნდს, მერე რა იქნება, ღმერთმა იცის. ის კი ნაღდია, რომ ფეხბურთელები დარჩენილ ექვს შეხვედრაშიც გავლენ მინდორზე. აპრილის პირველ ნახევარში კი აცხადებდნენ უხელფასობით გატანჯულები, „თბილისთანაც“ ვითამაშებთ და მერე მოედანზე ფეხის შემდგმელები აღარ ვართო, მაგრამ სიტყვა საქმედ არ აქციეს. ახლა კი აღარც იმუქრებიან, ან კი ვის დაემუქრონ? მათი ბედი არავის ანაღვლებს. ფეხბურთელებსაც ისღა დარჩენიათ, მოთმინებით ჩაამთავრონ სეზონი, მერე კი ახალი კლუბი ეძიონ.

ჯონი ჯანელიძე

სარბიელის არქივიდან

რა ელის „არსენალს“, ეს კი არავინ, იცის. გავარდნა რომ არ ასცდება, ახლავე ნათელია, მაგრამ ისიც საკითხავია, იარსებებს თუ არა ეს გუნდი მეორე ლიგაში.

ვანო ოძროპირიძე

სომხური რევანში

ბოლნისი 22 მარტი 12 საათი თიმური სტეფანია 2 000 (ტევადობა 3 000)	
საქართველო 1:2 სომხეთი	
თექვსმეტწლამდელები	
0:1 მელქონიანი (41), 1:1 ელბაქიძე (70), 1:2 დავითიანი (80)	
საქართველო: გერგედავა, ბელეური (გგაგუა), ბეჟაშვილი (ბარბაქაძე), ქარუმიძე, კოპალიანი, ფირცხალავა (ერემაშვილი), დარსანია, კუხალაშვილი (კაშია), ბირკაია (ბურჯანაძე), ბენდელიანი (ელბაქიძე), მაჭავარიანი	
სომხეთი: ბოიახჩიანი, ბენიამიანი, კარაპეტიანი, ბაღდასარიანი, არაქელიანი, მანუკიანი (რ. პოღოსიანი), ა. ხაჩატრიანი (ავეტისიანი), კარაბახჩიანი, აირაპეტიანი, ს. სარქისიანი, მელქონიანი (ა. სარქისიანი, დავითიანი)	
გაფრთხილება: ბეჟაშვილი, ავეტისიანი, არაქელიანი, კარაბახჩიანი	
მსაჯები: მ. მაისურაძე; დ. ხარიტონაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; დ. გიგალაშვილი	

შაბათს საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებმა მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა სომეხ თანატოლებთან და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა.

პირველ მატჩში სომხებთან დიდი ანგარიშით გამარჯვების (4:0) შემდეგ ბოლნისში, „თემურ სტეფანიაზე“ მისული არცთუ ცოტა გულშემატკივარი ქართველი ყმაწვილებისგან ამჯერადაც გამარჯვებას ელოდა, თუმცა ამაოდ. მოგეხსენებათ, ნაკრების ახალი თავკაცი თენგიზ სულაქველიძე ჯერაც ძიების პროცესშია და ამიტომ სომეხ თექვსმეტწლამდელებთან მეორე მატჩში ნაკრები თითქმის ახალი შემადგენლობით ათამაშა. უგოლოდ დამთავრებული ორმოცწუთიანის შემდეგ სტუმრებმა გახსნეს ანგარიში. მელქონიანის გოლს ელბაქიძემ მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე უპასუხა, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთზე დავითიანმა უზომოდ გაახარა თავისიანები. ამ მოგებით სომხებმა როგორც იქნა, ნავსი გატეხეს ქართულ გუნდებთან და პირველი გამარჯვება მოიპოვეს. უკმაყოფილო არც თენგიზ სულაქველიძე დარჩენილა. მოსამზადებელი ეტაპი გეგმის მიხედვით მიდისო, განაცხადა თექვსმეტწლამდელთა მთავარმა მწვრთნელმა.

ქართულ-სომხური საფეხბურთო დაპირისპირება კი დღეს გაგრძელდება — ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სომხეთს სტუმრობენ.

დათო დანელია

შენგელიას ტორპედო უნდა

ბოლნისური „სიონის“ თავდამსხმელ ბესიკ შენგელიას გადაბირება მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველადგილოსან „ტორპედოს“ სურს.

ეს ინფორმაცია „სიონის“ ხელმძღვანელობამაც დაადასტურა. მათი თქმით, შენგელიას ქუთაისურ კლუბში გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

„სიონი“ ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს. დავით დათუაძე „დინამოს“ გაღაიბირა, დავით გოდერძიშვილი ძველ კლუბს — „ლოკომოტივს“ დაუბრუნდა, კახა სიდამონიძე კი „ბათუმს“ მიაშურა, ბესიკ შენგელიაც იმ პერიოდში დაიმატა შემადგენლობაშეთხელებულმა ბოლნისურმა კლუბმა. ფეხბურთელმაც არ უმტყუნა „სიონის“ ხელმძღვანელობას და მეორე ეტაპზე ერთ-ერთი სტაბილურია გუნდში.

— შენგელიას გულით უნდა „ტორპედოში“ თამაში, არც კლუბია ამის წინააღმდეგი და ალბათ ყველაფერი ფეხბურთელისთვის სასიკეთოდ დამთავდება — განაცხადა „სიონის“ წამომადგენელმა ჩვენთან საუბარში. შესაძლოა ასეც მოხდეს, ოღონდ ამ შემთხვევაშიც ბესიკ შენგელია მომავალ ჩემპიონატამდე ვერ ითამაშებს „ტორპედოში“, რადგან დებულებით არა აქვს ამის უფლება.

პაატა ძვანტალიანი

გიგიაძის ორი ვარიანტი

ადვილი შესაძლებელია, 29 აპრილს „ტორპედოს“ სტადიონზე ტყუპ ძმებ გიგიაძეებთაგან ერთ-ერთი — ვასო ვიხილოთ. ვასო გიგიაძემ, მოგეხსენებათ, მოსამზადებელი პერიოდი რუსეთის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ მახაჩკალის „ანჟიში“ გაიარა, მაგრამ ბოლოსკენ წელის ტკივილმა შეაწუხა, სამკურნალო შეიქნა და იძულებული გახდა გუნდს ჩამოშორებოდა. ერთთვიანმა მკურნალობამ ნორმალურად ჩაიარა და ვასოც, როგორც თავად განაცხადა, რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრიდან შეემატება დაღესტნურ კლუბს. მანამდე კი... ვასო გიგიაძე, იცით, ქუთაისელია და ორი კვირაა „ტორპედოსთან“ ერთად ვარჯიშობს. „ტორპედოს“ მესვეურებს მისი გუნდში მოყვანა სურთ, ოღონდ საქმე რატომღაც ჭიანურდება. სამაგიეროდ... შენი თანხმობა იყოს და, უპრობლემოდ შეგიყვანთ განაცხადში, „ტორპედოს“ წინააღმდეგაც გათამაშებთო — შეხმიანებიან თურმე ამ დღეებში ვასოს „ბათუმიდან“...

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

ვასილ გიგიაძე

რეგიონალური ლიგა

დასავლეთი
„ა“ ზონა
XVI ტური
21 აპრილი

გურია 2:1 გაგრა
0:1 მანაგაძე (53), 1:1, 2:1 ფაცურია (85, 87)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

რწმენა 0:1 მარგვეთი
0:1 გეწაძე (29)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

სულორი 2:3 ოკეანე
0:1 კაცაძე (12), 0:2 ლორთქიფანიძე (17), 1:2 ჩუბენიძე (22), 2:2 ადეიშვილი (70), 2:3 მესიაჩენკო (80)
გაძევება: ნიკოლეიშვილი (88)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

მეტალურგი 4:0 მეშახტე
1:0, 2:0, 3:0, 4:0 ბუქსიანიძე (20, 36, 82, 86)
გაფრთხილება: მახათაძე (მეტალურგი), ავალიშვილი (მეშახტე)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

23 აპრილი

იბერია 2 2:0 რაჭა
1:0 ხმალაძე (65), 2:0 ოდიკაძე (73)
გაფრთხილება: ბობოხიძე (იბერია 2)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

მაღაროელი 0:2 ინტერი
0:1 შ. მაღლაკელიძე (40), 0:2 ცუცქირიძე (83)
გაფრთხილება: კაპანაძე (მაღაროელი), ცუცქირიძე, მეგრელიშვილი (ორივე ინტერი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

მარგვეთი	16	13	3	0	52:11	42
ოკეანე	16	10	3	3	37:19	33
იბერია 2	16	7	6	3	28:18	27
მეტალურგი	16	7	5	4	27:21	26
ინტერი	15	6	6	3	20:12	24
გაგრა	16	5	6	5	21:24	21
რწმენა	16	4	6	6	12:18	18
რაჭა	16	4	6	6	20:21	18
სულორი	16	4	5	7	18:35	17
მაღაროელი	16	2	5	9	20:30	11
გურია	16	3	1	12	16:33	10
მეშახტე	15	2	4	9	15:44	10

დასავლეთი
„ბ“ ზონა
XVI ტური
20 აპრილი

მეგრი 2:1 ბათუმი 2
0:1 ჩიჩუა (35პ), 1:1 კუტალია (70), 2:1 კ. კვეკვესკირი (87პ)
გაფრთხილება: იოსავა (მეგრი), ჩიჩუა (ბათუმი 2)
მსაჯი: გ. კიკაჩიშვილი (ქუთაისი)

21 აპრილი

ზუგდიდი 2:1 შუქურა
0:1 ბერიძე (49), 1:1 გოგიტაძე (64), 2:1 ჯიქია (75)
თორიამ ვერ გაიტანა პენალტი (69, ზუგდიდი)
გაფრთხილება: ფუტკარაძე (შუქურა)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

მერცხალი 1:3 ფაზისი
0:1 მაკალათია (29), 0:2 მასხულია (67), 1:2 მუჟავანაძე (70), 1:3 ნაცვლიშვილი (83)
გაფრთხილება: აბაშიძე (მერცხალი), ხურცილავა (ფაზისი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სქური 0:5 ლაზიკა
0:1 ლიპარტია (25), 0:2 თოდუა (39), 0:3 ჯაბუა (44), 0:4, 0:5 თოდუა (80, 87)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ჩელა 0:0 სამეგრელო
გაფრთხილება: ღვინჯილია (სამეგრელო)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

კოლხეთი 2 3:0 ბახმარო
ბახმარო არ გამოცხადდა

შუქურა	16	13	2	1	53:15	41
ზუგდიდი	16	11	2	3	43:15	35
მეგრი	16	11	2	3	24:12	35
ლაზიკა	16	9	4	3	34:13	31
კოლხეთი 2	16	9	4	3	21:14	31
ფაზისი	16	9	3	4	29:24	30
სამეგრელო	16	4	4	8	19:26	16
სქური	16	4	2	10	21:41	14
ბათუმი 2	16	1	8	7	15:24	11
ჩელა	16	2	4	10	15:39	10
მერცხალი	16	1	5	10	9:29	8
ბახმარო	16	1	2	13	10:41	5

აღმოსავლეთი
„ა“ ზონა
XV ტური
21 აპრილი

იბერია 1:0 მეშახტე
1:0 კოჩაძე (38)
გაფრთხილება: ხიდაშელი, ხატიაშვილი (ორივე იბერია)
გაძევება: ხიდაშელი (76, იბერია)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

არაგვი 2:1 საუ
1:0 ი. ქეთელაური (51), 2:0 მარტიროსიანი (65), 2:1 ბოჭორიშვილი (85)
გაფრთხილება: მარტიროსიანი, ოდიშელიძე, ჩიტაური, ჯანგირაშვილი (ყველა არაგვი), შაბაშვილი (საუ)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ცხინვალი 4:1 ცხუმი
0:1 ნარმანია (8), 1:1 ბოჭორაძე (15), 2:1 ტყემალაძე (64), 3:1 ხოხობაშვილი (69), 4:1 ცხადაძე (78)
გაფრთხილება: მოსიაშვილი, ხახიშვილი (ორივე ცხინვალი), ჭანტურიძე, დევდარიანი, ნარმანია, დანელია (ყველა ცხუმი)
გაძევება: დანელია (84, ცხუმი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

მრეტები 1:1 თორი
0:1 გლუნჩაძე (26), 1:1 ჩახვაძე (86)
გაფრთხილება: გურგენიძე, ასანიძე (ორივე მრეტები), ელისაშვილი (თორი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

ვარძია — განთიადი
განთიადი არ გამოცხადდა

ცხინვალი	14	11	2	1	28:4	35
თორი	15	10	2	3	31:12	32
ივერია	14	10	0	4	35:15	30
იბერია	15	8	1	6	22:16	25
განთიადი	14	7	1	6	23:26	22
ცხუმი	15	6	2	7	24:20	20
მესხეთი	14	5	4	5	28:28	19
საუ	15	5	1	9	20:26	16
ვარძია	15	4	1	10	13:16	13
მრეტები	14	2	5	7	12:27	11
არაგვი	15	2	1	12	14:40	7

აღმოსავლეთი
„ბ“ ზონა
XV ტური
21 აპრილი

ლოკომოტივი 2 2:0 ყვარელი
1:0 ნ. ბაკრაძე (44), 2:0 ჯანელიძე (77)
მსაჯი: ზ. ჯვარიძე (თბილისი)

23 აპრილი

თბილისი 2 1:1 ზოოვეტი
1:0 მანჭარაული (17), 1:1 კევლიშვილი (69)
გაფრთხილება: სახარია, მანჭარაული, ზურაბაშვილი (ყველა თბილისი 2)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

ამირანი 4:1 სამგორი
1:0 მელიქია (6), 2:0 აბულაძე (49), 3:0 მელიქია (60), 4:0 ჩიღვინაძე (72), 4:1 კალანდაძე (86პ)
გაფრთხილება: მიშელაძე, დავითაშვილი, კოშკაძე (ყველა ამირანი), ჩვინტაშვილი (სამგორი)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

არსენალი 2 1:0 აკადემია
1:0 კალმახელიძე (65)
გაფრთხილება: ბერიანიძე, კივილაძე, გაგუა (ყველა არსენალი 2), რობაქიძე, ვაშაკიძე (ორივე აკადემია)

ალაზანი 4:0 ხალიბი
1:0 ვარამიშვილი (25), 2:0 მიკუჩაძე (65), 3:0 ტოკლიკიშვილი (68), 4:0 ყოლბაია (85)
გაფრთხილება: გუდურაშვილი (ალაზანი), გაბიჩვაძე, ქერაშვილი, ლურსმანაშვილი (ყველა ხალიბი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

ლოკომოტივი 2	14	11	1	2	30:11	34
არსენალი 2	15	9	4	2	30:16	31
ზოოვეტი	14	9	3	2	33:18	30
ჭაბუკიანი	14	8	2	4	22:9	26
ალაზანი	14	8	2	4	28:16	26
ამირანი	15	7	2	6	25:28	23
ხალიბი	15	5	2	8	17:26	17
აკადემია	14	3	4	7	9:12	13
თბილისი 2	15	3	4	8	18:24	13
სამგორი	15	2	1	12	16:43	7
ყვარელი	15	2	1	12	12:37	7

კობის სამი სხვებისაზე მეტია

„ჰელმონდ სპორტთან“ სამი გოლის გამტანი არჩილ არველაძე

სამი გოლი ოთხ მატჩში — ასეთია ბუნდესლიგური „ფრაიბურგის“ ქართველი მარცხენაფლანგელის ლევან კობიაშვილის საპრილო მონაგარი.

ბევრია სამი გოლი, მით უმეტეს, როცა აგერ ამ უქმეებზე არჩილ არველაძემ სულაც ჰეთ-თრიქი შეასრულა?...

ცხადია, ვიცით, რომ სხვაა გერმანულ ბუნდესლიგაში მოთამაშე მცველის ჯომარდობა და სხვა ჰოლანდიის „ტოტოდივიზიებში“ ბომბარდირობით თავის გამოჩენა.

კობიაშვილის გოლები „ფრაიბურგს“ არგავარდნაში ეხმარება, არჩილ არველაძის გატანილი კი „ბრედას“ უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებას აჩქარებს.

ორივე ქართველის გუნდი ლიგათა საზღვარზეა. იმედია, საგაისოდ დაბალ ლიგაში არც ერთი აღმოჩნდება.

კობიაშვილმა სამჯერ აპრილში გაიტანა, თორემ ბოლო 6 ტურში, რომელთაგან ერთი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, 4 გოლი შეაგდო.

ფეხბურთელის კარიერაში დასამახსოვრებლად და თავმოსაწონად ოთხთაგან ერთი, „ბაიერნის“ კარში გატანილი დარჩება. თუმცა „ფრაიბურგისთვის“ უფრო მნიშვნელოვანი დანარჩენი გოლები გამოდგა, რომლებმაც ქართველთა კლუბს ქულები მოუტანა.

შაბათს „შალკესთან“ ანგარიშის გათანაბრება და კონდეს გოლით დასრულებული საჯარიმო დარტყმა ლევანს გერმანულმა „კიკერმაც“ დაუფასა.

კვლავ უგოლო იყო „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი, რომლის კარგი თამაში კლუბს არანაკლებ დაეტყო. მესამე ქართველი, ტრავმამოშუშებული ლევან ცქიტიშვილი, გუნდთან ერთად ვარჯიშს კი შეუდგა, მაგრამ საეჭვოა ბუნდესლიგაში თამაშის გაგრძელება ამ სეზონშივე მოასწროს.

ტრავმისვე მერე პრემიერლიგას ერთადერთი ქართველი გიორგი ქინქლაძე დაუბრუნდა. ქინქლაძის „დერბიმ“ 4:4 ითამაშა სტუმრად „ბრედფორდთან“ და 2:0 მოუგო გუშინწინ „საუთჰემპტონს“.

პირველ მატჩში გიო მინდორზე 65-ე წუთზე შეუშვეს, მაშინ, როცა რვავე გოლი გასული იყო.

„ლიდსთან“ საშინაო ფრეში წილი ვერ დაიდო მუხლმტკივანმა თემურ ქეცბაიამ. რატი ალექსიძის დებიუტი კი ჯანლუკა ვიალის დაპირების მიუხედავად ვერ შედგა. რატი ვიალის „მიდლსბროსთან“ სათამაშო 20-კაციან სიაში ჰყავდა, მაგრამ სამატჩო განაცხადში ვერც „ბოროსთან“ მოხვდა და ვერც „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

ფეიენოორდში 1:1 ითამაშა შოთა არველაძის „აიაქსმა“. ბრაიან ლაუდრუპის პასით ქართველს შეეძლო ამსტერდამელთათვის გამარჯვების მოტანა, მაგრამ კარს აცილა.

სამაგიეროდ, როგორც თავში ვთქვით, მე-12 ადგილოსან „ჰელმონდ სპორტთან“ ჰეთ-თრიქი შეასრულა არჩილ არველაძემ, რომლის „ბრედა“ ჰოლანდიის მეორე დივიზიონში პირველია და უახლოეს მდევარს 6 ქულით უსწრებს. წინა ტურში გაძევების მიუხედავად კვლავ ითამაშა ლიერსელმა გელა შეყილაძემ, რომლის გუნდმა „ბრიუგეს“ 1:0 მოუგო. ბელგიის მეორედივიზიონელმა ლაშა ჯაკობიამ კი ამჯერად მიიღო ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის მურთაზ ხურცილავას მიწვევა. ჯაკობია შინ გამოემგზავრა და „ჰეკელგემთან“ ვეზეტის მარცხში ბრალი არ მიუძღვის.

ისევ დამარცხდა ქართველ შვეიცარიელთა „ციურიხი“, რომელიც ახლა გადათამაშების ჯგუფში მეექვსე, ჯამში კი მეთოთხმეტე ადგილზეა. თუ ჯამარაულის და ყაველაშვილის გუნდმა სულ მცირე ორი ადგილით მაღლა არ აიწია, „ციურიხი“ გაისადაც დაბალლიგელებთან იამხანაგებს.

სალონიკში ქულა გამოგლიჯა პაოკ-ს ოდერიძი ნატროშვილის „პანაჰაიკმა“, სალონიკისვე დერბიში და უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში ლევან ქებაძის „ირაკლისმა“ 1:2 წაგო „არისთან“.

ლატვიაში ქართველების „სკონტომ“ ის „პოლიციასი“ გაანადგურა 5:0, რომელსაც ამ გაზაფხულზე დროებით მიაბარა ახალწვეული ვალერი გაგუა. ერთი გოლი ზურაბ მენთეშაშვილმა გაიტანა, რაც ამ სეზონის სამ მატჩში მისთვის უკვე მეორეა.

ვერაფრით ისახელეს თავი რუსეთის უმაღლესდივიზიონელმა ჩვენებურებმა. ვისმა გუნდმაც მოიგო, არ უთამაშია, „ალანიამ“ კი ნიჟნიში ნათამაშევი ფრით ბევრი ვერაფერი შეიმატა,

პირველ დივიზიონში კი ექსცხუმელები გამოირჩნენ. სოჭს დაბრუნებული გოჩა გოგრიჭიანი დუბლით დაუზავდა ტოლიატის „ლადას“: ზღვისპირელები გოჩას გოლით იგებდნენ და ორჯერ რომ გაუშვეს, მერე გოგრიჭიანისვე პენალტით გათანაბრეს ანგარიში.

სოჭელისგან განსხვავებით, პენალტი ვერ გაიტანა სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივის“ უფროსმა ჯელაძემ — ზვიადმა. გივი ნოდიას „ლოკომოტივმა“ შინ წააგო „რუბინთან“.

უკვალოდ არ ჩაუვლია სარატოველი მიხეილ ჯიშკარიანის აქტიურობასაც. „სოკოლი“ ტულაში „არსენალს“ ქულას გამორჩა.

უკრაინაში კალაძის და დემეტრაძის „დინამომ“ და დარასელიას ცსკამ მოიგო, კაიდარაშვილის „კრივბასმა“ წააგო, 8 ქართველის „ნივამ“ კი ფრედ ითამაშა. გამოსაყოფია ტრავმის შემდეგ ვიტალი დარასელიას დაბრუნება ცსკა-ში და ტერნოპოლელი ავთანდილ სიხარულიძის გაძევება. უკრაინულმა მედიამ ქართველი თავდამსხმელი დაიცვა — მსაჯმა შახტარელი სტაროსტიაკის უხეშობა ვერ დაინახა და მხოლოდ სიხარულიძის „ხურდას“ შეხედაო. კიროვოგრადელმა არბიტრმა გოროჟანკინმა სტაროსტიაკი გაფრთხილებას დააჯერა.

ტყუპად მოიგო ისრაელის ქართულმა დუეტმა, გიორგი დარასელიას „ქვარ სავამ“ მასზე წინ მდგომ ჰერცლიას „მაკაბი“ სტუმრად დაამარცხა, გახოკიძის ჰაიფას „მაკაბმ“ კი შინ სძლია ბოლო 15 წუთს ათი კაცით დარჩენილ „აშდოდს“.

ივარგა ტირასპოლურმა „შერიფმა“, რომელმაც ამ ტურში 2 ქულა მოუგო მდევარ „ზიმბრუს“ და საჩემპიონო ტახტისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით გაიწია.

ვახტანგ ბზიკაძე

სახელი	გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა			
ინგლისი									
პრემიერლიგა									
თემურ	ქეცბაია	ნიუკასლი	შ	ლიდსი 2:2	0	ტრავმა	16	1	12
გიორგი	ქინქლაძე	დერბი	ს	ბრედფორდი 4:4	25	შეცვლაზე ითამაშა	14	1	16
		დერბი	ს	საუთჰემპტონი 2:0	89	შეცვალეს	15	1	16
რატი	ალექსიძე	ჩელსი	შ	მიდლსბრო 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	5
		ჩელსი	ს	მანჩესტერი 2:3	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	5
გერმანია									
ბუნდესლიგა									
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:1	90		19	1	12
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:1	90	გოლი	30	5	12
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	შალკე 2:1	0	ტრავმა	2	1	12
ჰოლანდია									
პირველი დივიზიონი									
შოთა	არველაძე	აიაქსი	ს	ფეიენოორდი 1:1	75		12	5	3
მეორე დივიზიონი									
არჩილ	არველაძე	ბრედა	შ	ჰელმონდ სპორტი 3:2	90	3 გოლი	24	18	1
ბელგია									
პირველი დივიზიონი									
გელა	შეყილაძე	ლიერსი	შ	ბრიუგე 1:0	90		17	0	6
მეორე დივიზიონი									
ლაშა	ჯაკობია	ვეზეტი	შ	ჰეკელგემი 1:3	0	ტრავმა	15	12	17
შვეიცარია									
პირველი დივიზიონი									
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი	ს	ლუგანო 1:2	90		27	6	14
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი	ს	ლუგანო 1:2	0	სათადარიგო	15	1	14
საბერძნეთი									
პირველი დივიზიონი									
გოდერძი	ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	პაოკ 1:1	90		15	1	13
ლევან	ქებაძე	ირაკლისი	ს	არისი 1:2	33		6	1	7
ლატვია									
პირველი ლიგა									
დავით	ჩალაძე	სკონტო	ს	პოლიციასი 5:0	90		3	0	1
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	ს	პოლიციასი 5:0	90		3	0	1
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	ს	პოლიციასი 5:0	90	გოლი	3	2	1
ლევან	კორლალიძე	სკონტო	ს	პოლიციასი 5:0	32	შეცვლაზე ითამაშა	2	0	1
ვალერი	გაგუა	პოლიციასი	შ	სკონტო 0:5	34	შეცვლაზე ითამაშა	3	0	6
რუსეთი									
უმაღლესი დივიზიონი									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	ს	როტორი 4:0	0	ტრავმა	2	1	1
მიხეილ	აშვეთია	ალანია	ს	ნ. ნოვგოროდი 1:1	53	შეცვალეს	5	2	15
ლევან	სილაგაძე	ალანია	ს	ნ. ნოვგოროდი 1:1	90		5	0	15
მამუკა	წერეთელი	ალანია	ს	ნ. ნოვგოროდი 1:1	0	სათადარიგო	2	0	15
მიხეილ	ფოცხვერია	ალანია	ს	ნ. ნოვგოროდი 1:1	22	შეცვლაზე ითამაშა	4	0	15
დავით	გვარამაძე	კრილია	ს	ფაკელი 1:2	0	სათადარიგო	0	0	8
ზურაბ	ფოფხაძე	კრილია	ს	ფაკელი 1:2	0	სათადარიგო	0	0	8
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	ს	დინამო 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	13
ბადრი	სპანდერაშვილი	ჩერნომორეცი	შ	ტორპედო 1:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	3
ალეკო	გოგობერიშვილი	ანჟი	ს	ურალანი 2:1	0	სათადარიგო	0	0	4
პირველი დივიზიონი									
მიხეილ	ჯიშკარიანი	სოკოლი	ს	არსენალი 0:0	69	შეცვალეს	2	0	12
ზვიად	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	შ	რუბინი 0:2	90	გააფრთხილეს	3	0	19
გიზო	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	შ	რუბინი 0:2	90		3	0	19
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	ს	მ.ლიპეცკი 0:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	20
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ	ლადა 2:2	90	2 გოლი	2	2	13
უკრაინა									
უმაღლესი ლიგა									
კახა	კალაძე	დინამო	ს	ზირკა 4:1	90		18	1	1
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	ს	ზირკა 4:1	45	შეცვლაზე ითამაშა	6	4	1
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	ს	კარპატი 0:1	0	სათადარიგო	5	5	2
ვიტალი	დარასელია	ცსკა	შ	მეტალურგი 1:0	66	შეცვალეს	?	0	10
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	89	შეცვალეს, გააფრთხილეს	?	8	14
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	90	გააფრთხილეს	?	2	14
კახა	დგებუაძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	80	შეცვალეს	?	1	14
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	90		?	0	14
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	6	შეცვლაზე ითამაშა, გააძევეს	?	3	14
შოთა	ჩომახიძე	ნივა	შ	შახტარი 1:1	15	შეცვლაზე ითამაშა	3	0	14
კოტე	მეტრეველი	ნივა	შ	შახტარი 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	14
დიმიტრი	არსოშვილი	ნივა	შ	შახტარი 1:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	14
პოლონეთი									
პირველი ლიგა									
მამია	ჯიქია	რუხი	ს	ვისლა 0:4	28	შეცვლაზე ითამაშა	6	0	3
ისრაელი									
პრემიერლიგა									
გიორგი	დარასელია	ჰ.ქფარ სავა	ს	მ.ჰერცლია 2:0	90		31	6	13
გიორგი	გახოკიძე	მ.ჰაიფა	შ	აშდოდი 2:0	76	შეცვალეს	26	2	3
ბულგარეთი									
უმაღლესი დივიზიონი									
კობა	ნინუა	ბელასიცა	შ	ბეროე	0	შემადგენლობაში ვერ ხვდება	0	0	10
მოლდოვა									
უმაღლესი დივიზიონი									
ლევან	გვაზავა	ზიმბრუ	ს	ტილიგული 1:1	8	შეცვლაზე ითამაშა	6	0	2
დავით	მუჯირი	შერიფი	ს	აგრო 3:1	90		?	7	1
გიორგი	რევაზიშვილი	შერიფი	ს	აგრო 3:1	0	სათადარიგო	?	0	1
ვაჟა	თარხნიშვილი	შერიფი	ს	აგრო 3:1	45	შეცვალეს, ტრავმა	?	0	1
თამაზ	პერტია	შერიფი	ს	აგრო 3:1	45	შეცვლაზე ითამაშა	?	0	1

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ამხანაგური მატჩები

REUTERS კონსტანცადან

რუმინეთი კვიპროსს გეორგე ჰაჯის სახელობის სტადიონზე დაუხვდება

რუმინეთი — კვიპროსი

დღეს რუმინეთის ნაკრები ამხანაგურ მატჩში კვიპროსს მასპინძლობს. შეხვედრა შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქ კონსტანცაში გაიმართება. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ იქაურ სტადიონს საუკუნის რუმინელი ფეხბურთელის — გეორგე ჰაჯის სახელი ეწოდა. ჰაჯი კონსტანცაშია დაბადებული.

ცხადია, ნაკრების ვეტერანი კაპიტანი დღეს მინდორზე გავა. თუმცა რუმინელებს დანაკლისიც აქვთ. მათ კონსტანტინ გალკა და ოვიდიუ საბაუ არ ეყოლებათ... ბუქარესტის „რაპიდის“ ნახევარმცველ საბაუს ტრავმა აწუხებს, ხოლო ესპანიოლელი გალკა ბარსელონაში დარჩა, ესპანეთის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „რეალის“ წინააღმდეგ სათამაშოდ (ეს შეხვედრა დღეს გაიმართება).

სავარაუდო შემადგენლობა:

სტელია, ნანუ, ჩებოტარიუ, პოპესკუ, ფილიპესკუ, პეტრესკუ, მუნტეანუ, ჰაჯი, როსუ (ან კარაბასი), მოლდოვანი, მუტუ

მსაჯი: მარჩელ ლიკა (რუმინეთი)

იტალია — პორტუგალია

„იუვენტუსის“ თავდამსხმელი ალესანდრო დელ პიერო იტალიისა და პორტუგალიის ნაკრებთა ამხანაგურ თამაშს გამოტოვებს. მიზეზი: სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრაში, „ფიორენტინასთან“, მას მსუბუქად გაეჭიმა კუნთი. იმ მატჩის ერთადერთი გოლის — პენალტის — ავტორი 72-ე წუთზე შეცვალეს კიდეც.

„ჩემთვის სკუადრა აძურას მაისურა ბევრს ნიშნავს, მაგრამ ექიმების რჩევის უგულებელყოფაც არ ივარგებს“ — უთხრა დელ პიერომ ჟურნალისტებს.

მაშ ასე, როდესაც რეჯო კალაბრიაში დაბანაკებული იტალიის ეროვნული გუნდის თავკაცმა, დინო ძოფმა, შემადგენლობა დაასახელა, დელ პიეროს გვარი არ ამოუკითხავს და ყველაზე დიდი ყურადღებაც სწორედ ამ ამბავმა მიიპყრო.

აღსანიშნავია, რომ ინტერნეტით მოწყობილ გულშემატკივართა ერთ-ერთ გამოკითხვაში აზრის გამოთქმის ძალიან ბევრმა მსურველმა ძოფს თავს რისხვა დაატეხა, დელ პიერო დაშავდა და რობერტო ბაჯო ახლა მაინც გამოიძახეო. ერთ მოსაზრებაში კი კატეგორიულადაც ეწერა: ბაჯო ძალიან დიდი ფეხბურთელია საიმისოდ, რომ იტალიის უნიჭო ნაკრებში ითამაშოს.

დელ პიეროს გარდა არ იქნება „პარმას“ მცველი დიეგო ფუზერიც. იგიც ბოლო ტურში, „რომასთან“ შეხვედრაში, ოღონდ იუვენტუსელზე გაცილებით ადრე, მე-19 წუთზე გაიყვანეს მოედნიდან.

სხვა მხრივ საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქის ბანაკში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ისე კი, შესაძლოა ძმებმა, „იუვენტუსის“ ფილიპო და „ლაციოს“ სიმონე ინძაგებმა პირველად ითამაშონ მხარდამხარ. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ სასეირო ფაქტია. შეგახსენებთ, რომ სიმონეს დებიუტი იტალიელთა წინა ამხანაგურ შეხვედრაში, ესპანეთის წინააღმდეგ შედგა. იმ დღეს ფილიპომაც ითამაშა, ოღონდ ძმის მოედანზე შესვლამდე შეცვალეს.

პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ კი იტალიელები ევრო 2000-მდე შინ აღარ თამაშობენ. უშუალოდ შეჯიბრების წინ ისინი ოსლოში, ნორვეგიას გაეჯიბრებიან.

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა);

მცველები: პაოლო ნეგრო, ალესანდრო ნესტა (ორივე ლაციო), პაოლო მალდინი (მილანი), ფაბიო კანავარო (პარმა), მარკ იულიანო, ჯანლუკა პესოტო, ჩირო ფერარა (ყველა იუვენტუსი);

ნახევარმცველები: ჯანლუკა ძამბროტა, ანტონიო კონტე (ორივე იუვენტუსი), დემეტრიო ალბერტინი, მასიმო ამბროზინი (ორივე მილანი), სტეფანო ფიორე (უდინეზე), პაოლო ვანოლი (პარმა), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი);

თავდამსხმელები: ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), სიმონე ინძაგი (ლაციო), ფრანჩესკო ტოტი, მარკო დელვეკიო (ორივე რომა)

მათ დააკნინეს ფეხბურთი

„ბარსელონას“ უარმა, ესპანეთის თასის ნახევარფინალურ მაჩტში ეთამაშა, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. კლუბის მხარდამჭერები ბლომად არიან, თუმცა მათზე აღშფოთებულები სჭარბობენ. გუშინ ესპანურ გაზეთებში ასეთ სათაურებს წაიკითხავდით: „ნუნიესის და ვან გაალის ბინძური პანტომიმა“, „ნუნიესმა ფეხბურთი დაკნინა“.

რა მოხდა? მოხდა ის, რაც სუპერკლუბების მუდმივ თავსატეხად ქცეულა. მათ პირველხარისხოვანი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც გუნდის გარდა ეროვნულ ნაკრებებშიც თამაშობენ. ჰოდა, „ბარსელონამაც“ დღევანდელი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გამო ცხრა ფეხბურთელი მოისაკლისა. კიდევ კარგი, რომ ესპანეთი არ თამაშობს, თორემ მათი რიცხვი მეტიც იქნებოდა. ამას ტრავმირებულებიც დავუმატოთ და დარჩა „ბარსა“ სათადარიგოთა ამარა. არადა, პირველი შეხვედრა 0:3 წაეგო.

ლუის ვან გაალი ადრევე იმუქრებოდა, თამაშს თუ არ გადაიტანთ, ჩავშლითო. მატჩის დაწყებამდე 18 წუთით ადრე მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება ხოსეპ გვარდიოლამ ამცნო მანუელ დიას ვეგას.

და მაინც, რატომ უარყო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კატოლონიელთა თხოვნა მატჩის გადატანის შესახებ? ფედერაციის გენერალური მდივანი ხერარდო გონსალესი განმარტავს: „ფიფას წესებით, კლუბმა ფეხბურთელი ნაკრებში შეხვედრამდე 48 საათით ადრე უნდა გაუშვას. მოთამაშეებს შეეძლოთ, „ატლეტიკოსთან“ ეთამაშათ და მერე გაფრენილიყვნენ — დრო საკმარისი ჰქონდათ“.

რა სახის სანქციები დაეკისრება „ბარსელონას“ მატჩის ჩაშლისთვის, მოგვიანებით გაირკვევა.

გიორგი დარჯანია

დაპატიმრება შცნაური ბრალდებით

თურქეთის პოლიციამ „გალათასარაი“ — „ლიდსის“ მატჩის წინ მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება დააკავა. ეს ცნობა თურქეთში ბრიტანეთის კონსულმა გაავრცელა.

დამნაშავენი სასჯელს რომ ვერ უნდა გადაურჩნენ, საკამათო არ არის. თუმცა დაპატიმრებულთათვის წაყენებული ბრალდება მეტად უცნაურად ჟღერს. თურქეთის პროკურორის თქმით, ისინი მკვლელებს სისტემატურად აძლევდნენ ფულს, რითაც ეს უკანასკნელნი დანებს ყიდულობდნენ. მართლაც გასაკვირია, ნუთუ ასე ფასობს თურქეთში დანები, მკვლელებს საკუთარი ფულით რომ ვერ შეუძენიათ. ამ საკითხს პროკურორი, ალბათ, მოგვიანებით განმარტავს.

აზიის ჩემპიონთა ლიგა

ფინალი

ალ ჰილალი (საუდი) 3:2 დდ (2:2)
ჯუბილო იგატა (იაპონია)

1:0 რიკარდო (3), 1:1 ნაკაიამა (18), 1:2 ტაკაპარა (19), 2:2, 3:2 რიკარდო (89, 102)

პორტუგალია

გიმარაეში 1:3 მარიტიმუ

0:1 ილიევი (2), 0:2 ლინუ ლოპესი (38), 1:2 დალსოტო (79), 1:3 კარლუშ ჟორჟ (89)

ფეხბურთის რუკაზე

გერმანიის მეორებუნდესლიგელი „ზანქტ პაულის“ მცველი კარსტენ ველმანი „ჰამბურგში“ გადაბარგდა. 27 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იქაური პრესის განცხადებით, სატრანსფერო თანხა 250 ათას გირვანქას შეადგენს. ველმანის ხელში ჩაგდებას „შტუტგარტიც“ ცდილობდა, ფეხბურთელთან წინასწარი შეთანხმებაც გააფორმა, მაგრამ მცველმა აზრი შეიცვალა და „ჰამბურგში“ გადასვლა არჩია.

ფრანგი ფორვარდი ტიტი კამარა მომავალი სეზონიდან შესაძლოა გლაზგოს „სელტიკში“ ჩაირიცხოს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, „სელტიკი“ „ლივერპულს“ 3 მილიონ გირვანქას სთავაზობს. თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთ გუნდს დაუდასტურებია. შოტლანდიური კლუბის თავკაცი კენი დალგლიში გულმოდგინედ აკვირდება ფრანგ თავდამსხმელს, ბოლო ხანს იგი „ლივერპულის“ რამდენიმე თამაშსაც დაესწრო. კამარა ინგლისში მარსელის „ოლიმპიკიდან“ გადავიდა, თუმც ამის შემდეგ „ლივერპულმა“ „ლესტერიდან“ ემილ ჰესკიც შეიძინა და კლუბში მწვავე კონკურენცია გაჩაღდა. ინგლისური პრესა არ გამორიცხავს, რომ კამარამ სეზონის ბოლოს კლუბი დატოვოს. თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ლივერპული“ მის სანაცვლოდ სულ მცირე 4,5 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

ფრანგული „ნანტის“ ახალგაზრდა მეკარე მიშელ ფებრე სეზონის ბოლოს კლუბს დატოვებს და „ბოლონიას“ მიაშურებს. საფრანგეთის 15-წლამდელთა ნაკრების გოლკიპერი აპენინებზე სავარაუდოდ სამ წელს დაჰყოფს, ჯერჯერობით იგი „ბოლონიას“ სარეზერვო გუნდში ჩაირიცხება. იტალიური კლუბი არ გამორიცხავს, რომ წარმატების შემთხვევაში ფებრეს შესაძლოა კონტრაქტი გაუხანგრძლივოს.

რუსული „ზენიტის“ მოლდოველმა კაპიტანმა ალექსანდრუ კურტიანუმ თავის სერიოზული ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში განაახლა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს შარშან დეკემბერში თავს დაესხნენ და უმოწყალოდ სცემეს. კურტიანუმ შესაძლოა დღეს სან მარინოს ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშოს. მოლდოვას ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრუ მაციურამ ნახევარმცველი გუნდის განაცხადში შეიყვანა. კურტიანუ რუსეთის ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში შეცვლებზე გამოჩნდა. „ალექსანდრუ ნავარაუდევზე ადრე მომჯობინდა, მას მძიმე ტრავმა ჰქონდა. მიხარია, რომ უკვე დაუბრუნდა მინდორს“ — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა მაციურამ.

პორტუგალიელი მცველი რუი მანუელ მარკეში სეზონის ბოლოს „ულმიდან“ წავა და ბერლინის „ჰერტაში“ გადაბარგდება. „მომავალ სეზონს ბერლინში დავიწყებ — განუცხადა გაზეთ „ბილდს“ 22 წლის ფეხბურთელმა — კლუბთან სავარუდოდ სამწლიან შეთანხმებას გავაფორმებ“.

გულგარულმა სოფიის ცსკა-მ პირველი დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატ ბლაგოევგრადის „პირინთან“ შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულა და ლიდერ „ლევსკის“ 5 ქულით ჩამორჩა. ცსკა-ს ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის სპას დეევისკოვის მოღვაწეობა წარუმატებლად მიიჩნია და თანამდებობიდან გაათავისუფლა. გუნდს სეზონის ბოლომდე დამხმარე მწვრთნელი ალექსანდრ სტანკოვი უხელმძღვანელებს.

გერმანელ ნახევარმცველ შტეფან ეფენბერგს მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. ფეხბურთელს კლუბთან შეთანხმება მომდევნო სეზონის ბოლოს უსრულდება და ამის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს. გერმანული სააგენტოების ცნობით, ეფენბერგი კლუბის ხელმძღვანელობას უახლოეს დღეებში შეხვდება და კონტრაქტის გაგრძელებაზე შეუთანხმდება.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელ კევინ კიგანს „მანჩესტერი“ — „რეალის“ მატჩის ცქერისას სტივ მაკმანამანი ისე მოსწონებია, მისი ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა. „მადრიდულ თამაშს რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ მაკმანამანი მაკმანამანივით თამაშობდა. მანჩესტერში ის ბრწყინვალე იყო“ — თქვა კიგანმა.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლეგ რომანცევის განცხადებით, მისმა გუნდმა ევრო 2000-ის პლეი ოფში უკრაინასთან დამარცხება ჯერაც ვერ დაივიწყა — უნდა განვაცხადო, რომ შარშან მიღებული ფსიქოლოგიური დარტყმა ჯერაც ვერ გადავიტანეთ — აღნიშნა რომანცევმა და დასძინა, რომ დღეს რუსეთისა და აშშ-ის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება — ოთხშაბათის შეხვედრა, უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი.

ფრანგ ფეხბურთელთა ასოციაციამ ქვეყნის მასშტაბით სეზონის საუკეთესო მოთამაშედ არგენტინელი ნახევარმცველი მარსელო გალიარდო მიიჩნია. საფრანგეთის ჩემპიონ „მონაკოს“ კიდევ ერთმა წევრმა, იტალიელმა მარკო სიმონემ საერთო გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა. სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ აგრეთვე მონაკოელი, საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი ფილიპ კრისტენვალი დაასახელეს. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორ საფრანგეთის ნაკრებს „ქვეყნის ოსკარი“ მიენიჭა. დაჯილდოების ცერემონიალი პარიზის „დისნეილენდში“ შედგა.

ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ „დეპორტივოს“ მთავარი მწვრთნელი ხავიერ ირურეტა მომდევნო სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. მას ახლანდელი კონტრაქტი ივნისში უსრულდებოდა, თუმც „დეპორტივოს“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იგი კლუბში გაისადაც იმუშავებს — კონტრაქტი უპრობლემოდ გავაფორმეთ, შეთანხმებაზე ხელის მოსაწერად მხოლოდ ხუთი წუთი დაგვჭირდა — განაცხადა 52 წლის ირურეტამ, რომელმაც სათამაშო კარიერის მანძილზე ესპანეთის ნაკრების მაისურა ხუთჯერ მოირგო. წარმოშობით ბასკი მწვრთნელი „დეპორტივოს“ 1998 წელს ჩაუდგა სათავეში. მანამდე იგი მეორე გალისიელ კლუბ „სელტას“ ავარჯიშებდა.

სწრაფად და ეფექტიანად ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

ევროპის გაფაცება

კონტინენტის პირველობების ისტორია 1992

გიორგი ვაშაკიძე

აკაკუნებენ, გაალეთ კარი!

უეფას ძველ სახლში ახალი ხალხი გამოჩნდა

ბერლინის კედლის ნგრევა

ბანალური ფრაზაა, თითქოსდა პოლიტიკას ფეხბურთთან, სპორტის №1 სახეობასთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ეს რომ ასე არაა, ამას ახლო წარსულიც ადასტურებს.

ყველაფერი კი 10 წლის წინ დაიწყო, როცა „პერესტროიკამ“ კრახი განიცადა და დამონებულმა ქვეყნებმაც თავისუფლებისთვის ბრძოლა დაიწყეს.

სსრ კავშირი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია...

კომუნისტური რეჟიმის რღვევამ დამოუკიდებელი სახელმწიფოები შვა, ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს — უეფას წევრთა რაოდენობაც საკმაოდ გაიზარდა. იმ დროისთვის უეფა 33 ქვეყანას ითვლიდა, ახლა 51-ს(!) აერთიანებს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკამ სპორტში, კერძოდ, ფეხბურთში თამამად შეაბიჯა. ამ სფეროსაც დაეტყო დიდი ცვლილებები.

გფრ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ანუ დასავლეთ გერმანია და გდრ — სოციალისტური, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. აი, ნათელი მაგალითი.

1990 წლის 3 ოქტომბერს მსოფლიო უდიდესი ფაქტის მოწმე შეიქნა. მაშინ, როცა დამონებული ქვეყნები თავისუფლებისკენ ილტვოდნენ, არიელებმა გაერთიანება გადაწყვიტეს.

ბერლინის კედლის ნანგრევებზე „ძველ-ახალი“ დამოუკიდებელი სუბიექტი, გერმანია წარმოიქმნა. ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქი ბერლინი გახდა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის რეზიდენციამაც ბონიდან იქ გადაინაცვლა.

ფრანგული რეკორდი

1990 წელს ჯერ კიდევ გფრ-მ ფრანც ბეკენბაუერის თავკაცობით მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. „კაიზერ ფრანცმაც“ ამაყად განაცხადა: „წავედი“.

ბუნდესნაკრები ბეკენბაუერის თანაშემწეს, ფეხბურთელობისას 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონ მცველ ბერტი ფოგთსს ჩაბარეს. და როცა გადაწყდა, რომ 1992 წლის ევროპის ჩემპიონატი შვედეთის მინდვრებზე ჩატარდებოდა, ჰერ ფოგთსაც მიზანი დაუსახეს. გერმანია, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, ვალდებული იყო, ევროპაში უძლიერესის სახელი მოეხვეჭა. თუმცა ამაზე ქვევით, მანამდე კი იმაზე, თუ რატომ და როგორ გახდნენ ფრანგები პირველად ევროპის რეკორდსმენები.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, გუნდმა ორი დიდი ტურნირი — 1988-ში გერმანიის ევროპის პირველობა და 90-ში იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა.

„პლატინის ეპოქა“, ალბათ, ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდებულია, მაგრამ ცხოვრება ამით არ დასრულებულა. ფრანგულ ფეხბურთში კვლავაც გამოჩნდნენ ნიჭიერი ტალანტები — ერიკ კანტონა, ჟან პიერ პაპენი, ბაზილ ბოლი, დიდიე დეშამპი, ფრანკ სოზე და სხვები. აი, ის ხალხი, ვისზედაც ფრანგები იმედებს ამყარებდნენ. და არ იკითხავთ, ვინ ჩაუდგა ნაკრებს სათავეში? არც მეტი, არც ნაკლები, თვით მიშელ პლატინი, ლეგენდარული ფეხბურთელი და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩინებული მწვრთნელი.



სარგბიელის არქივიდან

გიოტებორგის „ულევი“ — სტადიონი, სადაც „ევრო 92“-ის ფინალური მატჩი გაიმართა

1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ფრანგები პირველ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქეები ერთობ ძლიერი ესპანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების გარდა „კერკეტ კაკლად“ მიჩნეული ისლანდიელები და ალბანელები იყვნენ.

მოხდა საოცრება, უფრო ზუსტად კი, დამყარდა რეკორდი, რომელიც ჩეხებმა ახლაღა გაიმეორეს. საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა შინ და გარეთ ყველა მეტოქე დაამარცხა ჯგუფში, დააგროვა ქულათა მაქსიმალური (16) რაოდენობა და შეიქნა პირველი, ვინაც მასპინძელ შვედებთან ერთად 1992 წლის ზაფხულში ევრო 92-ზე ითამაშებდა.

გადამწყვეტი მატჩი ბრატისლავაში გაიმართა. იმ დროისთვის ფრანგებს ესპანეთშიც და ისლანდიაშიც მოგებული ჰქონდათ უმნელესი შეხვედრები, ორივე ერთნაირი შედეგით — 2:1.

პირველი ტაიმის შემდეგ პლატინის გუნდი ნემეჩეკის გოლით 0:1 აგებდა, თუმცა მეორე ნახევარში ჟან-პიერ პაპენმა მასპინძლებს ორი გაუტანა და „სამფეროვნებიც“ რეკორდს მიუახლოვდნენ. მეორე თამაშში შინ, ისლანდიასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა იმარჯვეს 3:1. მიშელ პლატინიმაც კიდევ ერთი ტიტული მოიხვეჭა, გახდა პირველი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა ყველა შესარჩევი მატჩი მოიგო, თანაც ბურთების როგორი შეფარდებით 20:6-თან.

ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო — საფრანგეთი ხელმეორედ უმიზნებდა ევროპის ჩემპიონობას.

„სამი წლის წინ ფეხბურთელებს ნაკრებში თამაშს თუ აიძულებდი, ახლა კი პირიქითაა, ყველას პატივად მიაჩნია სამფეროვანი მაისურის მორგება. სწორედ ესაა ჩემი დიდი გამარჯვება. მოთამაშეები სულელები არ არიან. მათ სურთ, იყვნენ იქ, სადაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდებიან“ — თქვა მაშინ პლატინიმ.

სარგბიელის არქივიდან

ბრატისლავაში ჟან-პიერ პაპენის ორმა გოლმა ფრანგები რეკორდს მიაახლოვა

სადაა სძუადრა აძურა?

ეს ყველაფერი პირველ შესარჩევ ჯგუფში მოხდა. ახლა სხვებზეც ვთქვათ. მეორეში შოტლანდიამ დაძაბულ ბრძოლებში შვეიცარიას, რუმინეთსა და ბულგარეთს აჯობა. მეოთხეში, იუგოსლავიელებისა და დანიელების დაუნდობელ პაექრობაში, ბალკანელებმა იძალეს. მეექვსეში ევროპის ჩემპიონებს — ჰოლანდიელებს კი გაუჭირდათ, მაგრამ პორტუგალიელებს მაინც სძლიეს. მეშვიდეში კი ბრიტანულ დერბიში ინგლისმა ირლანდიას მოუგო, მიუხედავად იმისა, რომ ამათი ორივე მატჩი, დუბლინში, „ლენსდან როუდზე“ და ლონდონში, „უემბლიზე“, ფრედ 1:1 დასრულდა.

მესამე და მეხუთე შესარჩევი ჯგუფები განზრახ მოვიტოვეთ. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ მესამეში სსრ კავშირის ნაკრებმა თვით იტალიას გადაუღობა გზა შვედეთისკენ, მეხუთეში კი... თუმცა ამაზე ქვემოთ.

სადაა „სკუადრა აძურა“? იტალიის ეროვნული გუნდი ჯგუფში ჩარჩა. აძელიო ვიჩინის ბიჭებმა საბჭოელები ვერც ერთხელ გატეხეს. ვიალიმ, დონადონიმ, ბაჯომ და სხვებმა ვერც მოსკოვში და ვერც რომში ბიშოვეცის გუნდის კარს გასაღები ვერ მოარგეს.

თავად ბიშოვეცი კი ნელ-ნელა და მეთოდურად მიდიოდა წინ. მოსაგებ თამაშებს იგებდა, ჯგუფში ერთი მატჩიც კი არ წაუგია და რა გასაკვირია, რომ პირველ ადგილზეც საბჭოთა გუნდი აღმოჩნდა და არა იტალია.

მაშინ, როდესაც საბჭოელებმა მიხაილიჩენკოს გოლით ნორვეგიელები სტუმრად 1:0 დაამარცხეს, იტალიელებმა იმავე ოსლოში ვიკინგებთან 1:2 წააგეს. მართალია, სკილაჩის გოლით იგებდნენ, მაგრამ იოსტეინ ფლომ და კეტილ რეკდალმა (პენალტით) აძელიო ვიჩინისა და აპენინელებს ცივი წყალი გადაასხეს.

მეხუთე ჯგუფში კი რა მოხდა? რა და ყველაფერი ისე მიდიოდა, ადვილი შესაძლებელი იყო, მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელები ევროპის პირველობის მიღმა დარჩენილიყვნენ. ფოგთსისთვის დასახულ მიზანს, ევროპის ჩემპიონობას, საფრთხე დაემუქრა. ყველაფერი კი უელსის ნაკრებმა არია, უფრო სწორად, ოთხმა კაცმა — იან რაშმა, მარკ ჰიუზმა, დინ სონდერსმა და ყმაწვილკაცმა რაიან გიგზმა.

ბრიტანელებმა შესარჩევი ტურნირი აღმავლობით დაიწყეს, მეტოქეებიც ზედიზედ დაამარცხეს და როდესაც კარდიფში იან რაშის 24-ე წუთზე გატანილი გოლით მთ გერმანელებიც მიაყოლეს, სენსაციების მოყვარულნი დადარაჯდნენ — ნუთუ უელსი გავიდოდა ჯგუფიდან, მსოფლიოს ჩემპიონი კი...

მაგრამ გერმანელებმა ძალა მოიკრიბეს, ბელგია ორჯერ 1:0 დაამარცხეს, ლუქსემბურგსაც იგივე დღე (3:2, 4:0) აყარეს და გადამწყვეტი მატჩის დროც დადგა.

უელსი ამაყად თავაწეული ჩავიდა ჰანოვერში. მაგრამ გერმანული „მანქანა“ საათივით მოქმედებდა, უკვე 34-ე წუთისთვის მასპინძლები 3:0 იგებდნენ. მეორე ნახევარში დინ სონდერსმა ერთი კი გაქვითა, მაგრამ ტომას დოლმა თანაფარდობა აღადგინა. გერმანიამ 4:1 სძლია უელსს და ძლივს, ნერვების მოთოკვის ფასად, მაგრამ მაინც მოიპოვა შვედეთის საგზური. ფოგთსს კი ერთი პრობლემა შეექმნა: „გერმანიის ნაკრები მართლაც ბრწყინვალე გუნდია. ბედნიერებაა ისიც, რომ ჩემს განკარგულებაში ბევრი უმაღლესი კლასის მოთამაშეა. ამას რა ჯობს, მაგრამ როგორ გინდა, 24-25 ჩინებული ფეხბურთელიდან საუკეთესო აარჩიო?“

ასეა თუ ისე, ორწლიანმა შესარჩევმა ციკლმა ჩაიარა, მასპინძელ შვედებს შვიდი გუნდი — საფრანგეთი, შოტლანდია, სსრკ, იუგოსლავია, გერმანია, ჰოლანდია და ინგლისი შეუერთდა. ევრო 92 შუაგზაზე გახლდათ.

იუგოსლავია დანიისთვის დაიშალა

დეკემბერში რა მოხდა?

რა და ევრო 92-ის ფინალური ეტაპის კენჭისყრა ჩემპიონატის დაწყებამდე რვა თვით ადრე, სტოკჰოლმში ჩატარდა.

პირველ ჯგუფში, რა თქმა უნდა, მასპინძელი შვედეთი მოხვდა. მათ გარდა იქ ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტი, პლატინის საფრანგეთი, გრემ ტეილორის ინგლისი და... დანიელები გამწესდნენ.

მეორეში: ევროპის ჩემპიონი ჰოლანდია, მსოფლიოს ჩემპიონი გერმანია, „მამაცი გულები“ შოტლანდიელები და სსრკ, უფრო სწორად, სნგ-ის ნაკრები.

ხოლო იუგოსლავია...

საქმე დახურულია...

ევრო 92-ის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე უეფა სწორედ იმაზე ბჭობდა, ეთამაშა თუ არა იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე, ვინ წასულიყო შვედეთში.

საკითხი 29 მაისს უნდა გადაწყვეტილიყო. ჰოდა, გაირკვა — ფიფასა და უეფას პრეზიდენტების, ჟოაო აველანჟისა და ლენარტ იუჰანსონის ერთობლივი შეთანხმებით, იუგოსლავია, როგორც მეოთხე ჯგუფის გამარჯვებული და ევრო 92-ის სამართლიანი მონაწილე, აუცილებლად მიიღებდა ტურნირში მონაწილეობას, მაგრამ...

ფიფა და უეფა ხომ უზენაესი არაა. ზუსტად ორი დღის თავზე გაერომ იუგოსლავიის წინააღმდეგ სანქციებს მიმართა. ძნელი მისახვედრი არაა, რატომ. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ატეხილმა ძმათამკლელმა ომებმა მსოფლიო ორგანიზაცია დააფიქრა.

გაერომ და შემდგომ ფიფა-უეფამ, ალბათ, ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვეს. დრაგან სტოიკოვიჩი, დეიან სავიჩევიჩი, ზვონიმირ ბობანი, რობერტ პროსინეჩკი, დავორ შუკერი, რობერტ იარნი, სინიშა მიხაილოვიჩი, პრედრაგ მიატოვიჩი და სხვები შვედეთის მინდვრებს ნამდვილად დაამშვენებდნენ...

„იუგოსლავიის საქმე დახურულია, ნაკრებს ეკრძალება ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა. მის მაგივრად კი... დანიის ეროვნული გუნდი ითამაშებს“ — დაადგინეს საფეხბურთო მსოფლიოსა და ევროპის მმართველებმა.

ყოველივე ამან მსოფლიო ფეხბურთში და არა მარტო ფეხბურთში არაერთგვაროვანი აზრი წარმოშვა. ზოგი ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკოსთა უხეშ ჩარევად მიიჩნევდა, ზოგი კი იუგოსლავიელთა ევროპული ფეხბურთის ზემოდან მოკვეთას „უსამართლობას უწოდებდა.

არადა, იუგოსლავიის მართლაც რომ ჩინებული ნაკრების მწვრთნელი ივიცა ოსიმი ამბობდა: „ყოველთვის მჯეროდა და მჯერა ჩემი ფეხბურთელების, მათთვის ძლიერი მეტოქე არ არსებობს. მთავარია, ბევრი ვიმოძრაოთ და ვიბრძოლოთ მთელ მოედანზე. ჩვენ თანამედროვე ფეხბურთს ვთამაშობთ და ევროპის ჩემპიონობა აუხდენელ ოცნებად არ ჩანს. უნდა გვწამდეს საკუთარი თავის და შესაძლებლობის, დანარჩენი კი მინდორზე გამოჩნდება“.

ივიცა ოსიმის ბრწყინვალე გუნდს ევრო 92-ზე მონაწილეობა მაინც ვერ ელირსა, სამაგიეროდ, დაიწყო

ევროპის ჩემპიონატი

„შვედური ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, მეამაყება ნაკრების მწვრთნელობა. გულშემატკივრებს სიტყვა მივეცი, რომ ჩვენი გუნდი შემტევ ფეხბურთს ითამაშებდა. ბედნიერი ვარ, რომ პირობა და დასახული მიზანი შევასრულე“ — განაცხადა შვედეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ტომი სვენსონმა.

მართლაც, როდესაც მეტოქეებად შესარჩევი ციკლის რეკორდსმენი საფრანგეთი და ფეხბურთის ფუძემდებელი ინგლისი გყავს, ძნელია რაიმე წარმატებაზე ფიქრი, რაგინდა ტურნირის მასპინძელიც უნდა იყო. თუმცა სკანდინავიელებმა ჯერ კიდევ მაშინ დაამტკიცეს, რომ ფეხბურთს სახელები არ თამაშობენ.

1992 წლის 10 ივნისი. ევრო 92-ის გახსნის მატჩი. სტოკჰოლმის „რასუნდა“ გადაჭედილია. 27 ათასი მაყურებელი თავისი კერპებისგან სასწაულს ელის. მაშინ ყველასთვის უცნობი შვედეთის ეროვნული ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს, რეკორდსმენ საფრანგეთს ეთამაშება.

ტომას ბროლინის, მარტინ დალინის, ტომას რაველისა და სხვათა გუნდი ფრანგ ამომავალ ვარსკვლავებს უკვე 24-ე წუთისთვის იან ერიკსონის თავურით 1:0 უგებს. რა ხდება, ნუთუ შესარჩევში ყველა თამაშის მომგები „მამლები“ პირველივე შეხვედრაში დამარცხდებიან? მაგრამ დადგა 58-ე წუთი. დიდიე დეშამპის პასით ჟან-პიერ პაპენი რაველისთან თითქმის პირისპირ დარჩა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა მახვილ კუთხეში გაახვია. ყველაფერი კი ისე დასრულდა, როგორც ბოლოდროინდელ უდიდეს ტურნირთა გახსნის მატჩებს სჩვევია — ფრე. ვისთვის სიხარული, ვისთვის მწუხარება.

მიშელ პლატინი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი და წარსულში უბადლო ფეხბურთელი: „რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ჩემს გუნდს ვერ ვცნობ. სადღაც გაქრა ის შემართება, რითაც შესარჩევში რვავე მატჩი მოვიგეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შესარჩევი სხვაა, თავად ფინალი კი...“ პლატინი, მისდა სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა. შესარჩევის ტრიუმფატორი, ყველასთვის მოულოდნელად, ჯგუფში ჩარჩა, ფრანგებმა ვერც ინგლისელებს მოუგეს და ვერც დანიელებს.

...ინგლისი მწვრთნელ გრემ ტეილორითა და რამდენიმე უმაღლესი კლასის ფეხბურთელით ეწვია სკანდინავიას. გამორჩევით კი, რაღა თქმა უნდა, გარი ლინეკერს გამოარჩევდით. ტეილორმა ისეთი მოთამაშეებიც ჩაიყვანა შვედეთში, ვისზეც თავისუფლად შეეძლო დაყრდნობა — დევიდ პლატი, სტიუარტ პირსი, მარტინ კიოუნი და ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ალან შირერი. თუმცა ახლანდელი გადასახედიდან ცხადი ხდება, ინგლისი ნამდვილად არ იყო ის გუნდი, რომელიც ჰოლანდიას, გერმანიას და თუნდაც შვედეთს ჩემპიონობას შეეცილებოდა.

ბადრი ჯაფარიძის ფოტო

კახა ცხადაძე ჯერჯერობით ბოლო ქართველია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ითამაშა

რატომ მაინცდამაინც შვედებს? ხომ უგებდნენ ბრიტანელები მეოთხე წუთზევე დევიდ პლატის გოლით ტურნირის მასპინძლებს, თუმცა ამით რა. ბოლოს, 82-ე წუთზე, ტომას ბროლინმა ბრწყინვალე სამსვლიანი კომბინაცია ჩინებული გოლით დაასრულა და ალბიონელთა მეკარის, კრის ვუდსისა და ინგლისელთა იმედებიც დაასამარა.

არადა, ტეილორი, რომელიც ძლიერ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, პირველობის დაწყებამდე ამაყად აცხადებდა: „ჩვენ ევროპის ჩემპიონობა ძალგვიძს, ფეხბურთელები ისე მოქმედებენ, როგორც მსოფლიოს ჩემპიონებს შეშვენის. ვერ გამიგია, რატომ არ შეგვიძლია ევროპაში იმის გაკეთება, რაც მსოფლიოში გერმანელებმა მოახერხეს. ინგლისი ევროპის ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტია“.

ტრაბახი ტრაბახად დარჩა. ინგლისი ევრო 92-ზე ჯგუფს ვერ გასცდა, მეოთხე ადგილი დაიკავა და... შინ აიბარგა.

ცხადაძე ჩემპიონებთან

მახსოვს, ქართველები საბჭოეთის ნაკრებს ქომაგობდნენ. არადა, ყველაფერი ელვისებურად განვითარდა. იმ დროს, როცა ქართული ფეხბურთი საბჭოთა იმპერიისგან გათავისუფლდა, საშვილიშვილოდ ითქვა, არც ერთი ქართველი სსრკ ნაკრებში.

კახა ცხადაძემ, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, „საძულველ“ გუნდში შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა.

ზოგმა ცხადაძეს მოღალატეობა დასწამა, ზოგიერთები კი მის ნაბიჯს ამართლებდნენ, რას ერჩით, ბიჭს უმაღლეს დონეზე თამაში სწყურია და ხელს რატომ ვუშლითო.

ერთი რამ კი ფაქტი იყო — მაშინ, როდესაც საქართველოს ნაკრები ფეხს იდგამდა, გერმანულ ბუნდესლიგაში მოთამაშე პირველმა ქართველმა, ფრანკფურტის „აინტრახტის“ მცველმა კახა ცხადაძემ, თავისი სახსრებითა და ინიციატივით ნაკრებს სათამაშო ფორმების სრული კომპლექტი აჩუქა. ეს არ იყო „ტაქტიკური სვლა“, ეს იყო კაცური საქციელი.

ან რატომ არ უნდა ეთამაშა კახას ევროპის ჩემპიონატზე, როდესაც ამას იმსახურებდა? ანატოლი ბიშოვეცმაც ნაკრებში უყოყმანოდ უხმო.

პირველი და უკანასკნელი

სნგ — ქართულად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. აწ უკვე ყოფილმა საბჭოთა კავშირმა შვედეთში ამ სახელწოდებით იასპარეზა. კიდევ იტყვიან, პოლიტიკას სპორტთან რა ესაქმებაო. ესაქმება და მერე როგორ.

დაშლის პირას მდგომი იმპერიაც დილემის წინაშე აღმოჩნდა. ერთ დროს უძლეველს, ქვეშევრდომები ხახვივით შეთიეცალა. ისიც ითქვა, უკვე ფაქტობრივად დაშლილი სსრკ-ის მემკვიდრედ რუსეთი გამოვაცხადოთო, მაგრამ როგორ — რუსეთის ნაკრებში უკრაინელები, ბელარუსები და ერთადერთი ქართველი ხომ ვერ ითამაშებდნენ. ალტერნატივა არ არსებობდა, ჰოდა, პრეცედენტიც მოხდა, სნგ პირველად და უკანასკნელად გამოჩნდა ევროპის ჩემპიონატზე.

და ვის შეხვდა პირველ მატჩში — მსოფლიოს ჩემპიონ გერმანიის ნაკრებს. 64-ე წუთი. ბურთთან იგორ დობროვოლსკი მივიდა ფრანგ არბიტრ ჟერარ ბიგოს მიერ ბერტი ფოგთსის გუნდის კარში დანიშნული პენალტის დასარტყმელად. გამორბენი და გოლი, ბოდო ილგნერი გადახტა, ბურთი კი მეორე კუთხეში გაეხვია. 90-ე წუთზე ენით გამოუთქმელი სილამაზის გოლი გაიტანა თომას ჰესლერმა. ბურთი ჯარიმიდან ჯერ ხარიხას მოხვდა და შემდეგ ჩაეშვა ცხრიანში. საბოლოოდ ფრე, ვისთვის სამწუხარო, ვისთვის ბედნიერი.

...მეორე ჯგუფის სასტარტო მატჩში ევროპის ჩემპიონებმა ულიმღამო მატჩში სქოთებს ძლივს მოუგეს, შემდეგ ვერც ყოფილ საბჭოელებთან იძალეს და ყოვლად უსახურ ფრეს დასჯერდნენ — 0:0. ამასობაში კი გერმანელებმა შოტლანდიელებს უპრობლემოდ სძლიეს.

ბოლო ტურის წინ კი ერთბაშად სამ გუნდს შეეძლო ნახევარფინალში გასვლა. ორი ჩემპიონიდან ერთს ნახევარფინალის მიღმა დარჩენაც ემუქრებოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ სნგ შოტლანდიას დაამარცხებდა. მაგრამ მოხდა სასწაული, სქოთებმა, რომლებმაც მანამდე ვერაფრით გამოიჩინეს თავი, უტეხი სული უჩვენეს მეტოქეს და... ალან მაკსტეის, ბრაიან მაკლეისა და გარი მაკალისტერის გოლებით 3:0 მოიგეს. ამ დროს ჯერ ჯერობით მართლაც რომ ჩემპიონურად ამარცხებდა ჩემპიონებს — გერმანელებს. ფრანკ რაიკარდის, რიხარდ ვიჩგესა და ახალგაზრდა დენის ბერხკამპის გოლებმა დაადასტურა, რომ „ნარინჯისფერები“ ნაადრევად ჩამოწერეს. ნაკრების რიგებში, მართალია, არ ბრწყინავდნენ, მაგრამ მაინც ჩინებულნი იყვნენ მარკო ვან ბასტენი და რუუდ გულიტი.

ასე იყო თუ ისე, შვედეთის ევრო 92-მა ნახევარფინალს უწია. წინ შვედეთი — გერმანია და ჰოლანდია — დანია იყო.

გიხარიოდენ

„გაუმარჯოს დანიას, გაუმარჯოს გერმანიას — თქვენ დაიმსახურეთ ფინალში თამაში. ჩვენ ვამბობთ, ნახვამდის, შვედეთო, ნახვამდის, ევრო 92“ — გაიძახოდნენ ნახევარფინალების მერე ტურნირის მასპინძლები, შვედი ქომაგები.

მართლაც სამართლიანად იმარჯვა გერმანიამ, რომელმაც ჯგუფში ულიმღამო თამაშის მერე საათივით აწყობილი მექანიზმივით ითამაშა. სტოკჰოლმის „რასუნდაზე“ გამართული მატჩიც სრულიად ლოგიკური შედეგით დასრულდა.

„როდესაც თავს ზემოთ ძალა არ არის, წაგება მშვიდად უნდა აღიქვა. მოგება ძალიან გვინდოდა, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები „გერმანულ მანქანასთან“ უმწეონი აღმოჩნდნენ“ — მარცხით გულნატკენი, მაგრამ ობიექტური გახლდათ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შვედთა დამრიგებელი ტომი სვენსონი.

მართლაც, ბერტი ფოგთსის გუნდმა „რასუნდაზე“ გაილაღა. როდესაც მე-11 წუთზე ჰესლერმა ჩინებული ჯარიმა გაუტანა რაველის და კარლ-ჰაინც რიდლემ დუბლი გაახერხა, გერმანელთა მეორე და მესამე გოლებს შუა, ბროლინის საპასუხოს მიუხედავად, ნათელი გახდა, გერმანია მოგებას არ დამომბდა. აყლაყუდა კენეტ ანდერსონმა ილგნერის უხეში შეცდომით ბოლოს კი ისარგებლა, მაგრამ...

...გიოტებორგში, „ულევის“ სტადიონზე კი მეორე დღეს ნამდვილი „ჯოჯოხეთი“ და ცოდვის ტრიალი იდგა. ევროპის ჩემპიონი ჰოლანდია ორჯერ აგებდა დანიასთან, მაგრამ ბერხკამპმა და ფრანკ რაიკარდმა (86-ე წუთზე) გაათანაბრეს და თამაშიც დამატებით დროში გაგრძელდა.

ნახევარი საათი უგოლოდ ჩამთავრდა. მატჩისშემდგომი ლატარია, ანუ პენალტების სერია. ევროპის ჩემპიონი, ჰოლანდიის ნაკრები უდიდესი გამოცდის წინაშეა. თუ მოიგებს, ტიტულის შენარჩუნებამდე ერთი ნაბიჯილა დარჩება...

ევროპა „ნანატრი“ ფინალის მოლოდინშია, გერმანია — ჰოლანდია...

ბურთთან „ვან გოლი“, მარკო ვან ბასტენი მიდის, გამორბენი, დარტყმა... პიტერ შმაიხელის საუცხოო ნახტომი და ახლა უკვე დანიას ეძლევა შანსი... კიმ კრისტოფტე ურტყამს. გაიტანს?.. ჰანს ვან ბრეკელენი, ჰოლანდიელთა მეკარე, ერთ კუთხეში ხტება, ბურთი კი ბადეშია...

საოცარია, დანია ფინალშია.

1992 წლის 22 ივნისი. ჰოლანდია — დანია 2:2. ლარს ელსტრუპი (№10) ჰოლანდიელებს რონალდ კუმანსა (№4) და ადრი ვან ტიგელენს გაექცა

დენის ბერხკამპის ნიჭიერება ქართველმა მაყურებელმა პირველად „ევრო 92“-ზე იხილა

ალექსანდრე ბელოუსოვის ფოტო

დანია ფინალშია, გაუმარჯოს დანიას...

სარგბილის არქივიდან

პიტერ შმაიხელმა ევროპის თასი დამსახურებულად აღაპყრო

დანიური ზღაპარი

საჩუქარი ანე-მარიას

ალბათ შეამჩნევდით, შვედეთში შემთხვევით, გაერო — უეფას წყალობით მოხვედრილ, ტურნირის აღმოჩენად მონათლულ დანიის ეროვნულ გუნდზე არაფერი გვითქვამს.

დანია ევროპის 1992 წლის ჩემპიონია. ის, რაც ვერ მოახერხეს პრებენ ელკიაერ-ლარსენმა, ფრანკ არნესენმა, სორენ ლერბიუმ და დიდმა გერმანელმა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა, შედარებით ნაკლებად ცნობილმა „მეზღაპრეებმა“ შეძლეს. მათ პატარა სკანდინავიურ ქვეყანას ლამაზი გამარჯვება და საყოველთაო სიხარული მოუტანეს. მანამდე კი იყო

ლაუდრუპების უარი

ძმები, ელკიაერისა და სხვათა შემდგომი თაობის დანიელი „ჯადოქრები“ — მიხაელ და ბრაიან ლაუდრუპები ნაკრებში თამაშს უარობდნენ. თითქოსდა რა უნდა ჰქონოდათ საწინააღმდეგო ესპანური „ბარსელონასა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავებს, მაგრამ... მიხაელი არ ფარავდა, რიქარდ მიოლერ-ნილსენის ხელმძღვანელობა დიდად არ მეპიტნავებაო, მას უმცროსმა ბრაიანმაც აუბა მხარი. მიოლერ-ნილსენი საგონებელში ჩავარდა — რატომ დაემდურნენ ძმები? მიხაელმა თავისი არ გადათქვა, იგი მეტად პრინციპული იყო. როცა გაცხადდა, რომ შერისხული იუგოსლავიის ნაცვლად ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე შვედეთში დანია იასპარეზებდა, პატარა სკანდინავიური ქვეყანა საყოველთაო სიხარულმა მოიცვა. გამოცოცხლდა დანიელთა ბანაკიც, რიქარდ მიოლერ-ნილსენმა სახელდახელოდ შეკრიბა 22 ფეხბურთელი, თუმცა... მიხაელ ლაუდრუპი: „ნაკრებში თამაშს არ ვაპირებ, ვფიქრობ, ახლა უფრო ჩემს გუნდს, „ბარსელონას“ ვეჭირდები“. მაგრამ საკლუბო სეზონი ხომ დასრულებულია, მაშ, რაშია საქმე? დანიაში უფროსი ლაუდრუპის უარი ზოგმა უეფას უსამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად აღიქვა, ზოგმაც მიზეზად ზემოთქმული დასახელა, მიხაელს მიოლერ-ნილსენთან უთანხმოება აქვს და ნაკრებში თამაშსაც ამიტომ უარობს. მაგრამ რა დაშავა ბრაიანმა... ასე იყო თუ ისე, დანიამ „ხერხემალი“ მოისაკლისა. მწვრთნელმა უმცროსი ლაუდრუპი მაინც დაითანხმა და ევროპის ჩემპიონატამდე ორი დღით ადრე ამაყად განაცხადა: „გუნდი მზადაა“.

პირველი სიურპრიზი

„სამი დღის გუნდიც“ ევროპულ ფერხულში ჩაება. მალმიოში, 26 385 მაყურებლის თვალწინ მიოლერ-ნილსენის დამოძღვრილმა, ფაქტობრივად ევროპის საჩემპიონატო შეკრებაგაუვლელმა ბიჭებმა ინგლისელებთან ითამაშეს. 0:0 — აი, გასაკვირი შედეგი და იცით, რატომ? მაშინ, როცა გრემ ტეილორმა ჩემპიონატამდე ნაკრები ათჯერ მაინც გამოსცადა, დანიელთა წილად ერთადერთი ამხანაგური მატჩი იყო სნგ-ს ნაკრებთან — 2:2. მაშინ დანიელებზე აუგი არავის დასცდენია, პირიქით, გრემ ტეილორი, ინგლისის ნაკრების თავკაცი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, მოუმზადებელ გუნდს როგორ ვერ მოუგეო.

მერე კი მასპინძელი შვედეთი იყო. მომავალმა ტრიუმფატორებმა ეს მატჩი ჩააგდეს, ბროლინის 58-ე წუთზე გატანილი ბურთით 0:1 წააგეს და ევროპული ფეხბურთის მმართველთა გადაწყვეტილებამ ყველანი აალაპარაკა, აი, ნახეთ, რა მოიტანა იუგოსლავიის ნაცვლად დანიელთა მონაწილეობამ.

მაგრამ მიოლერ-ნილსენი დუმდა, წინ ბოლო შეხვედრა იყო საფრანგეთთან. მიშელ პლატინის გუნდთან დანიელთა აღმფრენას კი აღარავინ ელოდა. მე-8 წუთზე ჰენრიკ ლარსენს სკანდინავიელები წინ გაჰყავს, თუმცა მე-60 წუთზე ჟან-პიერ პაპენს პიტერ შმაიხელის კარში კლასიკური ბურთი გააქვს და ფრანგებსაც იმედი ეძლევათ, ეგებ...

...78-ე წუთი, ბრაიან ლაუდრუპი მოხდენილ პასს აწვდის შეცვლაზე 12 წუთის შესულ ლარს ელსტრუპს და ბრუნო მარტინი უძლურია. დანიამ სკეპტიკოსები მიაჩუმა, იგი ნახევარფინალშია, იქ კი...

ვილფორტის გასაჭირი

მოდით, სანამ ნახევარფინალზე ვისაუბრებდეთ, ერთ კაცზე გეტყვით. იგი, არც მეტი, არც ნაკლები, დანიელთა მეთვრამეტე ნომერი კიმ ვილფორტი გახლავთ.

კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ვილფორტი და არა შმაიხელი, ლაუდრუპი, ფლემინგ პოულსენი თუ ჯონ იენსენი...

...მალმიო, სადაც დანიის ნაკრები ძირითადად მართავდა თავის მატჩებს, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენამდე ერთი ფეხის ნაბიჯზეა.

რა შუაშია აქ მალმიო და კოპენჰაგენი? იქნებ ბევრს არც ახსოვს, რა მძიმე იყო ვილფორტის მდგომარეობა. კაცი მეზობელ ქვეყანაშია, ევროპის ჩემპიონატზე თავის ქვეყანას წარმოადგენს, თანაც ღირსეულად, ამ დროს კი კოპენჰაგენის საავადმყოფოში გულის მანკით დაავადებული ოთხი წლის გოგონა უწევს. ვილფორტიც ორცეცხლშუა იყო, ნაკრებთან ყოფილიყო თუ მცირეწლოვან შვილს ამოსდგომოდა გვერდში...

მის თანაგუნდელებს და რიქარდ მიოლერ-ნილსენს კი ყველაფერი კარგად ესმოდათ. კიმი ყოველი თამაშის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, პირმშოსთვის არაფერს იშურებდა.

დანიის ნაკრებსაც სტიმული მიეცა, მისი ყოველი წარმატება პატარა ანე-მარიას სახელს უკავშირდებოდა. „ალბათ, ბიჭები გამიგებენ. წარმოიდგინეთ, ყოველი მატჩის შემდეგ აქეთიქით ბორნით დაახლოებით 300 კილომეტრის გავლა მიწევს, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვიქცევი, ბავშვისთვისაც საჭირო ვარ და ნაკრებისთვისაც“ — განაცხადა დაღონებულმა ვილფორტმა.

დანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობა რომ მოიპოვა, ანე-მარიას მიუძღვნა. სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ ვილფორტის ქალიშვილი ახლა 12-13 წლისაა.

ერთი ჩემზე იყოს

და ნახევარფინალიც მოახლოვდა. 22 ივნისი, გიოტებორგი. მიოლერ-ნილსენის გუნდისთვის უცნობი სტადიონი. პატარა დანია, ასევე პატარა, თუმც ტიტულიან, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ და ევროპის ჩემპიონ ჰოლანდიის წინააღმდეგ.

თითქმის იგივე ხალხი, ისინი, ვინც ოთხი წლის წინ „ტიტების ქვეყანას“ ჩემპიონობა მოუპოვა: ვან ბრეკელენი, რონალდ კუმანი, ვან ტიგელენი, ვოუტერსი და რაღა თქმა უნდა, იტალიური „მილანის“ სუპერტრიო — მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი და ფრანკ რაიკარდი. ამათ ოთხი წლის წინანდელი ტრიუმფის სულისჩამდგმელი რინუს მიხელსიც დაუმატეთ და ნათელი გახდება — ჰოლანდია აშკარა ფავორიტი გახლდათ. წინადღით გერმანიის მიერ შვედეთის ძლევამ კიდევ უფრო გააღვივა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანია — ჰოლანდიის ხილვის მოლოდინი, მაგრამ...

„ერთ დარტყმას მე ავიღებ, ბიჭებო“ — შეუძახებდა ხოლმე თანაგუნდელებს მაშინ „ბრონდბიუს“, მერე კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მეკარე პიტერ შმაიხელი. იმ დროს ზორბა დანიელს ასე კარგად არ იცნობდა საფეხბურთო სამყარო.

ერთხელ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ უეფას თასის საპასუხო მატჩში, მოსკოვში „ტორპედოს“ სტუმრობდა, თერმეტმეტრიანების სერიის წინ შმაიხელმა თანაგუნდელები შეაგულიანა, ერთი ჩემზე იყოსო, თქვა და აასრულა კიდეც, თუმცა, მისდა სამწუხაროდ, ბიჭებმა ყველა ვერ გაიტანეს.

1992 წლის 22 ივნისს კი შმაიხელმა ერთხელაც გაიმეორა, ერთ დარტყმას მე ავიღებო და... თანაგუნდელებმა ყველა გაიტანეს.

ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 2:2 დასრულდა — პენალტების სერია. ბურთთან მარკო ვან ბასტენი მივიდა. თეთრ ნიშნულთან ბურთი დინჯად, აუღელვებლად დადო, წამიც და... ნელი გამორბენი, შმაიხელის ბრწყინვალე ნახტომი. ახლა უკვე დანიელთა ჯერია, ვინ ითავებს გადამწყვეტ დარტყმას? კიმ კრისტოფტე — კაცი, რომელსაც რკინის ნერვები აღმოაჩნდა, მან ვან ბრეკელენი ოსტატურად გააცურა და ყველაფერი ჰანს-ქრისტიან ანდერსენის ზღაპარს დაამსგავსა. დანია ფინალშია, ელკიაერის, არნესენის, ლერბიუს და ზეპ პინტეკის გაუკეთებელი „პატარა“ დანიელებმა იტვირთეს.

რიქარდ მიოლერ-ნილსენი: „თავი ზღაპარში მგონია, ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ ფინალში ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანიას რაიმეს იოლად დავუთმობთ. ვეცდებით, ზღაპარი ბოლომდე დავასრულოთ.“

პიტერ შმაიხელი სიხარულისგან ბავშვივით ცქმუტავდა: „კარგად მახსოვს, ჩვენზე ამბობდნენ, სუსტი გუნდიაო, მაგრამ თავადაც ნახეთ, ვინც ვართ. იქნებ ჩემპიონობა არც ისე შორია.“

ცხადი იყო, დანიას ვერავინ გაჩერებდა. 26 ივნისს, გიოტებორგში, „ულევიზე“, ბერტი ფოგთსის „მანქანა“ რიქარდ მიოლერ-ნილსენის „მეზღაპრეებს“ უნდა შებმოდა.

ნახვამდის, გერმანიავ!

...მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთია დარჩენილი, გიოტებორგის „ულევი“ კი თითქმის დანიელებითაა სავსე. ქომაგებმა უკვე ირწმუნეს სასწაული და გერმანულად ამღერდნენ — „AUF-WIEDERSEHEN DEUTSCHLAND“ — ნახვამდის, გერმანიავ, ჩვენ ჩემპიონები ვართ.“

სასწაული მოხდა, ზღაპარიც კეთილად დასრულდა. „დანიური დინამიტი“ ჯერ კიდევ მე-18 წუთზე აფეთქდა, როდესაც ჯონ იენსენის ყუმბარისებურად გასროლილმა ბოდო ილგნერი სახტად დატოვა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ლამის კარის მწვანე ბადე გახია. გაიხარეს დანიელებმა. ფოგთსმაც, წაგების საფრთხე რომ იგრძნო, ზამერისა და ეფენბერგის ნაცვლად თავდამსხმელებს — ტომას დოლსა და ანდრეას ტომს უხმო, მაგრამ ცხადი იყო, გერმანელები სკანდინავიელთა გაჩერებაში აღარ იყვნენ.

შვეიცარიელ არბიტრ ბრუნო გალერის საფინალო სასტვენამდე 12 წუთით ადრე კი „მანქანა“ საბოლოოდ დაიშალა.

კიმ ვილფორტმა მოედნის ცენტრში ბურთი მოიგდო, საჯარიმოს მიუახლოვდა და ილგნერს არცთუ ძლიერი დარტყმით ძელიდან ასხლეტილი გაუტანა. ბევრს ლაპარაკობდნენ, დანიელმა ბურთი ხელით გაისწორაო, თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს, თავად გერმანელებსაც არ გამოუთქვამთ პროტესტი...

ფინალს თანამემამულეთა საქომაგოდ ჩასული დანიის პრინცი ფერდინანდიც ესწრებოდა. უნდა გენახათ ამ პატივცემული პიროვნების სიხარული, სამეფო კარის წარმომადგენლისთვის უჩვეულოდ რომ გამოხატა.

პიტერ შმაიხელი, ბრაიან ლაუდრუპი, ფლემინგ პოულსენი, ჯონ იენსენი, კიმ ვილფორტი, სხვები და, რაღა თქმა უნდა, „ჯადოქარი“ რიქარდ მიოლერ-ნილსენი — აი, ისინი, ვინაც საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა.

დანია სულ ცოტა ოთხი წლით ევროპაში უძლიერესია, ინგლისშიც თავაწეული და ამაყი ჩავიდა, მაგრამ...

მოდით, აქ შევჩერდეთ და ერთი კითხვა დავსვათ, დაშავა რამე უეფამ, როცა იუგოსლავია დანიით შეცვალა?

ზღაპარი იმითაა კარგი, რომ ბოლო კეთილია. ჰოდა, ანდერსენის ზღაპარიც დასრულდა, დანია — ევროპის ჩემპიონია.

სარგბილის არქივიდან

1992 წლის 26 ივნისი. გერმანია — დანია 0:2. დანიელმა ჯონ იენსენმა (№7) მეტოქე შტეფან ეფენბერგს დაასწრო

ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

ისლანდია — ალბანეთი 2:0; ისლანდია — საფრანგეთი 1:2; ჩეხოსლოვაკია — ისლანდია 1:0; ესპანეთი — ისლანდია 2:1; საფრანგეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1; ჩეხოსლოვაკია — ესპანეთი 3:2; ალბანეთი — საფრანგეთი 0:1; ესპანეთი — ალბანეთი 9:0; საფრანგეთი — ესპანეთი 3:1; საფრანგეთი — ალბანეთი 5:0; ალბანეთი — ჩეხოსლოვაკია 0:2; ალბანეთი — ისლანდია 1:0; ისლანდია — ჩეხოსლოვაკია 0:1; ჩეხოსლოვაკია — საფრანგეთი 1:2; ისლანდია — ესპანეთი 2:0; ესპანეთი — საფრანგეთი 1:2; ჩეხოსლოვაკია — ალბანეთი 2:1; ესპანეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1; საფრანგეთი — ისლანდია 3:1; ალბანეთი — ესპანეთი არ გამართულა.

საფრანგეთი	8	8	0	0	20:6	16
ჩეხოსლოვაკია	8	5	0	3	12:9	10
ესპანეთი	7	3	0	4	17:12	6
ისლანდია	8	2	0	6	7:10	4
ალბანეთი	7	1	0	6	2:21	2

II ᲯᲒᲣᲤᲘ

შვეიცარია — ბულგარეთი 2:0; შოტლანდია — რუმინეთი 2:1; რუმინეთი — ბულგარეთი 0:3; შოტლანდია — შვეიცარია 2:1; ბულგარეთი — შოტლანდია 1:1; სან მარინო — შვეიცარია 0:4; რუმინეთი — სან მარინო 6:0; შოტლანდია — ბულგარეთი 1:1; სან მარინო — რუმინეთი 1:3; შვეიცარია — რუმინეთი 0:0; ბულგარეთი — შვეიცარია 2:3; სან მარინო — შოტლანდია 0:2; სან მარინო — ბულგარეთი 0:3; შვეიცარია — სან მარინო 7:0; შვეიცარია — შოტლანდია 2:2; ბულგარეთი — სან მარინო 4:0; რუმინეთი — შოტლანდია 1:0; შოტლანდია — სან მარინო 4:0; რუმინეთი — შვეიცარია 1:0; ბულგარეთი — რუმინეთი 1:1

შოტლანდია	8	4	3	1	14:7	11
შვეიცარია	8	4	2	2	19:7	10
რუმინეთი	8	4	2	2	13:7	10
ბულგარეთი	8	3	3	2	15:8	9
სან მარინო	8	0	0	8	1:33	0

III ᲯᲒᲣᲤᲘ

სსრკ — ნორვეგია 2:0; ნორვეგია — უნგრეთი 0:0; უნგრეთი — იტალია 1:1; უნგრეთი — კვიპროსი 4:2; იტალია — სსრკ 0:0; კვიპროსი — ნორვეგია 0:3; კვიპროსი — იტალია 0:4; კვიპროსი — უნგრეთი 0:2; უნგრეთი — სსრკ 0:1; იტალია — უნგრეთი 3:1; ნორვეგია — კვიპროსი 3:0; სსრკ — კვიპროსი 4:0; ნორვეგია — იტალია 2:1; ნორვეგია — სსრკ 0:1; სსრკ — უნგრეთი 2:2; სსრკ — იტალია 0:0; უნგრეთი — ნორვეგია 0:0; იტალია — ნორვეგია 1:1; კვიპროსი — სსრკ 0:3; იტალია — კვიპროსი 2:0

სსრკ	8	5	3	0	13:2	13
იტალია	8	3	4	1	13:5	10
ნორვეგია	8	3	3	2	9:6	9
უნგრეთი	8	1	1	6	6:14	3
კვიპროსი	8	0	0	8	2:25	0

IV ᲯᲒᲣᲤᲘ

ჩრდ. ირლანდია — იუგოსლავია 0:2; ფარერები — ავსტრია 1:0; დანია — ფარერები 4:1; ჩრდ. ირლანდია — დანია 1:1; იუგოსლავია — ავსტრია 4:1; დანია — იუგოსლავია 0:2; ავსტრია — ჩრდ. ირლანდია 0:0; იუგოსლავია — ჩრდ. ირლანდია 4:1; იუგოსლავია — დანია 1:2; ჩრდ. ირლანდია — ფარერები 1:1; იუგოსლავია — ფარერები 7:0; ავსტრია — ფარერები 3:0; დანია — ავსტრია 2:1; ფარერები — ჩრდ. ირლანდია 0:5; ფარერები — დანია 0:4; ავსტრია — დანია 0:3; ფარერები — იუგოსლავია 0:2; ჩრდ. ირლანდია — ავსტრია 2:1; დანია — ჩრდ. ირლანდია 2:1; ავსტრია — იუგოსლავია 0:2

იუგოსლავია	*8*	*7*	*0*	*1*	*24:4*	*14*
დანია	8	6	1	1	18:7	13
ჩრდ. ირლანდია	8	2	3	3	11:11	7
ავსტრია	8	1	1	6	6:14	3
ფარერები	8	1	1	6	3:26	3

V ᲯᲒᲣᲤᲘ

უელსი — ბელგია 3:1; ლუქსემბურგი — გერმანია 2:3; ლუქსემბურგი — უელსი 0:1; ბელგია — ლუქსემბურგი 3:0; ბელგია — უელსი 1:1; გერმანია — ბელგია 1:0; უელსი — გერმანია 1:0; ლუქსემბურგი — ბელგია 0:2; გერმანია — უელსი 4:1; უელსი — ლუქსემბურგი 1:0; ბელგია — გერმანია 0:1; გერმანია — ლუქსემბურგი 4:0

გერმანია	6	5	0	1	13:4	10
უელსი	6	4	1	1	8:6	9
ბელგია	6	2	1	3	7:6	5
ლუქსემბურგი	6	0	0	1	2:14	0

VI ᲯᲒᲣᲤᲘ

ფინეთი — პორტუგალია 0:0; პორტუგალია — ჰოლანდია 1:0; საბერძნეთი — მალტა 4:0; ჰოლანდია — საბერძნეთი 2:0; მალტა — ფინეთი 1:1; მალტა — ჰოლანდია 0:8; საბერძნეთი — პორტუგალია 3:2; მალტა — პორტუგალია 0:1; პორტუგალია — მალტა 5:0; ჰოლანდია — მალტა 1:0; ჰოლანდია — ფინეთი 2:0; ფინეთი — მალტა 2:0; ფინეთი — ჰოლანდია 1:1; პორტუგალია — ფინეთი 1:0; ფინეთი — საბერძნეთი 1:1; ჰოლანდია — პორტუგალია 1:0; საბერძნეთი — ფინეთი 2:0; პორტუგალია — საბერძნეთი 1:0; საბერძნეთი — ჰოლანდია 0:2; მალტა — საბერძნეთი 1:1

ჰოლანდია	8	6	1	1	17:2	13
პორტუგალია	8	5	1	2	11:4	11
საბერძნეთი	8	3	2	3	11:9	8
ფინეთი	8	1	4	3	5:8	6
მალტა	8	0	2	6	2:23	2

VII ᲯᲒᲣᲤᲘ

ინგლისი — პოლონეთი 2:0; ირლანდია — თურქეთი 5:0; ირლანდია — ინგლისი 1:1; თურქეთი — პოლონეთი 0:1; ინგლისი — ირლანდია 1:1; პოლონეთი — თურქეთი 3:0; თურქეთი — ინგლისი 0:1; ირლანდია — პოლონეთი 0:0; პოლონეთი — ირლანდია 3:3; ინგლისი — თურქეთი 1:0; თურქეთი — ირლანდია 1:3; პოლონეთი — ინგლისი 1:1

ინგლისი	6	3	3	0	7:3	9
ირლანდია	6	2	4	0	13:6	8
პოლონეთი	6	2	3	1	8:6	7
თურქეთი	6	0	0	6	1:14	0

მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 2 ქულა.

ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

A ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 1:1 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

1:0 ერიკსონი (24), 1:1 პაპენი (58)
შვედეთი: რაველი, ნილსონი, ერიკსონი, შვარცი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, ინგესონი, ტერნი, კ. ანდერსონი (დალინი 74), ბროლინი, ლიმპარი
მწვრთნელი: ტომი სვენსონი
საფრანგეთი: მარტინი, ამორო, ანგლომა (ფერნანდესი 66), დეშამპი, ბოლი, კაზონი, ბლანი, სოზე, პაპენი, კანტონა, ვაირუა (პერესი 46)
მწვრთნელი: მიშელ პლატინი
მსაჯი: ალექსეი სპირინი (სნგ)
10.06.92. სტოკჰოლმი. 30 000 მაყურებელი

ᲓᲐᲜᲘᲐ 0:0 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

დანია: შმაიხელი, სივებაკი, ანდერსენი, იენსენი, ნილსენი, ოლსენი, ვილფორტი, კრისტოფტე, პოულსენი, კრისტენსენი, ბ. ლაუდრუპი
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
ინგლისი: ვუდსი, კარლი (დეილი 62), პირსი, პალმერი, კიოუნი, უოლკერი, სტივენი, პლატი, სმიტი, ლინეკერი, მერსონი (ვები 71)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მსაჯი: ჯონ ბლანკენშტაინი (ჰოლანდია)
11.06.92. მალმიო. 26 385 მაყურებელი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 0:0 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

საფრანგეთი: მარტინი, ამორო, ფერნანდესი (პერესი 75), ბოლი, კაზონი, ბლანი, სოზე (ანგლომა 46), დეშამპი, პაპენი, კანტონა, დიურანი
მწვრთნელი: მიშელ პლატინი
ინგლისი: ვუდსი, სინტონი, პირსი, ბეტი, კიოუნი, უოლკერი, სტივენი, პალმერი, შირერი, ლინეკერი, პლატი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)
14.06.92. მალმიო. 26 535 მაყურებელი

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 1:0 ᲓᲐᲜᲘᲐ

1:0 ბროლინი (58)
შვედეთი: რაველი, ნილსონი, ერიკსონი, შვარცი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, ინგესონი, ტერნი, დალინი (ეკსტრიომი 77), ბროლინი, ლიმპარი (ერლინგმარკი 90)
მწვრთნელი: ტომი სვენსონი
დანია: შმაიხელი, სივებაკი, ანდერსენი, იენსენი (ლარსენი 63), ნილსენი, კრისტოფტე, ოლსენი, ვილფორტი, პოულსენი, კრისტენსენი (ფრანკი 51), ბ. ლაუდრუპი
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
მსაჯი: არონ შმიდჰუბერი (გერმანია)
14.06.92. სტოკჰოლმი. 29 902 მაყურებელი

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 2:1 ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

0:1 პლატი (4), 1:1 ერიკსონი (52), 2:1 ბროლინი (82)
შვედეთი: რაველი, ნილსონი, ბიორკლუნდი, შვარცი, პ. ანდერსონი, ერიკსონი, ინგესონი, ტერნი, დალინი, ბროლინი, ლიმპარი (ეკსტრიომი 46)
მწვრთნელი: ტომი სვენსონი
ინგლისი: ვუდსი, ბეტი, პირსი, პალმერი, კიოუნი, უოლკერი, დეილი, ვები, ლინეკერი (სმიტი 62), პლატი, სინტონი (მერსონი 76)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მსაჯი: ჟოზე როსა დოს სანტუში (პორტუგალია)
17.06.92. სტოკჰოლმი. 30 126 მაყურებელი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 1:2 ᲓᲐᲜᲘᲐ

0:1 ლარსენი (8), 1:1 პაპენი (60), 1:2 ელსტრუპი (78)
საფრანგეთი: მარტინი, ამორო, ბოლი, კაზონი, ბლანი, პერესი (კოკარი 79), დეშამპი, პაპენი, კანტონა, დიურანი, ვაირუა (ფერნანდესი 46)
მწვრთნელი: მიშელ პლატინი
დანია: შმაიხელი, სივებაკი, ანდერსენი, იენსენი, ნილსენი (პეხნიკი 61), ოლსენი, კრისტოფტე, ლარსენი, ფრანკი, პოულსენი, ბ. ლაუდრუპი (ელსტრუპი 66)
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
მსაჯი: ჰუბერტ ფორსტინგერი (ავსტრია)
17.06.92. მალმიო. 25 763 მაყურებელი

შვედეთი	3	2	1	2	4:2	5
დანია	*3*	*1*	*1*	*1*	*2:2*	*3*
საფრანგეთი	3	0	2	1	2:2	2
ინგლისი	3	0	2	1	1:2	2

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 1:0 ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

1:0 ბერხკამპი (75)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი (იონკი 54), რაიკარდი, რ. კუმანი, ვიჩგე, გულიტი, ვან ბასტენი, ბერხკამპი (ვინტერი 84), როი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
შოტლანდია: გორამი, მაკკიმი, მალპასი, მაკკოლი, მაკფერსონი, გაფი, მაკლეირი (ფერგიუსონი 78), მაკალისტერი, დიური, მაკსტეი, მაკკოისტი (გალაჰერი 73)
მწვრთნელი: ენდი როქსბურგი
მსაჯი: ბო კარლსონი (შვედეთი)
12.06.92. გიოტებორგი. 35 720 მაყურებელი

სნგ 1:1 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

1:0 დობროვოლსკი (64პ), 1:1 ჰესლერი (90)
სნგ: ხარინი, ო. კუზნეცოვი, ჩერნიშოვი, ცვეიბა, კანჩელსკისი, მიხაილიჩენკო, ლიუტი (ონოპკო 46), დ. კუზნეცოვი, შალიმოვი (ივანოვი 86), კოლივანოვი, დობროვოლსკი
მწვრთნელი: ანატოლი ბიშოვეცი
გერმანია: ილგნერი, როიტერი (კლინსმანი 65), ბრემე, კოლერი, ბინცი, ბუხვალდი, ეფენბერგი, ჰესლერი, დოლი, ფიოლერი (მიოლერი 46), რიდლე
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
მსაჯი: ჟერარ ბიგო (საფრანგეთი)
12.06.92. ნორჩიოპინგი. 17 410 მაყურებელი

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ 0:2 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

0:1 რიდლე (29), 0:2 ეფენბერგი (47)
შოტლანდია: გორამი, მაკკიმი, მალპასი, მაკკოლი, მაკფერსონი, გაფი, მაკლეირი, მაკალისტერი, დიური (ნევინი 55), მაკსტეი, მაკკოისტი (გალაჰერი 68)
მწვრთნელი: ენდი როქსბურგი
გერმანია: ილგნერი, ბრემე, კოლერი, ბინცი, ბუხვალდი, ზამერი, ეფენბერგი, ჰესლერი, რიდლე (როიტერი 67, შულცი 75), მიოლერი, კლინსმანი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
მსაჯი: გი გუტალსი (ბელგია)
15.06.92. ნორჩიოპინგი. 17 800 მაყურებელი

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 0:0 სნგ

ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, ვიჩგე, გულიტი (ვან'ტ სხიპი 72), ვან ბასტენი, ბერხკამპი (ვისკალი 80), როი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
სნგ: ხარინი, ო. კუზნეცოვი, ჩერნიშოვი, ცვეიბა, კანჩელსკისი, მიხაილიჩენკო, ალეინიკოვი (დ. კუზნეცოვი 57), ონოპკო, იურანი (კირიაკოვი 65), კოლივანოვი, დობროვოლსკი
მწვრთნელი: ანატოლი ბიშოვეცი
მსაჯი: პეტერ მიკელსენი (დანია)
15.06.92. გიოტებორგი. 34 440 მაყურებელი

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 3:1 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

1:0 რაიკარდი (4), 2:0 ვიჩგე (15), 2:1 კლინსმანი (53), 3:1 ბერხკამპი (72)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან ტიგელენი, ფ. დე ბური (ვინტერი 61), ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, ვიჩგე, გულიტი, ვან ბასტენი, ბერხკამპი (ბოში 87), როი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
გერმანია: ილგნერი, ბრემე, ფრონცეკი, ჰელმერი, კოლერი, ბინცი (ზამერი 46), ჰესლერი, ეფენბერგი, რიდლე (დოლი 76), მიოლერი, კლინსმანი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
მსაჯი: პიერლუიჯი პაირეტო (იტალია)
18.06.92. გიოტებორგი. 37 725 მაყურებელი

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ 3:0 სნგ

1:0 მაკსტეი (7), 2:0 მაკლეირი (16), 3:0 მაკალისტერი (84პ)
შოტლანდია: გორამი, მაკკიმი, ბოიდი, მაკკოლი, მაკფერსონი, გაფი, მაკლეირი, მაკალისტერი, გალაჰერი (ნევინი 79), მაკსტეი, მაკკოისტი (მაკინლი 65)
მწვრთნელი: ენდი როქსბურგი
სნგ: ხარინი, ო. კუზნეცოვი, ჩერნიშოვი, ცხადაძე, კანჩელსკისი, მიხაილიჩენკო, ალეინიკოვი (დ. კუზნეცოვი 46), ონოპკო, იურანი, კირიაკოვი (კორნეევი 46), დობროვოლსკი
მწვრთნელი: ანატოლი ბიშოვეცი
მსაჯი: კურტ როტლისბერგერი (შვეიცარია)
18.06.92. ნორჩიოპინგი. 14 660 მაყურებელი

ჰოლანდია	3	2	1	0	4:1	5
გერმანია	*3*	*1*	*1*	*1*	*4:4*	*3*
შოტლანდია	3	1	0	2	3:3	2
სნგ	3	0	2	1	1:4	2

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ 2:3 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

0:1 ჰესლერი (11), 0:2 რიდლე (59), 1:2 ბროლინი (64პ), 1:3 რიდლე (88), 2:3 ანდერსონი (89)
შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, ბიორკლუნდი, ი. ნილსონი (ლიმპარი 58), ერიკსონი, ლიუნგი, ინგესონი, ტერნი, კ. ანდერსონი, ბროლინი, დალინი (ეკსტრიომი 73)
მწვრთნელი: ტომი სვენსონი
გერმანია: ილგნერი, როიტერი, ბრემე, კოლერი, ჰელმერი, ბუხვალდი, ზამერი, ეფენბერგი, ჰესლერი, რიდლე, კლინსმანი (დოლი 89)
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
მსაჯი: ტულიო ლანეზე (იტალია)
21.06.92. სტოკჰოლმი. 28 827 მაყურებელი

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ 2:2 (ჰეტ. 4:5) ᲓᲐᲜᲘᲐ

0:1 ლარსენი (5), 1:1 ბერხკამპი (23), 1:2 ლარსენი (33), 2:2 რაიკარდი (86)

ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘᲔᲑᲘ:

1:0 კუმანი, 1:1 ლარსენი, 1:1 ვან ბასტენი (მეკარე), 1:2 პოულსენი, 2:2 ბერხკამპი, 2:3 ელსტრუპი, 3:3 რაიკარდი, 3:4 ვილფორტი, 4:4 ვიჩგე, 4:5 კრისტოფტე
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან ტიგელენი, ფ. დე ბური (კიფტი 46), ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, ვიჩგე, გულიტი, ვან ბასტენი, ბერხკამპი, როი (ვან'ტ სხიპი 115)
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
დანია: შმაიხელი, პეხნიკი, სივებაკი, ვილფორტი, ანდერსენი (კრისტიანსენი 70), ოლსენი, კრისტოფტე, ლარსენი, პოულსენი, იენსენი, ბ. ლაუდრუპი (ელსტრუპი 57)
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
მსაჯი: ემილიო სორეანო ალადრენი (ესპანეთი)
22.06.92. გიოტებორგი. 37 450 მაყურებელი

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ 0:2 ᲓᲐᲜᲘᲐ

0:1 იენსენი (18), 0:2 ვილფორტი (78)
გერმანია: ილგნერი, როიტერი, ბრემე, ზამერი, ბუხვალდი, კოლერი, ჰელმერი, ჰესლერი, ეფენბერგი (ტომი 80), რიდლე (დოლი 46), კლინსმანი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
დანია: შმაიხელი, პეხნიკი, სივებაკი (კრისტიანსენი 66), ვილფორტი, ნილსენი, ოლსენი, იენსენი, ლარსენი, პოულსენი, კრისტოფტე, ბ. ლაუდრუპი
მწვრთნელი: რიქარდ მიოლერ-ნილსენი
მსაჯი: ბრუნო გალერი (შვეიცარია)
26.06.92. გიოტებორგი. 37 800 მაყურებელი

ფინალური ტურნირი ჩატარდა შვედეთში.

ევროპის 1992 წლის ჩემპიონი დანიის ნაკრები. მარცხნიდან დგანან: პიტერ შმაიხელი, ლარს ოლსენი, ჯონ იენსენი, ჯონ სივებაკი, ტორბენ პეხნიკი, კიმ კრისტოფტე; სხედან: ფლემინგ პოულსენი, ბრაიან ლაუდრუპი, კიმ ნილსენი, ჰენრიკ ლარსენი, კიმ ვილფორტი

სარბიელის არქივიდან

თითქმის დამთავრდა

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ ჩემპიონია

პრემიერლიგაში ბევრი რამ გაირკვა.

მთავარი ის, რომ ჩემპიონი კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედია“ და მასთან ერთად საგაისო ჩემპიონთა ლიგის საგზურებს „ლივერპული“ და „არსენალი“ ითრევენ. „ლიდსი“, ისევე როგორც შარშან, უეფას თასის სავარაუდო მონაწილედ ჩანს. აი, „ჩელსი“ კი, რას მიაღწევს ძნელი სათქმელია.

ვიალის გუნდი ძალიან იშვიათად კი აგებს, მაგრამ მოგებაც უჭირს და ევროტურნირებზე მოხვედრის შანსისთვის ბრძოლა ამ გუნდისთვის გვარიან სიმძაფრეს იძენს. ლიგის თასის მფლობელი „ლესტერი“ უეფას ტურნირზე ხვდება, „ლიდსი“ ძნელად გაუშვებს ხელიდან მესამე ადგილს. არსებობს ინტერტოტო და არსებობს ასოციაციის თასის ფინალი, რომელიც ასევე იძლევა ევროსაგზურს და რომელშიაც „ჩელსი“ „ასტონ ვილას“ ხვდება.

„ჩელსიმ“ 2:3 წაგო მანჩესტერში, აწ უკვე ჩემპიონთან და ამ ცალფეხა, ამხანაგურის მსგავს თამაშში საზიზღრად გამოიყურებოდა. ამ მარცხმა კიდევ უფრო გაურთულა საქმე ვიალის და მის გუნდს. ისიც კი გასარკვევია, იქნება თუ არა ვიალი „ჩელსის“ მწვრთნელი სამი კვირის შემდეგ. მითუმეტეს, რომ „რეალის“ პატრონ ლორენცო სანსს უთქვამს, ჯანლუკა ჩემი გუნდის მწვრთნელად მესახებაო. მანჩესტერში კი თამაშს დაესწრო სამოცდაერთი ათასი მაყურებელი, რომელიც ოვაციით შეეგება რვა წელიწადში მეექვსედ გაჩემპიონებულ „იუნაიტედს“.

სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „მარშან სამი ტიტული მოვიგეთ. წელს, მხოლოდ ერთი, მაგრამ შარშან განსაკუთრებული წელიწადი იყო. ასეთი სეზონები ისტორიას შემორჩება ხოლმე“.

თამაშს ესწრებოდა „მანჩესტერის“ ახალი შენაძენი ჰოლანდიელი რუდ ვან ნისტელროი. ამხანაგური ბურთის გორაობის შემდეგ მან განაცხადა: „თამაშს მაინც ეტყობოდა, რომ დიად კლუბში მოვხვდი. ჩემთვის ეს დიდებული გამოწვევაა“. აქვე უნდა ითქვას, რომ „მანჩესტერმა“ წლეულს უკვე დაამყარა პრემიერლიგის რეკორდი ერთ ჩემპიონატში გატანილი გოლებით. თუმც, საერთაშორისურ რეკორდს ჯერჯერობით ვერ უწია. „მანჩესტერი“ პირად რეკორდსაც გაუსწორდა — „ჩელსის“ კარში გატანილი სამი ბურთით მას 35 შეხვედრაში 90 გოლი მოუგროვდა. ამგვარი შედეგით „მანჩესტერმა“ დაასრულა 1963-64 წლების სეზონი. მაშინ, მატ ბასბის ხელში, გუნდმა 42 მატჩში გაიტანა 90 ბურთი.

ასევე გარკვეულია, რომ პრემიერლიგას ეთხოვება „უოტფორდი“, გრემ ტეილორის უსუსტესი გუნდი. მისი შემცვლელიც გარკვეულია: „პირველი დივიზიონის აშკარა ლიდერი „ჩარლტონი“. პრემიერლიგის დარჩენილ ტურებში კი დიდი ბრძოლა გაიმართება „შეფილდ უენსდის“, „ბრედფორდსა“ და „უიმბლდონს“ შორის.

გავარდნიდან თავი დაძვრენილი აქვს ქართველთათვის საინტერესო „დერბი ქაუნთის“, რომელმაც „საუთჰემპტონის“ ძლევით დიდწილად მოსპო კონკურენცია მასსა და ლიგაში დარჩენისათვის მებრძოლებს შორის.

ასე რომ, პრემიერლიგის ამბავი გაირკვა და არც გარკვეულა. მცირე ინტრიგები მაინც არსებობს. მალე კი დიდი დასვენება იქნება, რაც საგაისო სეზონისთვის სილუეტების გამოკვეთის საუკეთესო საშუალებაა.

ირაკლი გამყრელიძე

რუმინეთი

30-ე ტური: რაპიდი — ნაციონალი 3:2; დინამო — სტიაუა 3:2; ბრაშოვი — ონეშტი 5:1; როკარი — ფარული 2:0; ეკსტენსივი — უნივერსიტატეა 2:3; პეტროლული — რეშიცა 4:2; არჯეში — ჩეპლაული 1:1; გლორია — ასტრა 2:0; ოცელული — ბაკეუ 3:1

„მონაკოს“, „მანჩესტერის“, „პსვ ეინდჰოვენის“, „რეინჯერსის“ და „ანდერლეხტის“ კვალდაკვალ ევროპას კიდევ ერთი ჩემპიონი შეემატა. რუმინეთში ეს ტიტული ბუქარესტის „დინამომ“ თავის ისტორიაში მეთხუთმეტედ მოიპოვა.

ჩემპიონატის 30-ე ტურში დინამოელები თანაქალაქელ „სტიაუას“ ხვდებოდნენ. გამარჯვების შემთხვევაში უახლოესი მდევარი მათ ვეღარ დაეწეოდა. მიზანი ნათელი, დიდი, მაგრამ ძნელადმისაღწევი გახლდათ. საქმე ისაა, რომ „დინამოს“ „სტიაუასთვის“ — რუმინეთის ამ ყველაზე სახელოვანი კლუბისთვის მთელი ცხრა წელი ვერაფერი მოეხერხებინა. მაგრამ ნავსი ოდესმე ხომ უნდა გატყდეს?

პირველი ტაიმის მიწურულს სტიაუელმა იულიან მიუმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს, ანგარიში კი 2:2 გახლდათ. „დინამომ“ შეტევები გაახშირა და მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ადრიან მიჰალჩეამ გამარჯვებისა შეაგდო.

პრაქტიკულად გარკვეულია მეორეადგილოსნის ვინაობაც. ასევე ბუქარესტული კლუბი „რაპიდი“ მესამე საფეხურზე მყოფ „ჩაპლაულს“ თერთმეტი ქულით უსწრებს, სათამაშო კი ოთხი ტურიღა დარჩა.

დინამო	30	24	3	3	79:32	75
რაპიდი	30	19	5	6	56:35	62
ჩეპლაული	30	15	6	9	46:39	51
არჯეში	30	14	6	10	39:30	48
სტიაუა	30	15	3	12	52:50	48
გლორია	30	15	2	13	44:40	47
ოცელული	30	14	4	12	48:41	46
ნაციონალი	30	13	4	13	53:40	43
ასტრა	30	12	7	11	39:36	43
ბაკეუ	30	12	6	12	32:34	42
პეტროლული	30	12	5	13	45:47	41
როკარი	30	13	1	16	45:47	40
ბრაშოვი	30	12	3	15	47:42	39
უნივერსიტატეა	30	11	6	13	36:35	39
ფარული	30	11	6	13	35:43	39
ონეშტი	30	8	3	19	32:76	27
რეშიცა	30	5	8	17	34:62	23
ეკსტენსივი	30	4	4	22	24:57	16

უნგრეთი

27-ე ტური: ნადიკანიჟა — შიოფოკი 1:0; ტატაბანია — ფერენცვაროში 2:1; დიოშდიორი — პალადაში 1:1; ნიირშეგი — ვაშაში 0:2; ვაცი — დიორ ეტო 1:4; დუნაფერი — პეჩი 3:1; მტკ — ზალაეგერსეგი 3:1; უიპეშტი — ჰონვედი 0:0

უნგრეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი. „დუნაფერი“ ბუდაპეშტის მტკ-ს 8 ქულით უსწრებს და ჩინებული შანსი აქვს, პირველად მოიპოვოს უძლიერესის სახელი.

შეგახსენებთ, ათიოდე დღის წინ „ფერენცვაროშის“ და „უიპეშტის“ ქომაგთა წაკინკლავება პოლიციასთან გვარიან შეტაკებაში გადაიზარდა. გულშემატკივრებმა საბრძოლო იარაღად ქვები გამოიყენეს, რაზეც სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზის ჭავლით უპასუხეს. საბოლოოდ კი ორმოცდაათი ადამიანი სხვადასხვა სახის დაზიანებით საავადმყოფოში მოხვდა.

უსიამოვნებები ბოლო ტურსაც ახლდა. ამჯერადაც „უიპეშტის“ აგრესიულმა მხარდამჭერებმა „ისახელეს“ თავი. მათი სათაყვანებელი გუნდი „ჰონვედს“ შეხვდა და მატჩი უგოლოდ დასრულდა. ქომაგები ასეთი ფინალით უკმაყოფილონი დარჩნენ, მინდორზე გადავიდნენ და ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრიეს. ერთი კაცი მძიმედ დაშავდა.

დუნაფერი	26	18	7	1	58:21	61
მტკ	26	15	8	3	50:20	53
ვაშაში	26	16	4	6	49:22	52
ტატაბანია	27	12	10	5	30:30	46
დებრეცენი	26	11	7	8	37:31	40
უიპეშტი	27	10	9	8	44:33	39
ფერენცვაროში	27	10	8	9	46:33	38
დიორ ეტო	26	10	7	9	44:27	37
ნიირშეგი	26	10	6	10	29:36	36
ზალაეგერსეგი	26	8	11	7	29:22	35
ჰონვედი	27	9	7	11	25:33	34
პეჩი	26	7	10	9	29:42	31
ნადიკანიჟა	27	6	8	13	21:37	26
ჰალადაში	26	6	5	15	27:44	23
დიოშდიორი	26	5	7	14	23:44	22
შიოფოკი	27	6	5	16	21:44	20
ვაცი	26	3	5	18	23:65	14

„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.

ასოციაციის ევროპოლიტანის შესარჩევი ციკლი

აფრიკა

შესარჩევი ეტაპი.

საპასუხო მატჩები

ალჟირი — კაბო ვერდე 2:0, 0:0; სამხრეთ აფრიკა — ლესოტო 1:0, 2:0; მაროკო — გამბია 2:0, 1:0; სიერა ლეონე — სან ტომე და პრინსიპი 4:0, 0:2; ნიგერია — ერითრეა 4:0, 0:0; გაბონი — მადაგასკარი 1:0, 0:2; ზამბია — ბოტსვანა 1:0, 1:0; კენია — მალავი 0:2, საპასუხო მატჩი შეწყდა 88-ე წუთზე, შემდეგ ეტაპზე გავიდა მალავი; ნამიბია — სეიშელი 3:0, 1:1; ტუნისი — მავრიტანია 3:0, 2:1; კოტ დივუარი — რუანდა 2:0, 2:2; სენეგალი — ბენინი 1:0; 1:1; ზიმბაბვე — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 3:1, 1:0; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა — ჯიბუტი 9:1, 1:1; ლიბერია — ჩადი 0:0, 1:0; კამერუნი — სომალი 3:0, 3:0; განა — ტანზანია 3:2, 1:0; გვინეა — უგანდა 3:0, 4:4; ტოგო — გვინეა ბისაუ 3:0, 0:0; ანგოლა — სვაზილენი 7:1, 1:0; მოზამბიკი — სუდანი 2:1, 0:1; ბურკინა ფასო — ეთიოპია 3:0, 1:2; მალავი — ლიბია 3:1, 0:3; ეგვიპტე — მავრიტანია 4:2, 2:0; კონგო — ეკვატორული გვინეა 2:1, 3:1

აფრიკის კონტინენტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთ ნაკრებს წარადგენს. მათი გამოვლენის წესი კი ასეთია: პირველ ეტაპზე ორმოცდაათმა აფრიკულმა ქვეყანამ ოცდახუთი წყვილი შექმნა და პლეი ოფის სისტემით შეხვდნენ ერთმანეთს. მეორე ეტაპზე გასულები ხუთ-ხუთ გუნდიან ჯგუფად განაწილდებიან და მათში პირველადგილოსნები კორეა — იაპონიაში გაემგზავრებიან.

პირველი ეტაპი დასრულდა. რაიმე განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა. ოცდახუთ განთესილ გუნდს მხოლოდ ოთხი გამოეთიშა. თუმცა ეს ოთხეულიც აფრიკული ფეხბურთის გრანდებს არ მიეკუთვნება.

აღნიშვნის ღირსია ორი მატჩი. ნაირობიში კენია მალავს მასპინძლობდა. პირველ შეხვედრაში 0:2 დამარცხებული კენიელები მეტოქესთან, ახლაც ვერაფერს უხერხებდნენ — 88-ე წუთისთვის ანგარიში 0:0 იყო. ქომაგებმა გამარჯვების იმედი რომ დაკარგეს, ტრიბუნებიდან მინდორზე გადაინაცვლეს. მატჩი, ცხადია, შეწყდა და კენიას ტექნიკური წაგება ჩაეთვალა, თუმცა მალაველთა დამმარცხებელი ისედაც არ იყო.

ლიბერიასა და ჩადის შეხვედრაში კი უფრო ტრაგიკული ამბები დატრიალდა. პირთამდე სავსე სტადიონზე ჭყლეტისგან სამი ადამიანი დაიღუპა.

ჯგუფური ტურნირის წილისყრა 28 აპრილს ციურიხში მოეწყობა.

სალვადორ ბალესტა ვიალკო

ნაჩუქარი

დაბადება 1975 წლის 22 მაისს სევილიაში
სიმაღლე 184 სმ.
წონა 84 კგ.
კლუბებს: „სევილია“ 1994-95, „ესახა“ 1995-98, „სევილია“ 1996-98, „რასინგი“

ესპანელი სამხედრო მფრინავის, არმიის პოლკოვნიკის ვაჟმა, რომელიც თავიდან მამის პროფესიაზე ოცნებობდა, შემდეგ ჩოგბურთელობაზე, ბოლოს კი ფეხბურთელი გამოვიდა, გასულ შაბათს, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ორი გოლი გაიტანა და ერთიც თანაგუნდელს გაატანინა. შედეგად „რასინგმა“ „რეალი“ დაამარცხა — 4:2.

ცხადია, ამ შეხვედრაში „რეალი“ სამეფო გუნდს რომ ეკადრება ისე ვერ თამაშობდა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, მანჩესტერში გამარჯვება დიდი ძალების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ამ არგუმენტით პოლკოვნიკის ვაჟის დამსახურება არ კნინდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ესპანეთის პირველობის ბომბარდირთა ლიდერია.

ლიდერს სალვა ჰქვია, სრულად: სალვადორ ბალესტა ვიალკო, ხოლო სალვადორ ესპანურად მხსნელს ნიშნავს.

როგორც მოგახსენეთ, სალვადორი პატარაობისას ფეხბურთის თამაშს სულაც არ აპირებდა. მოედანზე ფეხი რომ შედგა უკვე 14 წლისა იყო, მაგრამ იმ დღის მერე საქმეს ძალიან სერიოზულად მოკიდა ხელი.

რაზე ოცნებობდა ბალესტა? როგორც ესპანელ ჭაბუკთა უმრავლესობას, მასაც „რეალის“ ფეხბურთელობა უნდოდა და მადრიდული კლუბის შესასვლელთან იტრიალა კიდეც — ჭაბუკთა გუნდში მოხვდა. „სიუდად დეპორტივოს“ მოსწავლეს ერთი შეხედვით არავინ იწუნებდა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, თავიც ვერ გამოიჩინა და ერთი ხნის შემდეგ ანდალუსიაში დაბრუნდა. დაბრუნებულს ყურები არ ჩამოუყრია, სწამდა ჩამოსაწერი კაცი არ იყო და მართლაც, 17 წლისა უკვე პრიმერა დივიზიონში, „სევილიას“ შემადგენლობაში გამოჩნდა. აქეთკენ მწვრთნელმა, ხუან კარლოს ალვარესმა გაუკაფა გზა.

1995 წელს „სევილია“ „ოვიედოს“ რომ ეთამაშებოდა, სალვა მოედანზე შევიდა. მანამდე მას დიდ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიეღო და ამიტომაც ის მატჩი ანუ ხსენებული წლის 10 დეკემბერი სამუდამოდ დაამახსოვრდა. თუმცა იმ სეზონში სალვას მეტი აღარ უთამაშია, ხოლო ცოტა ხანში სევილიელებმა იგი „ესახას“ ათხოვეს.

„ესახადან“ დაბრუნებულმა კი გაიბრწყინა. ქვედა დივიზიონში გავარჯიშებულმა უკვე სულ სხვა ფეხბურთი ითამაშა და 1996-97 წლების სეზონში 34 შეხვედრაში 13 გოლიც გაიტანა, მაგრამ, შემდეგ, „სევილიასთვის“ ელიტაში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო.

როდესაც ბალესტაზე ლაპარაკობენ, მისი ძლიერების დასამტკიცებლად, როგორც წესი, ნორვეგიელ ფორვარდ რუშფელდტთან გაჯიბრების მაგალითი მოჰყავთ. ეს უკვე სანტანდერში, „რასინგში“ მომხდარი ამბავია.

„რასინგმა“ კარგი ფორვარდის შესაძენად გვარიანი თანხა გაიღო. ეს კარგი ფორვარდი რუშფელდტი გახლდათ. თანამედროვე ფეხბურთის ამბავი კი, მოგეხსენებათ, როდესაც კლუბი ამა თუ იმ ფეხბურთელში დიდ თანხას გადის, ცდილობს დანახარჯი გაამართლოს და ამ ფეხბურთელს ფრიად შემადგენლობას არ აშორებს. მოკლედ, „რასინგში“ ნორვეგიელს უნდა ეთამაშა, სალვას კი ათჯერ უკეთესობის შემთხვევაში თუ ეღირსებოდა სავსე ტრიბუნების წინ ბურთისთვის ფეხის გარტყმა.

და სალვამ ეს შეძლო. შეძლო ვირუსული გრიპის დახმარებით. მიმდინარე ჩემპიონატის პირველივე ტურის წინ ნორვეგიელი ლოგინად ჩავარდა და ბალესტა ვიალკომ შანსი ხელიდან არ გაუშვა...

დღეს ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე „რასინგ სანტანდერის“ თავდამსხმელს მეტოქეთა კარში 25 გოლი აქვს გატანილი.

ბაბუნა კედია

სალვამ უკვე ბევრი რამ შეძლო

ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ნაკრები

ვიოცნებოთ

ოღონდ 15 წლის მერე

ამ დღეებში საფრანგეთში დასრულდა ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ამ ტურნირს IRB (რაგბის მსოფლიო საბჭო) FIRA-სთან (ევროპის რაგბის საბჭოთა ასოციაცია) ერთად მართავს და მასში 32 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს. გუნდები ორ ჯგუფად ასპარეზობენ. A ჯგუფის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად ცხადდება, B ჯგუფის საუკეთესო ორი გუნდი A ჯგუფის უარეს ორს უცვლის ადგილს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ელიტარული სარაგბო ქვეყნები აქაც არავის უთმობენ პირველობას. საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ინგლისი, ირლანდია, უელსი და მათი ტოლ-სწორნი უკვე დიდი ხანია, მონაწილეობენ ამ შეჯიბრში. მათ წლეულს ავსტრალიაც შეუერთდა და პირველივე ტურნირის ფინალში ითამაშა. ჩემპიონები კი ფრანგები გახდნენ.

ჭაბუკი „ბორჯღალოსნები“ B ჯგუფში ასპარეზობდნენ და მათი მონაგარი მე-5 ადგილია.

საქართველოს ნაკრები გუშინ დილით ჩამოფრინდა თბილისში. ჩვენ მის ერთ-ერთ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ მორაგბეს, დავით კილასონიას გავესაუბრეთ.



ბადრი კბილაძის ფოტო

დავით კილასონია

— ჯერ ტურნირზე გვითხარით...

— ძალიან ორგანიზებული და მაღალი დონის იყო. ეს იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც დღეს IRB და FIRA ატარებენ. მათთვის მარტო ის არ კმარა, რომ გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ და უძლიერესი გამოავლინონ. მთავარია, შეიქმნას მეგობრული და კეთილმოსურნე ატმოსფერო, რომელიც სულ უფრო მეტ ქვეყანას მიიზიდავს.

— ჩვენს, B ჯგუფზე რას იტყოდით?

— რა თქმა უნდა, სამოას ნაკრები ფავორიტი და ობიექტურად ყველაზე ძლიერი იყო. აი, კორეის ასეთ ძლიერ თამაშს ბევრი არ ელოდა. ტონგას ისე ეთამაშნენ, ყველანი განაცვიფრეს. ფინალში კი არ გაუმართლათ.

— ჩვენმა ბიჭებმა როგორ ითამაშეს?

— ცუდად არ უთამაშიათ, რაც შემდეგ სხვებმაც აღნიშნეს. ცხადია, პირველი ადგილი უფრო კარგი შედეგი იქნებოდა, მაგრამ ასე მოხდა და ვერაფერს შეცვლი. ლიტვასთან პირველი ტაიმი 0:9 წავაგეთ იმის გამო, რომ ბიჭები ძალიან ნერვიულობდნენ და საკმაოზე მეტად ცდებოდნენ. მეორე ნახევარში კი 20 ქულა მოვიპოვეთ და გავიმარჯვეთ. ტონგასთან კი... ბურთს უმეტესად ჩვენ ვფლობდით, შერკინებაშიც დავჯაბნეთ, მაგრამ მეტოქემ ინდივიდუალურად გვაჯობა. ჩვენი ბიჭები ისევ ნერვიულობდნენ, გუნდიშვილმა და ვალიშვილმა თავი გასაძვებელი გაიხადეს და მატჩი 13 კაცით დავასრულეთ. ამ მარცხის გამო იყო, რომ საბოლოოდ მე-5 ადგილისთვის ვიბრძოლეთ.

ჩეხეთთან მთელი თამაშის განმავლობაში ვიკებდით და საბოლოოდ 24:11 გავიმარჯვეთ. ჩეხებთან თამაში უფრო გაგვიადვილდა, ვიდრე ლიტვასთან. ბოლო შეხვედრა კი ერთობ დრამატულად წარიმართა. პირველი ტაიმი 11:3 მოვიგეთ, მაგრამ მეორეში პარაგვაი ჩვენი ჩათვლის ხაზთან „დასახლდა“ და მეტოქის ნახევარზე გადასვლა ვერაფრით შევძელით. საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ — 11:10. ეს თამაში რომ წაგვეგო, ნამდვილად საცოდაობა იქნებოდა, რადგან B ჯგუფში ჩვენი ნაკრები ტაქტიკურად და ტექნიკურად სხვაზე ნაკლებად არ თამაშობდა. ერთია, რომ ინდივიდუალურად ჩამოვრჩებით სამოას, ტონგას, იგივე კორეას. მათთან ხომ ბავშვობიდან ასწავლიან რაგბის, ჩვენთან კი რა პირობებიცაა, ...

— როგორ ფიქრობთ, ჩვენი ნაკრებისთვის მე-5 ადგილი B ჯგუფში წარმატებაა თუ წარუმატებლობა?

— ჩვენზე წინ ის გუნდები არიან, ვინც მართლაც გვჯობნის და მეტის პრეტენზია რატომ უნდა გვქონდა. კი, ვეუბნებოდით ბიჭებს, პირველი ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთო, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მართლა პირველი ადგილი გვეკუთვნოდა ჯგუფში. ჩვენს გუნდს საერთაშორისო შეხვედრების პრაქტიკა აკლია, გამოცდილება არა აქვს. სხვები კი უამრავ ტურნირში თამაშობენ წლის განმავლობაში. ეს აზიის პირველობაო, ეს ევროპის ოთხთა, ხუთთა, ექვსთა ტურნირიო, ახლა სამხრეთ ამერიკაში დაიწყეს შეჯიბრებების ჩატარება და ახალგაზრდა, 19 წლის მორაგბეს წელიწადში 60-70 მატჩი უგროვდება. აქედან მოდის ის გამოცდილებაც, რომელსაც ჩვენ 14-15 თამაშით ვერ შევიძენთ.

— ამ ტურნირზე ჩვენც ერთი შეხვედრა წავაგეთ და კორეამაც, მაგრამ სხვადასხვა ადგილები დავიკავეთ...

— ეს ოლიმპიური სისტემის გამოა, რაც, სხვათა შორის, ბევრს არ მოსწონს. A ჯგუფის გუნდებმა წრიული სისტემა მოითხოვეს, მაგრამ IRB ჯერჯერობით მხოლოდ მსჯელობს ამის თაობაზე.

— ალბათ გაისადაც მიიღებთ მონაწილეობას ამ შეჯიბრებაში. მომავალში რას ელით?

— ჩვენი ნაკრებისთვის მთავარი გამოცდილების მიღებაა. ამ მხრივ B ჯგუფში ასპარეზობა სჯობს A ჯგუფში თამაშს, სადაც არავითარი შანსი არ გვექნება და ვერც ვერაფერს ვისწავლით. ჩვენთვის B ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვება უდიდესი წარმატება იქნება და მეტზე არც უნდა ვიოცნებოთ, ყოველ შემთხვევაში, 10-15 წელიწადს მაინც.

ზაზა ბენიძე

კრაისტჩერჩს პირკატა ...

ORIOL კვირის წინ ის ოთხეული, რომელიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას გაავრძელებდა, თითქოს ცნობილი იყო, თუმცა მას შემდეგ ოკლენდმა ველინგტონს გაასწრო და ბრისბენიც გაფთრებული იბრძვის ნახევარფინალის საგზურისთვის. სიდნეის და იოჰანესბურგის ჩამოწერაც კი ნაადრევია. ბევრი რამ გაირკვევა მომავალ უქმეებზე, მანამდე კი მეცხრე ტურის მატჩებზე ვთქვათ.

შეხვედრა დანიდინში წესით მოულოდნელობის გარეშე უნდა ჩატარებულიყო და ასეც მოხდა. ჯეფ უილსონსა და მის თანაგუნდელებს ჰამილტონელებმა მხოლოდ პირველ ტაიმში (13:6) გაუწიეს წინააღმდეგობა. დამრტყმელების გარდა შესვენებამდე ქულების მოხვეჭა რომი როპატიმ შეძლო, რომელმაც ტონი ბრაუნის წამოწყებული იერიში დაგვირგვინა 21-ე წუთზე. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა მატჩის არბიტრმა პედი ობრაიანმა სტუმრებს კრისტენ დევისი გაუძევა ათი წუთით. მის არყოფნაში გადაწყვიტა დანიდინმა კიდეც მატჩის ბედი. ჯერ ბრაუნმა გაიტანა საჯარიმო, შემდეგ მანვე ოლივერის ლელო გარდასახა და ანგარიში 23:6 გახდა. „ზე 12-ის აქამდე ჩატარებულმა მატჩებმა დაგვანახა, რომ 14 კაცით წარმატებაზე ფიქრი უბრალოდ, სისულელეა“ — თქვა ჰამილტონის კაპიტანმა გლენ ტეილორმა. მისმა გუნდმა კი დევისის დაბრუნების შემდეგაც გაუშვა ორი ლელო. მასპინძლებს გამარჯვება მაინც ძვირად დაუჯდათ — ჯეფ უილსონი (მხარი) და კის მეუვსი (მუხლი) დაშავდნენ და ჯერ არავინ იცის, რამდენი ხნით გამოაკლდებიან გუნდს.

ტურის ცენტრალური მატჩი კანბერაში გაიმართა. ორივე გუნდი საკმაოდ ძლიერია და ჩემპიონობისთვისაც იბრძვიან, ასე რომ, თამაში უშელავათო და დაძაბული იყო. ანგარიში ველინგტონელებმა გახსნეს — დევიდ ჰოლუელმა საჯარიმო შეასრულა ზუსტად. ექვსიოდ წუთში სტირლინგ მორტლოკმა საჯარიმოთივე გაათანაბრა. ამის მერე ინიციატივას მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ და მალე ჯო როფმა ლამაზი ლელო გაიტანა. თუმც კანბერამ უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. 23-ე წუთზე მეტოქის შეცდომით ჯონა ლომუმ იხეირა და ჩვეულ, ძალისმიერ სტილში დაალელოა მასპინძლები — 13:13. მალე ჰოლუელმა მესამე საჯარიმოც შეაგდო, მაგრამ დიდხანს წინ ყოფნა ვერც სტუმრებმა შეძლეს. მათმა ჯეისონ სპაისიმ მარკ ბართოლომეუსს მშვენიერი სალელოე პასი „მიაწოდა“ და ისევ კანბერა გაიჭრა წინ. ტაიმი ავსტრალიელებმა 26:16 მოიგეს. 16 ათასი ქომაგის გასახარად მათ მეორე ნახევარიც ბრწყინვალედ დაიწყეს და მალე 18-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს — 34:16. აქ მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და დარჩენილ დროსაც გამარჯვებული აღარ შეუცვლია. კანბერამ მეოთხე ლელო გაიტანა, პრემიალური ქულაც მიითვალა და ისევ გალიდერდა, ველინგტონმა კი ოთხეული დატოვა.

ესპანელებს ოკლენდური თამაში რომ ენახათ, ჯოელ ვიდირი ამ ქვეყანაში მეტად პატივსაცემი კაცი გახდებოა. „ლურჯების“ უკანახაზელი ისეთი სილაღითა და სისასტიკით ლახვრავდა პრეტორიელ „ხარებს“, ბევრ ტორეადორს შეშურდებოდა. საბოლოოდ ვიდირის ოთხი ლელო დაუგროვდა, ერთი ამდენიც მისმა თანაგუნდელებმა გაიტანეს და სტუმართა უსუსურობა კიდევ ერთხელ წარმოჩინდა. მეორე სეზონია, პრეტორია ერთობ უსახურ რაგბის თამაშობს (შარშან 1 მოგებით ბოლო ადგილი) და ასე თუ გააგრძელა, შეიძლება ტურნირში მისი მონაწილეობა საერთოდ საეჭვო გახდეს. ამ მოგების შემდეგ კი ოკლენდმა მეოთხე ადგილზე აინაცვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა ელის ნახევარფინალში გასასვლელად. დარჩენილ სამ მატჩს ის სტუმრად დურბანში, იოჰანესბურგსა და ბრისბენში გამართავს, რაც მისი შანსების სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს.

ოკლენდს განსაკუთრებით, ალბათ, ბრისბენთან გაუჭირდება, რომელმაც ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვა. ამჯერად „ოოლაბების“ კაპიტნის, ჯონ ილსის თანაგუნდელებმა დურბანის „ზეიგენები“ გააბეს ბადეში. სტუმართა გამარჯვება ეჭვს ნამდვილად არ იწვევდა და მათაც გაამართლეს პროგნოზები. მატჩის ხუთივე ლელო საწყის ორმოცწუთეულში გავიდა, რომელიც ბრისბენმა 24:10 მოიგო. შესვენების შემდეგ ავსტრალიელები ძირითადად დაცვაზე ფიქრობდნენ და საკუთარი სალელო მოედნის მისადგომები საიმედოდაც ჩარაზეს, მაგრამ ამის გამო შეტევისთვის ველარ იცლიდნენ და აკი უპრემიოდაც დარჩნენ.

თუ ტურის მთავარი მატჩი კანბერა — ველინგტონი იყო, მთავარი სენსაცია იოჰანესბურგში მოხდა. ერთმანეთის მიყოლებით დამარცხებული თანამემამულეების პრესტიჟი იქურმა „კატებმა“ დაიცვეს, რომლებმაც ტურნირის ლიდერი კრაისტჩერჩი დაპორჭყნეს. ვინ წარმოიდგენდა, რომ ახალზელანდიელები 6 ლელოს გაუშვებდნენ და შინ უქულოდ გაბრუნდებოდნენ?! მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ხასიათს იშვიათი სიმტკიცე გამოავლინეს, როცა სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანეს (34:31). გამოჩნდა, რომ იოჰანესბურგი უკვე მოპოვებული ერთი ქულით დაკმაყოფილებას არ აპირებდა, კიდევ ორი ლელო გაიტანა და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. მას ნახევარფინალში გასვლის შანსი კიდევ შერჩა, მაგრამ საკითხავია, ცოტა გვიან ხომ არ გამოეხიზღლნენ „კატები“?

გაიოზ თალაკვაძე

ზე 12. მეცხრე ტური

20 აპრილი

დანიდინი (ახალი ზელანდია) 38:6 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)

დანიდინი: 4ლ — როპატი, ოლივერი, ელისი, მილერი; 3გ და 4ს — ბრაუნი
ჰამილტონი: 2ს — კრაიჩტონი

21 აპრილი

კანბერა (ავსტრალია) 47:28 ველინგტონი (ახალი ზელანდია)

კანბერა: 4ლ — როფი, ბართოლომეუსი, ნორიეგა, კაფერი; 3გ — მორტლოკი; 6ს — მორტლოკი (5), უოლკერი; 1ა — კაფერი
ველინგტონი: 3ლ — ლომუ, ტიატია, ჰოლუელი; 2გ და 3ს — ჰოლუელი

22 აპრილი

ოკლენდი (ახალი ზელანდია) 54:11 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)

ოკლენდი: 8ლ — ვიდირი (4), რაში, სპენსერი, რობინსონი (2); 7გ — კეშმორი
პრეტორია: 1ლ — ბეკერი; 2ს — დე ბეერი

დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 13:24 ბრისბენი (ავსტრალია)

დურბანი: 2ლ — ტერბლანში, ვან დერ ბერგი; 1ს — დიუ ტუა
ბრისბენი: 3ლ — ლეტჰემი, სმიტი, ფლეტლი; 3გ და 1ს — ფლეტლი

იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 54:31 კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)

იოჰანესბურგი: 6ლ — დელპორტი (2), სვანეპოელი, მალდერი, ესტერჰუიზენი, ერასმუსი; 6გ, 3ს და 1ა — კოენი
კრაისტჩერჩი: 3ლ — ფიკი, სოალო, მაკდონალდი; 2გ და 4ს — მერთენსი

კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) და სიდნეი (ავსტრალია) ისვენებდნენ

REUTERS ფოტოგრაფიდან

იოჰანესბურგი — კრაისტჩერჩი. კრაისტჩერჩელებს გრეგ ფიკის ამ ლელოსაც ვერ უშველა

სატურნირო ვითარება

კანბერა	8	6	0	2	5	2	293:135	31
კრაისტჩერჩი	8	6	0	2	3	1	260:236	28
დანიდინი	8	5	0	3	5	1	250:195	26
ოკლენდი	8	5	0	3	3	1	214:176	24
ველინგტონი	8	5	0	3	4	0	225:219	24
ბრისბენი	8	5	0	3	3	0	210:208	23
სიდნეი	8	4	0	4	2	2	233:182	20
იოჰანესბურგი	8	4	0	4	1	2	197:272	19
კეიპტაუნი	8	3	1	4	2	1	196:209	17
ჰამილტონი	8	2	0	6	3	4	193:213	15
დურბანი	8	1	1	6	0	2	165:227	8
პრეტორია	8	0	2	6	0	1	117:252	5

მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია

ყველაზე შედეგიანები

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 123 ქულა
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 119
სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 117
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 115
ლუის კოენი (იოჰანესბურგი) — 82

საუკეთესო მელელოეები

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 8
ბრეიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 7
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 6
ჯონა ლომუ (ველინგტონი) — 6
მარკ ბართოლომეუსი (კანბერა) — 6

მეათე ტური

28 აპრილი

კრაისტჩერჩი — პრეტორია

29 აპრილი

სიდნეი — ველინგტონი

იოჰანესბურგი — ბრისბენი

ჰამილტონი — კანბერა

კეიპტაუნი — დანიდინი

30 აპრილი

დურბანი — ოკლენდი



მია ნაკამურა

ნაკამურამ იაპონიას რეკორდი გაუახლა

გუშინ ერთი მოულოდნელი რეკორდის ამბავი შევიტყეთ. მოულოდნელია იგი, რამდენადაც, ჯერ ერთი, იაპონიის პირველობაზე დამყარდა, მეორე (პირველთან კავშირში) — ცურვაში ბოლო იაპონური რეკორდის მოძებნა ისტორიაში გვარიან ჩაძირვას საჭიროებს, მესამეც — ჩვენგან განსახილველი მიღწევა წინასწარი გაცურვების დროს დაფიქსირდა და საერთოდ, როცა ცურვის რეკორდს ნამცეცა იაპონელი დაამყარებს, ვისი ერთი ხელის მოსმა, ბევრისა იქნებ ნახევარიც არ იყოს, გასაკვირია, აბა, რა არის!

ახლა გადავხედოთ ისტორიას. 1972 წლის შემდეგ იაპონელებს ცურვაში მსოფლიოს რეკორდის არსებობაც კი დავიწყებიათ. მაშინ, მიუნხენის ოლიმპიადაზე, ცალკე მაიუმი აოკიმ გადააბიჯა უმაღლეს მიღწევას ქალთა 100-მეტრიან დისტანციაზე ბატერფლაიში და ამავე მანძილზე კაცთა გულაღმა ცურვაში ნობუკატა ტაგუჩიც რეკორდსმენი შეიქნა. და, აი, საცურაო იაპონიამ კვლავ გაიხარა. ახალი მიღწევა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში აღინუსხა და მისი ავტორი ფოტოზე ნაჩვენები მაი ნაკამურა გახლავთ. ნაკამურა მთლად უჩინო არც აქამდე ყოფილა, მისი კუთვნილებაა იაპონიის ეროვნული რეკორდი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, რაც წუთსა და 89 მეასედ წამს შეადგენს, მაგრამ სად იაპონიის რეკორდი და სად მსოფლიოსი. კვირას ნაკამურას ტრიუმფის დღე იყო. 50 მეტრი მან 28,67 წამში გაცურა და სულ ახლახან, 8 აპრილს, ესპანელი ნინა ჟივანევსკაიასგან მადრიდში ნაჩვენებ შედეგს წამის ორი მეასედი ჩამოაცილა. „ბედნიერებისგან ჯერაც ვერ ვაცნობიერებ მიღწეულს“ — აღელვებით უთხრა ტოკიოს ტელევიზიას იაპონიის კუნძულების აწ უკვე დამსახურებულმა მოცურავემ, მაი ნაკამურამ, ხოლო მცირედი ინტრიგა ჯერაც არსებობს: წინასწარი გაცურვებისას ამგვარი მიღწევა ფინალური შეჯიბრების დროს უფრო მაღალი შედეგის საწინდარი უნდა იყოს.

დავით გულუა

გაზაფხულის კაცი

ჰოლანდიის პატარა ქალაქი მაასტრიხტი მხოლოდ იქ დადებული შეთანხმებით არ არის ცნობილი. მაასტრიხტში უკვე 35 წელია, ველომბროლელთა კლასიკის — „ამსტელის ოქროს რბოლის“ ფინიში იმართება. ეს შეჯიბრი მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპია და წლეულს გერმანელი ერიკ ზაბელის გამარჯვებით დასრულდა. ბერლინელმა სპრინტში იოლად დაჩაგრა შარშანდელი გამარჯვებული მიქაელ ბოგერდი და მისი თანაგუნდელი მარკუს ზბერგი.

ეს ზაბელის მეორე წარმატებაა წლეულ-ანდელ მსოფლიოს თასზე მილან-სან რემოს შემდეგ. მთლიანად კარიერაში კი მან მეხუთე კლასიკი მოიგო. ამით „ტელეკომის“ წევრმა ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა საბოლოო ჩათვლაში პირველობისკენ. „მთელი ზამთარია ერიკი შრომობს, რათა გაზაფხულზე მილან-სან რემოსთვის სრულიად მზად იყოს. იგი ამ ფორმას ივნისამდე ინარჩუნებს, ზაფხულის დასაწყისში კი თავს მოდუნების საშუალებას აძლევს“ — ასე ახსნა თავისი შეგირდის საერთო ჩათვლაში დაწინაურება გერმანული გუნდის სპორტულმა დირექტორმა ვალტერ გოდფრუტმა.



ერიკ ზაბელი

და რადგან ახლა შუა გაზაფხულია, ზაბელიც მშვენიერ ფორმაშია, რაც ჰოლანდიურ მიწაზეც დაამტკიცა. რბოლის მთავარი შეტევა რვაკაციანმა ჯგუფმა განახორციელა, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიოს ჩემპიონი, ესპანელი ოსკარ ფრეიერეც იყო. დაწინაურებულებმა 81 კმ იქროლეს სათავეში და პელოტონი მათ ფინიშამდე მხოლოდ 29 კილომეტრით აღრე წამოეწია. სპორტსმენებს 3,5 კილომეტრიღა რჩებოდათ გასავლელი, როცა პელოტონს იტალიელი დავიდ რებელინი გამოეყო. მაასტრიხტის ვიწრო ქუჩებში დევნა შეუძლებელი იყო, ამიტომაც მან მალე მოიპოვა რამდენიმეწამიანი უპირატესობა. მოგებამდე კი რებელინს მხოლოდ 80 მეტრი დააკლდა. სპრინტში ზაბელი იყო უძლიერესი და ოლაფ ლუდვიგის შემდეგ (1992 წ.) მეორე გერმანელი გახდა, ვინაც ამ შეჯიბრში იმარჯვა.

გაგი გურული

მსოფლიოს თასი

ამსტელის ოქროს რბოლა, 257 კმ	
1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 6 სთ 13 წთ 37 წმ	
2. მიქაელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი)	
3. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)	
4. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა)	
5. ჰენრიკ ვან ლიკი (ბელგია, პალმანსი)	
საერთო ჩათვლა ხუთი ეტაპის შემდეგ	
1. ერიკ ზაბელი	290 ქულა
2. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო)	125
3. პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, ფარმ ფრაიტსი)	122
4. რომანს ვაინსტეინსი	122
5. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი)	112

ლუისი მომავალს ეკრანზე ხედავს

ტაისონს კი ხელობას უნუნებს, რინგის არტისტიაო

29 აპრილს, „მედისონ სკვერ გარდენში“ ბრიტი ლენოქს ლუისი ამერიკელ მაიკლ გრანტს შეერკინება და მისი ხელყოფისგან ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ქამრებს დაიცავს. ამ კვირაში ლუისი თავის მესამე ნადავლს, ასოციაციის (ვბა) ქამარს ამ დაწესებულებას გაუგზავნის, რახან ხსენებული ქამარი სასამართლოს ძალით ჩამოერთვა. ამ ტიტულისთვის ზაფხულში იბრძოლებს ასოციაციის პირველი პრეტენდენტი ჯონი რუისი, ვისთან შერკინებაზეც ლუისმა უარი თქვა — ჩემპიონი უდავო ვარ და თუ დავიცავ, სამივე ქამარს ერთდროულადო.

რუისის მოწინააღმდეგე ჯერჯერობით გაურკვეველია, ლუისი კი უკვე „მედისონ სკვერ გარდენში“ ვარჯიშობს — რინგს ეჩვევა. სწორედ „მედისონის“ რინგის შორიახლო, ბობ მარლის ჰანგების ფონზე ესაუბრა იგი კრივზე მწერლებს და გულიც გადაუშალა.

„სულაც არ მინდა, რომ ხალხს როგორც ქამართა მფლ[illegible]ელი, ისე დავამახსოვრდე“ — თქვა ლუისმა — „მირჩევნია თქვან, ერთი თავისნათქვამა ბიჭი იყო, თავის სიმართლეს ჭრიდა და კერავდა და ბინძურ მენეჯერებთან საქმე არ ჰქონიაო“.

ლუისს უფრო და უფრო მოსწონს თავისი მწვრთნელის ემანუელ სტიუარდის იდეა, ქამრებზე უარი თქვი და ამიერიდან იკრივე, როგორც სახალხო ჩემპიონმა, აბა, ჩემპიონები რას დაგაკლებენ, მერე ვნახოთო.

სტიუარდიც იქვე იყო და დაადასტურა ეს ამბავი. აღნიშნა, მე გაწვრთნის აგრესიული სტილი მაქვს, ლენოქსი კი მშვიდი კაცია და ამიტომ ხშირად ვაკრიტიკებ, რათა გამოფხიზლდეს, რაც შეუძლია, იმას ბოლომდე არასოდეს აკეთებს რინგზეო.

სამომავლო გეგმების თაობაზე ლუისმა თქვა:

„კარგი იქნებოდა, ტაისონს შევხვედროდი, მაგრამ მას კრივი აღარ აინტერესებს, ჰოლივუდის არტისტივით ირჯება. სხვები კი რაღაცეებს ცოდვილობენ, ერთ დიდი ბრძოლის მოლოდინში არიან, ისეთ, როგორც ჩემი ამჟამინდელი მოწინააღმდეგე“.

ლუისმა ისიც დამატა, კარიერის გასრულების შემდეგ, მეც ვიმსახიობებდი, ოღონდ რინგზე მსახიობობის არ მჯერაო.



REUTERS ნიუ იორკიდან

ლენოქს ლუისი
„მედისონ სკვერ გარდენს“ ეჩვევა

შაბათს ნიუ იორკში ცხელი საღამო იქნება — ორი ორმეტრიანი გოლიათის ჭიდილს კი „მედისონ სკვერ გარდენში“ ვერმოხვედრილი ხალხი მხოლოდ ტელებილეთებით შეძლებს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

კულჰარდის დაუღვრელი ცრემლი

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მიხაელ შუმახერის გამარჯვებათა სერია შეწყდა. სილვერსტოუნზე, შარშანდელის მსგავსად, შოტლანდიელმა დევიდ კულჰარდმა იმარჯვა და ფორმულა 1-ის წლევანდელ სეზონს ერთი ადამიანის შოუდ ქცევა არ დაანება.

რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე „დისი“ (კულჰარდის ინიციალებით მიღებული მეტსახელია) უსაზღვროდ ბედნიერად გამოიყურებოდა, თუმცა ამავე დროს აღიარა, რომ ერთი ხანობა კინაღამ გადაეწურა ეტაპის დასრულების იმედი.

— გილოცავთ, დევიდ, ბრიტანეთის დიდ პრიზზე კიდევ ერთი გამარჯვების მოპოვებას. ძალიან გახარებული უნდა იყოთ...

— რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავი გრძნობაა. ჯერ კიდევ ტრასაზე დიდი დრო მქონდა ამაზე საფიქრელად, მაგრამ მოულოდნელად დისტანციის ბოლოსკენ სიჩქარეების კოლოფმა აურია და მზად ვიყავი, მეტირა. ამ პრობლემას მანამდე არ შევუწუხებივარ. საბედნიეროდ, კოლოფმა ბოლომდე გაძლო და ორივე „მაკლარენმა“ დაასრულა რბოლა, თანაც პირველ-მეორე ადგილებზე. ახლა დიდი იმედით განვეწყვე დარჩენილი რბოლებისთვის.

— შარშან აქ მიხაელი დაიმტვრა და მიკას მანქანა გაუფუჭდა. ასე რომ, ფაქტობრივად, გამარჯვება თავისით ჩაგივარდათ ხელში. წლეულს კი დიდი ბრძოლა გადაგხდათ, თანაც რუბენს ბარიკელოს შესანიშნავად აუარეთ გვერდი. გვიამბეთ, ეს როგორ მოხდა...

— მეგონა, რომ რუბენსის უკან კიდევ დიდხანს ვიქნებოდი და ამ სიტუაციისგან თავის დაღწევა არც მიფიქრია. მაგრამ ბოლო მოსახვევში მან პატარა შეცდომა დაუშვა და მეც შანსი გამიჩნდა. გამახსენდა, რომ 1987-ში აქვე ნაიჯელ მენსელმა ნელსონ პიკეს გაასწრო და გადავწყვიტე, მეც მეცადა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამომივიდა და ამან პიტ სტოპებზე შესვლის წინ შესაჩნევი უპირატესობა მომანიჭა.

— პოდიუმზე ასვლამდე მობილურ ტელეფონზე ვიღაცამ დაგირეკათ და კარგა ხანს ელაპარაკეთ, ვინ იყო?

— „დაიმლერკრაისლერის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, მისტერ ჰუბერტი. პირველი სამი რბოლის წარუმატებლობების შემდეგ ეს გამარჯვება „მერსედესისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ის გახარებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილზე გავიდა და თავის ანგარიშს მორიგი ექვსი ქულა შეატყა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი მიკა ჰაკინენი მაინც-დამაინც კმაყოფილი არ გამოიყურებოდა.

— არ გამოგივიდათ კარგი სტარტი. რა იყო ამის მიზეზი?

— არ ვიცი, ადგილიდან საკმაოდ სწრაფად დავიძარი, მაგრამ მოულოდნელად მანქანა დადგა, თანაც მარჯვნიდან დევიდმა ჩამკეტა, მარცხნიდან კი მიხაელი ამომიდგა გვერდით. პირველი მოსახვევის წინ ორი არჩევანი მქონდა, ან დამემუხრუჭებინა, ან პირდაპირ გამეგრძელებინა სვლა. მიხაელის სამწუხაროდ, მე ეს უკანასკნელი ავირჩიე. თუმცა უნდა ვთქვა, რომ სწორედ სტარტმა გადაწყვიტა რბოლის ბედი და არა ჩემს სასარგებლოდ.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ რბოლისას მანქანის დამორჩილება გიჭირდათ.

— მართლაც ასე იყო. დილის ვარჯიშზე გარკვეული პრობლემების გამო, მხოლოდ რამდენიმე წრის გავლა მოვახერხე და შედეგად მანქანა არცთუ სრულყოფილად დაბალანსებული გახლდათ. პიტ სტოპზე შეჩერების დროს ინჟინრებმა მცირე ცვლილება მოახდინეს და ეს აშკარად დამეხმარა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ.

მესამე ადგილზე გასული ჩემპიონატის ლიდერი მიხაელ შუმახერი კი არ წუწუნებდა, რადგან შეიძლებოდა, რბოლა გაცილებით უარესი შედეგითაც დასრულებინა.

— მიხაელ, მიკაზე უარესი სტარტი აიღეთ, პირველი წრის ბოლოს მერვე ადგილზე აღმოჩნდით. რა მოხდა?

— საკმაოდ სწრაფად დავიძარი, მაგრამ ტრასის შუაში ადგილი აღარ იყო და სხვა გზა უნდა მომძებნა. გადავწყვიტე, მარცხენა კიდიდან, ბალახზე გადასვლით გავმძვრალიყავი წინ. წესით, უნდა გამომსვლოდა, მაგრამ წვიმისგან დასველებულ ბალახზე მანქანა ფაქტობრივად გამიჩერდა. სწორედ მაშინ დავიღუპე. თანმიმდევრობით არ მახსოვს, მაგრამ ჯერ ბატონმა გამასწრო, მერე ვილნევმა და ბოლოს რალფმაც ამიარა გვერდი. პირველ ორ მოსახვევში ნამდვილი ბრძოლა გავმართეთ, მერე კი უკან მოვიწია დახევამ, რადგან საკუთარ ძმასთან შეტაკებისა და რბოლიდან გავარდნის სურვილი ნამდვილად არ მქონდა, ის კი არაფრის დათმობას არ აპირებდა. თუმცა რალფი რომ არ ყოფილიყო, სხვანაირად მოვიქცეოდი. მერე კი ვილნევის უკან აღმოვჩნდი და მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით სწრაფი მანქანა მყავს, გასწრების შანსი არ მქონდა.

— იმის გათვალისწინებით, რომ ლიდერთა ჯგუფს შუაგულ დისტანციაზე 25 წამით ჩამორჩებოდით, კმაყოფილი ხართ მესამე ადგილით?

— სრულიად! ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მერვე პოზიციაზე ვიყავი და სულ იმაზე ვფიქრობდი, რამდენ ქულას დაკარგავდი. იმ მომენტისთვის ძალიან მიხაროდა, რომ რუბენსი პირველი იყო და „მაკლარენები“ ვერ მოიგებდნენ. საბედნიეროდ, მან რბოლა ვერ დაასრულა. ასე რომ, მესამე ადგილიც არ არის ურიგო.

უიღბლო ბარიკელომ კი სეზონში უკვე მეორედ ვერ მიატანა ფინიშის ხაზს, არადა, რბოლას ძალიან დიდხანს ლიდერობდა.

— მანქანის გაფუჭებამდე 5-6 წრით აღრე ვიგრძენი, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. შეკიდულობამ იუარა და კულჰარდმაც იმიტომ გამასწრო. ხოლო რომ მოვსრიალდი, ძრავის ბრალი იყო, მოსახვევში შესვლამდე კინაღამ ჩაქრა, მერე კი მოულოდნელად მთელი ძალით ამუშავდა. პიტ სტოპზე იმის იმედით შევედი, იქნებ რაიმე მიშველონ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს.

სილვერსტოუნის პოდიუმი: მიკა ჰაკინენი, დევიდ კულჰარდი და მიხაელ შუმახერი

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	მჩ შესარჩევი მატჩები			
	26 აპრილი			
501	ბოლივია-კოლუმბია	2,6	2,8	2,6
502	ვენესუელა-არგენტინა	1,0	5,6	1,2
503	პარაგვაი-ურუგვაი	2,2	2,8	3,3
504	ბრაზილა-ეკვადორი	1,2	5,6	10,0
505	ჩილე-პერუ	1,7	2,9	5,3
	ამხანაგური მატჩები			
	26 აპრილი			
506	რუსეთი-აშშ	1,35	4,0	7,5
507	ბულგარეთი-უკრაინა	2,3	2,9	3,0
508	რუმინეთი-კვიპროსი	1,2	5,6	10,0
509	დანია-შვედეთი	2,4	2,9	2,8
510	ნორვეგია-ბელგია	1,75	3,0	4,4
511	პოლონეთი-ფინეთი	1,7	3,0	5,0
512	ლუქსემბურგი-ესტონეთი	4,4	3,2	1,8
513	ჩეხეთი-ისრაელი	1,35	4,0	7,5
514	ავსტრია-ხორვატია	2,8	2,9	2,4
515	გერმანია-შვეიცარია	1,3	4,4	8,0
516	ირლანდია-საბერძნეთი	1,9	2,9	4,0
517	საფრანგეთი-სლოვენია	1,25	5,0	9,0
518	ჰოლანდია-შოტლანდია	1,4	3,8	7,0
519	იტალია-პორტუგალია	1,5	3,5	6,0
520	ჩრდ.ირლანდია-უნგრეთი	2,1	3,0	3,3
521	ანდორა-ბელარუსი	7,0	3,8	1,4
	გერმანია. ბუნდესლიგა			
	27 აპრილი			
001	დუისბურგი-არმინია	2,2	3,0	3,1
	ინგლისი. III დივიზიონი			
	26 აპრილი			
004	ბრაიტონი-პიტერბრო	3,4	3,1	2,0
	საფრანგეთი. II დივიზიონი			
	27 აპრილი			
005	ამიენი-სოშო	2,9	3,0	2,3
	ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩი			
	26 აპრილი			
006	ესპანიოლი-რეალი	2,8	2,9	2,4
	კალათბურთი. 1/8 ფინალი			
	25 აპრილი			
801	მაიამი-დეტროიტი	1,15	12,0	4,0
802	სან ანტონიო-ფინიქსი	1,25	12,0	3,1
	26 აპრილი			
803	ნიუ იორკი-ტორონტო	1,15	12,0	4,0
804	პორტლენდი-მინესოტა	1,15	12,0	4,0
	27 აპრილი			
805	ინდიანა-მილუოკი	1,15	12,0	4,0
806	ლეიკერსი-საკრამენტო	1,1	12,0	5,0
	ჰოკეი. 1/8 ფინალი			
	25 აპრილი			
807	ტორონტო-ოტავა			
808	სენტ ლუისი-სან ხოსე	1,3	4,0	4,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

PLAY OFF

მერვედფინალი

კანადური სერიალი: მთავარ როლში სტივ ტომასი

24 აპრილი

ოტავა — ტორონტო 2:4

ოტავა — ტორონტო 2:4

1:0 1:4 0:0

1:0 ჟიუნო 3'45 (2); 2:0 კრავჩუკი 23'59 (1); 2:1 ტომასი 24'11 (6); 2:2 სუნდინი 27'16 (3); 2:3 ბერეზინი 30'40 (3); 2:4 კლარკი 38'47 (1)

აი, ასე აგებენ თამაშებს და მთელ სერიებს. ოტავამ რომ ტორონტოსთან „ონტარიოს დერბიში“ ბოლო ორი მატჩი დათმო, თავის თავს დააბრალოს. „სენატორებმა“ ორჯერვე ერთი და იგივე შეცდომა დაუშვეს და ძვირადაც დაუჯდათ. მე-5 შეხვედრაში, მას შემდეგ, რაც წინა ორი თამაში მოიგეს, ოტაველები კვლავ ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ... მესამე პერიოდის შუაგულში სტუმრები მთელი 5 წუთის განმავლობაში რიცხვმრავლობაში იყვნენ, თანაც აქედან 50 წამს ორი კაცით მეტნი იყვნენ, მაგრამ იმის ნაცვლად რომ შეეტიათ, გოლი კიდევ გაეტანათ (ამ დროისთვის ოტავა 1:0 იგებდა) და მატჩის ბედი გადაეწყვიტათ, დროის გაყვანა არჩიეს. ისინი ზედმეტმა პრაქტიკულობამ იმსხვერპლა — ტორონტომ ჯერ თავი გადაირჩინა, შემდეგ კი ანგარიშიც გაათანაბრა. ოვერტაიმში, რომელიც უაღრესად საინტერესო ორმხრივი შეტევებით წარმართა, თავი კვლავ მატჩის და სერიის მთავარმა გმირმა სტივ ტომასმა ისახელა. ამის შემდეგ ორი დღე გავიდა და... ისტორია გამეორდა.

ოტავამ კვლავ უკეთ დაიწყო თამაში (ტორონტომ ამ სერიის შეხვედრებში პირველ პერიოდში ვერ გაიტანა გოლი), შეტევა თავიდანვე გოლით დაგვირგვინა. მეორე პერიოდის დასაწყისში ისევ მიეცა ჩინებული შესაძლებლობა — 85 წამის (!) განმავლობაში ორკაციანი უპირატესობა ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად უკეთ უტევდა, ისევ ვერ გაიტანა. მართალია, სულ მალე იგორ კრავჩუკმა უძლიერესი დარტყმით დალაშქრა მეტოქეთა კარი, მაგრამ ტორონტო არ დანებდა. თანაც ოტაველებმა თავად შეუწყეს ხელი მოწინააღმდეგეს, როცა ანგარიში ვერ შეინარჩუნეს და მას საშუალება მისცეს, წამოსწეოდათ. ყველაფრის თავიდათავი კი მცველ ვესა სალოს უხეში შეცდომა იყო — მან თავის ზონაში სტივ ტომასს აჩუქა შაიბა და პირველი რაუნდის საუკეთესო სნაიპერმაც საჩუქარი კარგად შეირგო. ამის შემდეგ ოტაველები აღელდნენ და იმის ნაცვლად, რომ მაქსიმალურად ფხიზლად და ფაქიზად ეთამაშათ დაცვაში, მთელი ძალით შეუტიეს. ტორონტოსაც ეს უნდოდა, მასპინძელთა დაცვაში სუსტი რგოლები შენიშნა და კარგადაც გამოიყენა. 31-ე წუთზე სერგეი ბერეზინმა თავისიანები დააწინაურა, ხოლო პერიოდის მიწურულს ვეტერანი უენდელ კლარკი, რომელმაც წინა ოთხი მატჩი გამოტოვა, უმეთვალყურედ დარჩა და ტომ ბარასოს კარი მეოთხედ დალაშქრა. ეს უკვე ნამდვილი ნოკაუტი გახლდათ ოტავასთვის. ბოლო მესამედში კი ეცადა ვითარების გამოსწორებას, მაგრამ ოტაველები უკვე განწირულები იყვნენ.

ამრიგად, ტორონტო მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ნიუ ჯერსის შეხვდება. მეორე წყვილში კი ფილადელფია და პიტსბურგი ითამაშებენ. მთლიანობაში „ონტარიოს დერბის“ ბედი გუნდების პირველი სამეულებისა და მეკარეების თამაშმა გადაწყვიტა. მათს სუნდინის სამეულმა ამ მატჩებში 9 გოლი და 10 პასი მიითვალა, ტომასმა 6 გოლს 2 პასიც დაამატა, მაშინ, როცა მათ წინააღმდეგ მოთამაშე ჰოსაბონკი-არვედსონის ტრიომ ექვს მატჩში ერთი ქულაც ვერ მოიპოვა. ცხადია, ოტაველთა თავკაცი ამას ხედავდა, მაგრამ რატომღაც ენდობოდა თავის საუკეთესო სამეულს და რეგულარულად ათამაშებდა მას სუნდინისა და კომპანიის წინააღმდეგ. რაც შეეხება მეკარეებს, კარგად თამაშობდა ოტაველთა გამოცდილი გოლკიპერი ტომ ბარასო, მაგრამ კერტის ჯოზეფი შეუდარებელი გახლდათ. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

სამგელ ღარიბიანი

REUTERS ოტავადან

ოტაველთა მეკარე ტომ ბარასო წაგებას დაუმწუხრებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

24 აპრილი

დასავლეთი

იუტა	2
სიეტლი	0

იუტა 101:87 სიეტლი

იუტა: სტოქტონი (21 ქულა, 11 პასი), ჰორნაჩეკი (6), რასელი (19), მელოუნი (23), პოლინაისი (2); ეისლი (15), გილიამი (5), ოსტერტაგი (4 ქულა, 12 მოხსნა), ვონი (4), პადჯეტი (2), ლუისი

სიეტლი: ვილიამსი (15 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), პეიტონი (20), ლუისი (19), ბეიკერი (10), გრანტი; ფოსტერი (9), ბერი (4), პატერსონი (4), ბორელი (4), მაკკოი (2), პერსონი

კრაზანებმა აივერსონი დაკბინეს



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — სიეტლი. იუტელი კარლ მელოუნი რაშარდ ლუისს დააჯდა

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე ჩვენი პირველი თანამემამულის, ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“ კვლავ წააგო სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტა ჯაზთან“, რითაც ფაქტობრივად პლეი ოფის მომდევნო წრეში თამაშის შანსი ხელიდან გაუშვა. თავად სტეფანიას ვერც ამჯერად დალანდავდით თავისი გუნდის თორმეტკაცა შემადგენლობაში. იგი მყარად ზის ტრავმირებულთა სიაში და გულში ალბათ ამერიკულ ფეხბურთს წყევლის, რომლის გამოც ვოვამ ჯერაც ვერ დაეჭაშნიკა პლეი ოფი.

რაც შეეხება ჩვენებურის გუნდს: „სონიქსი“ იმთავითვე აღიქმებოდა პლეი ოფის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ მონაწილედ, მაგრამ „ზებგერითები“ თუ ასე დაეჩაგვრინებოდნენ „ჯაზს“, ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო. ამის თქმის საბაბს გვაძლევს ის, რომ სტეფანიას გუნდმა რეგულარულ სეზონში ოთხი შეხვედრიდან ორში საკმაოდ დამაჯერებლად დასცა „იუტა“ და გერი პეიტონისგან ამჯერადაც მოელოდნენ სიურპრიზებს, მაგრამ მან ვერც პირველ და ვერც მეორე მატჩში ვერ წარმოაჩინა სრულად თავისი შესაძლებლობები. ერთადერთი სასარგებლო, რასაც ამ შეხვედრაში პეიტონი აკეთებდა, ეს ზუსტი სროლები (12-დან რვა ჩაადო), სხვა მხრივ სიეტლელთა ლიდერმა ხეირიანი ვერაფერი მოახერხა — მან შვიდჯერ დაკარგა ბურთი, გააკეთა მხოლოდ ერთი შედეგიანი გადაცემა (მისთვის სეზონის ანტირეკორდი) და ვერც მასზე რვა წლით უფროსი, გვარიანად შებერებული ჯონ სტოქტონი გააჩერა. „სიეტლის“ წარმატება კი პირდაპირ კავშირშია პეიტონის თამაშის ხარისხთან და ვინაიდან მან შეხვედრა ჩააფლავა, გუნდმა ყოველგვარი ბრძოლის გარეშე დაუთმო მეტოქეს.

იმ დღეს სტუმართა რიგებში საუკეთესო შემონდ ვილიამსი გახლდათ, რომელიც ამ მატჩში გამთამაშებლად მოევლინა თავისიანებს, მაგრამ მარტო მისი და ასევე გამოუცდელი რაშარდ ლუისის თავგამოდება რას დააკლებდა „იუტას“, მით უმეტეს, რომ მთავარი „ჯაზმენ“ კარლ მელოუნით დაშინებულ „სონიქსის“ მაღლებმა — ვინ ბეიკერმა და ჰორას გრანტმა ხეირი ვერ მოუტანეს „ზებგერითებს“. ეს უკანასკნელი ხომ სულ დაიბრიყვა მელოუნმა, რასაც სურდა, იმას უკეთებდა. მართალია, სერიის პირველ თამაშში 50 ქულის ჩამგდები „ფოსტალიონი“ ამჯერად 23 ქულით შემოიფარგლა, მაგრამ მეტი არც სჭირდებოდა. უკვე პირველი ნახევრის შემდეგ „იუტა“ 17 ქულის სხვაობით იგებდა და ოდნავ მოღლილმა მელოუნმა თავს მოდუნების და დასვენების უფლება მისცა.

აღმოსავლეთი

შარლოტი	1
ფილადელფია	1

შარლოტი 108:98 ფილადელფია

(ძირითადი დრო 91:91)

შარლოტი: კოულმენი (29), კემპბელი (20 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსი (19 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

ფილადელფია: კუკოჩი (20), სნოუ (19 ქულა, 13 პასი), რეთლიფი (15)

თუ „სიეტლის“ დამჩაგრავ „იუტას“ ცალი ფეხი მეორე წრეში უდგას, 24 აპრილს მოთამაშე მეორე წყვილში ჯერ არაფერია გარკვეული. „შარლოტმა“ შინ მეორე მატჩში ძმიმე ბრძოლასა და ოვერტაიმში დაამარცხა „ფილადელფია“ და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. წაგების შემთხვევაში „შარლოტის“ შანსები მინიმუმამდე მცირდებოდა, რადგან მომდევნო ორ თამაშს იგი სტუმრად ატარებდა, ამიტომაც „ბზიკებმა“ თავგამოდებით შეუტიეს მომხდურებს და კარგად დაკბინეს სტუმრები, განსაკუთრებით მათი ლიდერი ალენ აივერსონი.

მათ, ბუნებრივია, მშვენივრად ახსოვდათ, რა დღეც აყარათ აივერსონმა პირველ მატჩში და მისი თარეშის აღსაკვეთად ყველა ზომას მიმართეს. ფილადელფიელს პერსონალურ მეურვედ მასზე 15 სანტიმეტრით მაღალი ედი ჯონსი დაუდგა და კარგადაც შეავიწროვა. „მე მთლიანად ვერ გავაჩერე ეგ პატარა ბიჭი, ეს ჯერ ვერავის მოუხერხებია, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს, როცა მე მოედანზე ვარ, ეგ (აივერსონზეა ლაპარაკი) ისე ვერ იპარპაშებს, როგორც სხვასთან“ — საკუთარი კარგი თამაშით თავბრუდახვეულმა ჯონსმა აივერსონსაც უკბინა და თანაგუნდელ დეიდ ვესლისაც, რომელმაც პირველ თამაშში ალენთან ვერაფერი გააწყო, რაც მის გუნდს 40 ქულად დაუჯდა. ჯონსმა კიდევ ბევრი იტრაბახა, მაგრამ ამას წინ მართლაც სანაქებო გარჯა უძღოდა შეტევაშიც და დაცვაშიც. ჯონსი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია ფილადელფიელს. მანაც ჩვეული აკრობატული ილეთებით თავბრუ დაახვია მეურვეს, მაგრამ ბოლო, სროლის მომენტში სიზუსტე აკლდა, 21 სროლიდან ხუთი ჩაადო და იძულებული გახდა, 13 ქულით დაკმაყოფილებულიყო.

მასპინძელთა მთელი ყურადღება, ცხადია, აივერსონისკენ იყო მიპყრობილი, რითაც მისი თანაგუნდელები სნოუ, კუკოჩი, რეთლიფი და ჰილი (10 ქულა) კარგად სარგებლობდნენ. მათ მოახერხეს და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს, მაგრამ აქ დაღლილ სტუმრებს საბოლოო ლახვარი ჩასცა დერიკ კოულმენმა, რომელმაც გუნდის დამატებით დროში მოპოვებული 17 ქულიდან 8 თავის ანგარიშზე ჩაიწერა და ამას სამი პასი, ორი დაფარება და ორი მოხსნაც დაურთო.

ირაკლი ფირაზვილი

თურქეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

თოფაში	1
ტროი	0

თოფაში 79:63 ტროი

ეფესი	2
ტელეკომი	0

ეფესი 72:67 ტელეკომი

„ეფესმა“ სერია 1:0-ით დაიწყო

ქარშიაქა	0
ბეშიქთაში	1

ქარშიაქა 80:83 ბეშიქთაში

ულქერი	1
დარუშაფაკა	0

ულქერი 82:58 დარუშაფაკა

ულქერი: კოტუროვიჩი (27), პოუპი (7), ერდენი (13), ილდირიმი (8), სარიჯა (9), ალენი (5), ოზთურქი (7), ადემოღლუ (4), ფაჩულია (2)

დარუშაფაკა: გიულერი (3), ო. კაჰიაოღლუ (15), მ. კაჰიაოღლუ (2), გრინი (8), ანსლი (11), ნოსოვი (11), ქანანი (6), ქოშეოღლუ (2)

16 წლის ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ თურქეთის ჩემპიონატში საპლეიოფო დებიუტი ორი ქულით აღნიშნა. მისმა „ულქერმა“ კი იოლი მოგებით დაიწყო მეოთხედფინალური სერია. სტამბოლელები თავიდანვე დაწინაურდნენ თანაქალაქელი „დარუშაფაკას“ წინააღმდეგ და ტაიმი 35:28 მოიგეს. შესვენების შემდეგ „ულქერმა“ კიდევ უფრო მოუმატა და ანგარიშში სხვაობაც შესამჩნევად გაზარდა. ფაჩულიას თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო იუგოსლავიელი ცენტრი დეიან კოტუროვიჩი, რომელმაც 27 ქულას 15 მოხსნა დაურთო.

იტალია

პლეი ოფის მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

ფორტიტუდო	1
სიენა	0

ფიორტიტუდო 76:65 სიენა

მიულერი	1
ადეკო	0

მიულერი 101:70 ადეკო

ბენეტონი	1
ტრიესტი	0

ბენეტონი 102:64 ტრიესტი

კინდერი	1
ვიოლა	0

კინდერი 75:70 ვიოლა

საფრანგეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

შოლე	0
სტრასბური	1

შოლე 56:74 სტრასბური

ლიმოჟი	1
ლე მანი	0

ლიმოჟი 70:65 ლე მანი

ვილერბანი	1
სონი	0

ვილერბანი 72:50 სონი

პო ორტეზი	1
პსჟ	0

პო ორტეზი 69:62 პარი სენ ჟერმენი

ესპანეთი

XXXIV ტური

კასერესი — ბრეოგანი 74:56, კანტაბრია — ესტუდიანტესი 68:88, ხიხონი — ტდკ 95:91, ლეონი — ფორუმი 66:84, უნიკახა — კანარიასი 63:68, პამესა — ბარსელონა 70:73, ხირონა — ტაუ 90:84, რეალი — კახა სან ფერნანდო 62:44, ფუენლაბრადა — ბადალონა 76:87

ბარსელონა	34	26	8	2545:2234	60
რეალი	34	23	11	2561:2335	57
ესტუდიანტესი	34	23	11	2507:2376	57
სან ფერნანდო	34	22	12	2402:2297	56
ტაუ	34	21	13	2696:2500	55
პამესა	34	20	14	2703:2528	54
კანარიასი	34	19	15	2435:2479	53
უნიკახა	34	19	15	2412:2370	53
კასერესი	34	17	17	2450:2467	51
ხირონა	34	16	18	2523:2473	50
ბადალონა	34	16	18	2640:2650	50
ფორუმი	34	15	19	2342:2444	49
ბრეოგანი	34	15	19	2432:2522	49
კანტაბრია	34	11	23	2345:2619	45
ფუენლაბრადა	34	11	23	2471:2563	45
ხიხონი	34	11	23	2332:2570	45
ტდკ	34	11	23	2336:2487	45
ლეონი	34	10	24	2296:2514	44

ამით ესპანეთის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა. პლეი ოფის მეოთხედფინალი დაიწყება 27 აპრილს. სერიები სამ მოგებამდე გაგრძელდება. ერომანეთს ხვდებიან:

ბარსელონა — უნიკახა
რეალი — კანარიასი
ესტუდიანტესი — პამესა
კახა სან ფერნანდო — ტაუ

საბერძნეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი (ორ მოგებამდე)

აეკ	2
პანიონიოსი	1

აეკ 76:61 პანიონიოსი

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

ოლიმპიაკოსი — პაოკ
პანათინაიკოსი — აეკ

ნახევარფინალები 3 მაისს დაიწყება

აპრილის საუკეთესო

გერი პეიტონი
• სიეტლი •



მთელი რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე „სიეტლის“ ლიდერ გერი პეიტონს როგორც იქნა, გარჯა დაუფასდა. იგი აპრილის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მართალია, აპრილში ვლადიმერ სტეფანიას გუნდის თამაშზე ამან არცთუ დიდი გავლენა იქონია, — „სიეტლი“ ხშირად აგებდა, მაგრამ თავად პეიტონი, როცა მის გუნდს სჭირდებოდა, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია თამაში „საკრამენტოსთან“, სადაც პეიტონმა თავისიანებს გამარჯვება მოუტანა და „სიეტლს“ პლეი ოფში „ლეიკერსი“ აარიდა. თავად პეიტონი ამ შეხვედრაში შეუდარებელი იყო. მან 33 ქულას 14 პასი და 11 მოხსნაც დაურთო და თავისი მეათე სამმაგი დუბლი შეასრულა, რითაც გადაასწრო „სიეტლის“ 70-იანი წლების ვარსკვლავ ლენი ვილკენსს, რომელსაც „სიეტლის“ რიგებში თამაშისას ცხრაჯერ გაუხერხებია სამმაგი დუბლი. პეიტონმა ასევე გაიბრწყინა „ჰიუსტონთან“ და თავისი კარიერისთვის სარეკორდოდ ბევრი — 43 ქულა დააგროვა. სულ აპრილის თამაშებში პეიტონს საშუალოდ მოუგროვდა 25,4 ქულა, 8,3 პასი და 8,0 მოხსნა.

თუ სტატისტიკით და მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, განვლილი რეგულარული ჩემპიონატი საუკეთესო იყო სიეტლელის ათწლიან კარიერაში. საშუალოდ მატჩში დაგროვილი 24,2 ქულით პეიტონი მეშვიდე ადგილზე გავიდა ლიგის ბომბარდირთა დავაში და 8,9 პასით მეოთხე იყო ლიგის საუკეთესო ასისტენტთა შორის.

პეიტონს სულ ორად ორი კონკურენტი ეცილებოდა თვის მოთამაშის ტიტულში — დალასელი მაიკლ ფინლი და შარლოტელი ედი ჯონსი.

აპრილის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული არავის დაანება „შარლოტის თავკაცმა ჰოლ საილასმა, რომელმაც „ბზიკებს“ აპრილში 11 თამაშიდან ცხრა მოაგებინა. სხვა კანდიდატები იყვნენ: დონ ნელსონი (დალასი), ლარი ბერდი (ინდიანა) და ჯორჯ კარლი (მილუოკი).

აპრილის საუკეთესო ახალბედას ტიტულს ერთბაშად ორი პატრონი გამოუჩნდა — „ჩიკაგოს“ თავდამსხმელი ენტონ ბრენდი და „ჰიუსტონის“ უკანახაზელი სტივ ფრენსისი. აღსანიშნავია, რომ ეს პატივი ორივეს სეზონში მესამედ ერგო. ბრენდმა მანამდე იანვარსა და თებერვალში იყოჩაღა, ფრენსისი კი დეკემბერსა და მარტში სჯობდა ყველას. საიდუმლო აღარაა, რომ სეზონის საუკეთესო ახალბედის ტიტულით ამ ორიდან ერთ-ერთი (არაა გამორიცხული ორივე) დაიმშვენებს ხელს.

ინგლისი

I დივიზიონი

იფსვიჩი 1:0 კრ. პალასი

II დივიზიონი

ბორნმუთი 1:1 ჩესტერფილდი

პოლონეთი

ლიგის თასის ფინალი

ლეგია 1:2 პოლონია

ამხანაგური მატჩი

ბოსნია 0:1 მსოფლიო

0:1 რ. ბაჯო (83 Წ)

REUTERS მანჩესტერიდან

ენდი

ენდი კოულს უხარია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონი გახდა. ისე კი, ყოველდღიურობაში მას იშვიათად ნახავთ გაცინებულს. მეტად მოწესრიგებული, სერიოზული და ხასიათიანი ვინმეაო, ამბობენ. ერთი ხანობა გამოუსწორებელი მექალთანე, დუაიტ იორკს აჰყოლია და გოგოებში მასთან ერთად დაუწყია სირბილი, მაგრამ... ასეთი ცხოვრება ენდისთვის არ არის საინტერესო, თანაც მის თანამეცხედრეს და ჯერჯერობით მაინც არა ცოლს, ისეთი ამბავი აუტეხავს..

ენდი სერიოზული ბიჭია.

სტეფკას ხელ-ფეხი

სოფიაში რომ სპორტის დიდების კედელი აღაშენეს და ზედ გამოჩენილ ბოლგარ სპორტსმენთა ხელ-ფეხის ანაბეჭდებს ადუღაბებენ, ადრეც გაუწყეთ. ახლა, სიმაღლეზე მხტომელ ოლიმპიურ ჩემპიონ სტეფკა კოსტადინოვას ჯერიც მოსულა და აღუსრულებიათ ეს მართალი საქმე. ჯერი თორემ... სტეფკა მეორეა, ვისი ხელ-ფეხიც ჩაბეტონდა. პირველი კედელოსანი კი ფეხბურთელი კრასიმირ ბალაკოვი იყო.

კვლავ ვიკითხავთ:

მა, ხრისტო?

REUTERS სოფიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS კანადერალდან

ჩირაღდანი კანავერალის კონცხზე

აბ, ასეთი ჩირაღდანით წლეულს სიდნეიში ოლიმპიური ცეცხლი მიაქვთ. ჩირაღდანის ასლი კი კენე ფლორიდაში, კანავერალის კონცხზე მდებარე განთქმულ კოსმოსურ ცენტრში მიუტანიათ. იგი ხელთ უპყრია ასტრონავტ ენდი ტომასს. რატომ და იმიტომ, რომ ტომასი ავსტრალიაში დაბადებულა, ახლა ამერიკის მოქალაქეა და ორი ქვეყნის სპორტულ იდეალთა შერწყმის ამბავში ჩირაღდანს იმარჯვებს. ასტრონავტები ხომ ბრწყინვალე სპორტსმენები არიან.



REUTERS ბუენოსაიერესიდან

ლეილამ იმარჯვა

კოშუნისტური ჩინეთის ისტორიაში პირველი დიდი საკრივო შოუ, რომლის ღერძიც ქალთა კრივი, კერძოდ ლეილა მუჰამედის ასული ალი გახლდათ, წარმატებით ჩატარდა. ქალაქ გუანჯოუს „ტიან ჰე კოლიზეუმში“ ლეილამ იმდენი ურტყა თანამემამულე კრისტინა კინგს, რომ ამ უკანასკნელმა მეოთხე რაუნდში შეწყვიტა ბრძოლა. ქალთა კრივი კი მაინც სამძიმო საცქერია. ცხვირდარუმბულ გოგოს როგორ შეხედავ მშვიდად?



REUTERS გუანჯოუდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამოშვება** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli